პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დაწესებულებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქ გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად დანიშნა მაკ-ნეილი.

— გერმანიაში მოელიან 24 ათას რკინისგზელთა დათხოვნას სამსახურიდან.

— ესტონეთში მძვინვარებს საშინელი რეაქცია; ატუსაღებენ ასობით მუშებს.

— ისპანიის დიქტატორმა დახურა ყველა [illegible] გაზეთები.

— საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო დიდი დემონსტრაცია კაპიტალისტების წინააღმდეგ.

— მოლდავიის რევკომმა დაიწყო მუშაობა.

ხუთშაბათი, 13 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 259 (1114)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირები და კოოპერაცია

(საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირთა ყრილობის გამო)

მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების წინასწარ პირობას წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობის აღდგენა, ქვეყნის წარმოების გაზრდა. ქვეყნის საწარმოო ძალთა ზრდა დაკავშირებულია ბაზრის ორგანიზაციის საკითხთან, მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების მოგვარებასთან. ბაზრის დაპყრობის ამოცანა უმთავრესად ეკისრება კოოპერაციას.

აი რატომ პროფკავშირები თავის მუშაობაში არა მცირე ყურადღებას უთმობენ კოოპერატიული მშენებლობის საკითხებს. ამის გარდა კოოპერაცია წარმოადგენს სამეურნეო-სამომხმარებლო ორგანიზაციის იმავე მუშათა მასებისას, რომლებსაც პროფკავშირები აერთიანებენ საწარმოო და პროფესიონალურ ნიადაგზე.

საბჭოთა პროფკავშირების ყრილობა, რომელიც გაიხსნა 11 ნოემბერს მოსკოვში ჯამს გაუკეთებს მუშათა კლასის მიღწევებს კოოპერატიულ ფრონტზე, გვიჩვენებს მუშათა კოოპერაციის შემდეგი განვითარების გზებს და პროფმოძრაობის და კოოპერაციის შორის მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობას, რადგანაც მუშათა კლასის ყველა მიღწევები წარმოების ნაყოფიერების და ხელფასის გაზრდაში რეალური არ იქნება, თუ ეს ზრდა გახდა კერძო სავაჭრო კაპიტალის გაძლიერების წყაროთ.

სამაგიეროთ კარგად დაყენებული კოოპერატიული მუშაობა შეიძლება გახდეს მუშათა კლასის ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესების იარაღათ იმ შემთხვევაშიც კი თუ უცვლელათ დარჩება დღეს არსებული შრომის ხელფასის ნომინალური განაკვეთი.

როგორია უმახლობელესი ამოცანები მუშათა კოოპერატიულ აღმშენებლობაში? საბუთებიდან ირკვევა, რომ პროფორგანიზაციებში დარაზმული მუშები ყველა არ ითვლება კოოპერაციის წევრად. ამ ჟამად მუშათა კოოპერაცია საბჭოთა კავშირში აერთიანებს მხოლოდ 62 პროცენტს ყველა პროფკავშირების წევრებისას. მართალია საწარმოო რაიონებში ეს პროცენტი ადის 75—80 პროცენტამდის, მაგრამ სამაგიეროთ შესამჩნევათ იკლებს იგი ბევრ დიდ ქალაქებში. ეს ხდება უმთავრესად იმის გამო, რომ წვრილი წარმოების მუშები ძალიან ნაკლებ შედიან კოოპერაციაში. და სწორეთ ამ ჩამორჩენილ მშრომელი ჯგუფებისთვის მუშათა კოოპერაცია უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ და კოლექტიურ მეურნეობის სკოლას. მომავალ სამეურნეო წლის განმავლობაში პროფკავშირის ყველა წევრები ჩვენ უნდა გადავაქციოთ კოოპერაციის წევრებადაც. არც ერთი პროფკავშირის წევრი კოოპერატიულ მუშაობის გარეშე! აი ლოზუნგი, რომელიც უნდა მოჰფინოს ყველგან ყრილობამ.

მაგრამ ეს არ კმარა. მუშის აქტიურობა კოოპერაციაში გაიზომება პირველ ყოვლისა იმ ნივთიერი საშუალებით, რომელსაც ის გაიღებს კოოპერაციის საქონლის ბრუნვისთვის და მის მიერ შეძენილ საქონლის რაოდენობით კოოპერატივში. ჩვენსა დაწესებულია ძალიან მცირე საპაიო გადასახადი, რადგან ჩვენი მიზანია, რომ მუშათა კოოპერატივები წარმოადგენდენ მშრომელი ფართე მასსების ადვილათ ხელმისაწვდომ ორგანიზაციას. კოოპერატიული საპაიო გადასახადი განსაზღვრულია 5 მანეთით.

მიუხედავათ ამისა ეს მცირედი თანხაც კი აქნობამდის წარმოადგენს რაღაც მიუწდომელს. ფაქტიურათ საშუალო საპაიო გადასახადი თვითეული წევრისა უდრის 2 მ. 60 კ.

ამნაირად ჩვენი ამოცანა საპაიო კაპიტალის აკრეფის დარგში ჯერჯერობით მხოლოდ ნახევრადაა შესრულებული.

პროფკავშირების და განსაკუთრებით კი საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადაუდებელი ამოცანაა გაუწიოს დახმარება კოოპერაციას აუცილებელ საპაიო კაპიტალის აკრეფაში; ეს საჭიროა მისი სამეურნეო მოღვაწეობის ნორმალურ განვითარებისათვის.

პროფკავშირებმა ამ დახმარების გაწევასთან ერთად უნდა აწარმოონ კონტროლი კოოპერაციის მუშაობაზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს პროფორგანიზაციებში შეკავშირებულ მოსახლეობის მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებისკენ.

პროფორგანიზაციისა და კოოპერაციის ასეთი მჭიდრო ურთიერთ დამოკიდებულება თავდებია იმისა, რომ გავიმარჯვებთ კერძო ბაზარზე და დავაკმაყოფილებთ მუშათა კლასის სამომხმარებლო საჭიროებებს.

აგრონომიული დახმარების საქმე საქართველოში

II *)

აგრონომიულ დახმარებას საქართველოში უმთავრესად აწარმოებენ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი და სამაზრო აღმასკომები და აგრეთვე კოოპერატიული ცენტრები—წარმოკავშირი, ცეკავშირი და მთლიანი მუშათა კოოპერატივი. ყველა ეს დაწესებულებანი ერთი და იმავე მიზანს ემსახურებიან, ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ კოოპერატივები დახმარებას უწევენ მხოლოდ თავის წევრებს (დაახლოებით 20.000-ს), მაშინ როდესაც სახელმწიფო ორგანოები ემსახურებიან მთელ მოსახლეობას, დაახლოვებით 358.391 კომლს (სამეურნეო ერთეულს). ჩვენ ამ წერილში გვინდა შევეხოთ მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს და აღვნუსხოთ, თუ რა ფინანსიური საშუალებები იყო მათ განკარგულებაში და რის გაკეთება შესძლეს.

1923—24 წლის განმავლობაში აგროდახმარების საოპერაციო ხარჯებისათვის ცენტრიდან გადაგზავნილი იყო მაზრებში 4741 მანეთი ე. ი. საშუალოდ თითო მაზრაში 300 მანეთამდე. რესპუბლიკის 15 მაზრიდან მხოლოდ ორმა მაზრამ—თბილისმა და გორმა [illegible] ამ მიზნისათვის ხარჯები, პირველმა 11568 მან. და მეორემ [illegible]376 მან. დანარჩენ მაზრებს კი ამ მიზნისათვის ერთი კაპიკი არ გადაუდვიათ. გარდა ამ ხარჯებისა ცენტრმა გაიღო მანქანების და იარაღების შესაძენად. საკანცელარიო, მივლინების, წიგნების გამოცემის და სხვა წვრილმანი ხარჯებისათვის 11.273 მანეთი; აგრონომიული შტატის პირადი შემადგენლობის შესანახად ცენტრს და სამაზრო აღმასკომებს დაუხარჯავთ 22.500 მანეთი. ამ რიგად ყველა ხარჯები გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო და ადგილობრივი დაწესებულებების მიერ გაწეული უდრის მთელს რესპუბლიკაში 54,000 მანეთამდე. **)

კულტურული მიწების რაოდენობა მთელს საქართველოში უდრის 720,000 დესეტინას, რომლითაც საზრდოობს 1,663,000 სოფლის მცხოვრები (1923 წლის აღწერის თანახმად). ამის მიხედვით გამოდის, რომ ერთ დესეტინა კულტურულ მიწაზე აგრონომიულ დახმარებისათვის დახარჯულა 7,5 კაპ., ანუ ერთ სულ მცხოვრებზე 3,3 კაპ.

აგრეთვე მეტად მცირეა აგრონომიული პერსონალის რაოდენობას 1923—24 წ. (სამ. წ.) გვყავდა: *) რაიონის აგრონომები 21, ინსტრუქტორები 19, სამაზრო აგრონომები 12, სულ 52.

გასულ საბიუჯეტო წელში აგროდახმარების ფინანსიური მხარე [illegible] სუსტი იყო, რომ თუ არა ცენტრი, მაზრებმა აგროდახმარების საოპერაციო მიზნებისათვის თანხები ვერ გამოყვეს; ეს ხარჯები მათ თავიანთ ბიუჯეტშიდაც არ შეუტანიათ, მიუხედავათ იმისა, რომ თანახმად ცაკ-ის № 80 დადგენილებისა, ა. | წ. 1-ლი ივლისიდან ადგილობრივ ორგანოებს ეს დავალებული აქვთ—და ამ ხარჯებს უნდა აკმაყოფილებდენ ადგილობრივი საშუალებებიდან.

აგრონომიული პერსონალი კი იმდენად მცირეა, რომ კარგი ფინანსიური საშუალებებიც რომ იყოს, მათთვის ფიზიკურათ შეუძლებელია სოფლის მოთხოვნილებას სავსებით გასწვდენ. აგრონომს შეუძლია მეურნეს დახმარება აღმოუჩინოს მხოლოდ მაშინ, თუ მას საშუალება აქვს ხშირად დაათვალიეროს გლეხის მამული, რჩევა-დარიგება მისცეს მას. დღევანდელ პირობებში კი ეს არ არის შესაძლებელი. საშუალოთ თითო აგრონომზე მოსავლელად მოდის 6.892 გლეხის მეურნეობა. თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ აგრონომი თავგამოდებით ივლის გლეხებში (კურსების, ლექციების, საუბრის და საკანცელარიო მუშაობის გარდა), ის შესძლებს საშუალოთ დღეში დაათვალიეროს და დარიგება მისცეს ხუთ მეურნეს. მაგრამ თუ აგრონომი მოისურვებს ხელმეორეთ იმავე მეურნეობის ნახვას, რომ გაიგოს თუ რამდენად შეუ[illegible] მუშას მისი დარიგება, ამას შესძლებს [illegible] წლის შემდეგ. აქედან ცხადია ასეთ აგრონომიულ დახმარებას თუ რა ფასი და რეალური შედეგები აქვს.

თვითონ აგრონომიული პერსონალის მატერიალური მდგომარეობა არ არის დღეს ჩაყენებული შესაფერისს პირობებში. გასული წლის 1-ლ ოქტომბრამდე სამაზრო აგრონომის ჯამაგირი უდრიდა თვეში 26 მან. რაიონის 18 მან. 72 კაპ. და ინსტრუქტორის 17 მან. 32 კაპ. მას შემდეგ მდგომარეობა ბევრით არაფრით შეცვლილა. სამაზრო აგრონომები ეხლა იღებენ თვეში 40—46 მანეთს, სარაიონო 35—43 მან. და ინსტრუქტორები 29—40 მანეთამდე (სხვადასხვა მაზრებში სხვადასხვა ჯამაგირებია, იმის მიხედვით მდიდარია თუ ღარიბი მაზრა).

არც მუშაობის პირობები აქვთ მაზრაში აგრონომებს ნორმალური იშვიათი მაზრა არის, რომ მას ჰყავდეს აგრონომისათვის ცხენი ან სხვა რამ საშუალებანი მიმოსვლისათვის. ამ შემთხვევაში აგრონომები იძულებული არიან ფეხით იარონ, მაგრამ როგორ შეიძლება ფეხით იარონ ყოველთვის, როცა აგრონომიული რაიონის რადიუსი 15—25 ვერსტს აღწევს. არა აქვთ მათ აგრონომიული კაბინეთები, რომელიც აუცილებელია აგროპროპაგანდისათვის—ლექციებზე; და საუბრებზე („ვოლშებნი ფანარი“ კოლექციები, სურათები და სხვა).

მთელს რესპუბლიკაში მხოლოთ 10 კაბინეთია და ისიც ამ რიცხვიდან მხოლოთ ორია ყველა საჭირო ნივთებით მოწყობილი. დანარჩენები კი ნახევრათ მოუწყობელი არიან.

რა თქმა უნდა, ასეთი პირობების გამო ვერ არის სასურველ სიმაღლეზე დაყენებული აგრონომიული პროპაგანდა და აგიტაცია. ბევრი რაიონებია ასეთი ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მიწის მუშებს არა თუ საცდელ საჩვენებელი მინდორი, ცოცხალი სიტყვაც კი არ მოუსმენიათ მისი მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი რაიონებია განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც არავითარი წარმოდგენა არ აქვს ჩვენ გლეხობას ინტენსიურ მეურნეობაზე და გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღზე.

მიუხედავათ მიღებული ზომებისა, სოფელი ვერ არის უზრუნველყოფილი იარაღების საკმაო რაოდენობით. პროფ. ამირაჯიბის ცნობით მთელ საქართველოში ამ ჟამად მუშაობს 21.600 სახნავი იარაღი; აქედან რკინის არის 10 პროც.; დანარჩენი 90 პროც. პრიმიტიულია. თავთავიან მცენარეებისა და სიმინდის ასაღებათ საჭიროა 9.500 ცხენის ძალა; ნამდვილად კი არის ამის მხოლოდ 4 პროც. იარაღის მიწოდების საქმე დიდად საჭიროებს გაფართოება-მოწესრიგებას.

ასევე არის მდგომარეობა სხვა აგრონომიულ დახმარების დარგში. მესაქონლეობა, [illegible], მებოსტნეობა და მცენარეების მავნებლობასთან ბრძოლა იქნება ეს თუ სხვა რამე.

ძველი მთავრობებიდან ჩვენ ისე ცუდი მემკვიდრეობა მივიღეთ, რომ ყოველ ღონეს აღემატება სამი წლის განმავლობაში მისი გამოსწორება. ხელმოკლეობისა და საჭირო საშუალებების უქონლობის გამო სახელმწიფომ ვერ შესძლო ამ დარგში არსებულ დაბრკოლების სავსებით გადალახვა.

დღეს, როცა სახელმწიფო და პარტია მთელ თავის ყურადღებას სოფელს აქცევს, საჭიროა აგრონომიულ დახმარების წინ წაწევის საკითხი პირველ რიგში დაისვას.

ჩვენს ბიუჯეტში მომავლისათვის აგროდახმარების საქმემ ერთი უმთავრესი ადგილი უნდა დაიჭიროს. ეს განსაკუთრებით უნდა შეითვისონ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა. უნდა შევიგნოთ, რომ ჰიდრო-სადგურები, კლუბები და სხვა [illegible] რაცა გვაქვს, ჯერჯერობით ვიკმაროთ. გლეხისათვის და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაღონიერებისათვის დღეს გაცილებით სჯობია კარგი ჯიშის ძროხა და ბუღა, ჯანმრთელი ვენახი და ინტენსიურათ დაყენებული მეურნეობა, ვიდრე ელექტრო-სადგური და კლუბი.

ნურავინ იფიქრებს, რომ ესენი აგრეთვე არ იყოს საჭირო ჩვენი სოფლისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით რაცა გვაქვს იმით დავკმაყოფილდეთ და სამაგიეროთ ზემოდ ნათქვამზე ვიფიქროთ. როცა დრო მოვა, სოფელი ეკონომიურად მოღონიერდება, ის მაშინ უფრო ადვილად შესძლებს ყველა ამ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ვინაიდან ეს მას დიდი ხანია შეგნებული აქვს.

აი, ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ მუდამ და როდესაც ვლაპარაკობთ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის შესახებ, კავშირის გაბმაც აქედან უნდა დავიწყოთ. ეს იქნება მატერიალური საძირკველი კულტურულ კავშირისათვის, რომელიც უამისოთ დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ა. კალანდაძე.

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 257.

**) მ | გ. ინსპექციის მასალებიდან.

*) მ | გ. ინსპექციის მასალებიდან.

წერილი იტალიიდან

იტალიის ვითარება

მუშათა მოძრაობის ახალი ტალღა

მთელს იტალიაში ჩვენ ვხდებით დღეს მოწმე მუშათა აქტიური მოძრაობის განახლებისა. ფაშისტები თავიანთი უხეში ძალადობითა და რეპრესიებით იოტის ოდნავაც ვერ ასუსტებენ მუშათა მებრძოლ სულს. მელითონეთა ფედერაცია ამჟამათ იბრძვის სამუშაო ხელშეკრულობის გადასინჯვისთვის. ფაშისტების კავშირს ეშინოდა, რომ არ დარჩენილიყო სათანადო მოლაპარაკების გარეშე. ამიტომ ის ჩაერია ამ მოლაპარაკებაში მეპატრონეებთან და კიდეც დასდო მათთან თავისებური ხელშეკრულობა, რომელიც სურდა მუშებისთვისაც მიეღებინებინათ. მილანში მელითონეთა ფედერაციის საერთო კრებაზე მიღებულ იქნა კომუნისტების რეზოლუცია, რომლითაც სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ [illegible] ასეთ მოგვარებას და მოითხოვენ, რომ ეს საკითხი გადატანილ [illegible] გადასაწყვეტად თვითეულ ქარხნის მუშათა კრებებზე.

ფედერაციის მდივანთან მოლაპარაკების დროს მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ მელითონეთა ფედერაციას, რადგან ის დაშლილათ არის გამოცხადებული ფაშისტების მიერ. ამაზე ფედერაციამ უპასუხა მეპატრონეებს წინადადებით, მოახდინონ რეფერენდუმი ყველა ქარხნებში და გაიგონ ნამდვილათ—ვის უფრო მეტი გავლენა აქვს მუშებში: მელითონეთა წითელ ფედერაციას თუ ფაშისტების კოოპერაციას. ეს წინადადება, რასაკვირველია, უარყოფილ იქნა. ამის გამო უთანხმოება უფრო მეტათ გამწვავდა. წარმოების სხვა დარგებშიც (ხისა და საფეიქროში) აშკარათ ეტყობა მუშათა მღელვარება. კომპარტიის პროფკავშირების კომისიამ მოწოდებით მიმართა მილანის ყველა მუშებს და წინადადებას აძლევს უფრო შეკავშირებულათ და მტკიცედ გამოვიდენ ფაშისტების წინააღმდეგ.

პროფკონფედერაციის მომავალი კონგრესი

შრომის კონფედერაციის ყრილობა შესდგება მილანში, შუა ნოემბერში. ყრილობაზე დაშვებულ იქნებიან მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომელთაც შეტანილი აქვთ თავიანთი გადასახადი 1924 წლის 1 იანვრამდე. ეს ზომა განზრახ არის მიღებული კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა უმრავლესობაც იმ დროს ან ციხეში იყო დამწყვდეული, ან საზღვარგარეთ აფარებდა თავს და შეძლება არა ჰქონდათ თავის დროზე შეეტანათ საწევრო გადასახადი.

ამგვარათ კომუნისტები, რომელთაც უმთავრესი ღვაწლი მიუძღვისთ პროფკავშირების მოძრაობის გამოცოცხლებაში, მილანის კონგრესზე წარმოდგენილ იქნებიან სულ უმნიშვნელო უმცირესობით. ეს კომედია ერთი ნაწილია ოპოზიციის საერთო გეგმისა, რომლის (ოპოზიციის) მონაწილეთაც ბრძანდებიან სოციალისტ-მაქსიმალისტები და რეფორმისტები. კონფედერაციის მომავალ კონგრესისათვის კი იტალიის მუშებს კომპარტიამ მიმართა შემდეგი ლოზუნგებით:

1) პროფკავშირებში დაბრუნება. პროფკავშირები გამაგრდებიან კლასთა ბრძოლის პროცესში;

2) მშრომელ მასსების უფლებათ დაცვა პროფკავშირებში.—ბრძოლა პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგ.

3) პროფკავშირების ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მთლიანობის აღდგენა.

ხეზე მომუშავეთა ფედერაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, მიმართა წერილობით კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოს წინადადებით რომ კონგრესის დღის წესრიგში დააყენოს ნაციონალური და ინტერნაციონალური სინდიკალური მთლიანობის, ომის და სხვა საკითხები. კომპარტიის პროფკავშირების კომიტეტი თავის მხრივ მიმართავს სოციალისტების კომიტეტს, რომ კონფედერაციის კონგრესზე გამოვიდენ საერთო გეგმით და მოქმედებით.

უმუშევრობა და ემიგრაცია.

ფაშისტური მთავრობა ისევ განაგრძობს ოპტიმისტურ ცნობების გამოქვეყნებას უმუშევრობისა და ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მართალია უმუშევართა რიცხვმა ცოტა დაიკლო, რიცხვი იმ უმუშევრობისა, რომლებიც დახმარებას იღებდნენ, უდრიდა აპრ[illegible] 176.859-ს, მაისში კი—15[illegible] რიცხვი უეჭველია ძალზე [illegible]ბულია. აქ მხედველობაში [illegible] მიღებული უ ხოეთში [illegible] შევრები კ. უმეტესი ნაწილი [illegible]გრაციისა მიდის საფრანგეთში. იანვრიდან—მაისამდის ლეგალურათ გავიდა იტალიიდან 182.703 მუშა; აქედან 124.050 მიდის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, უმთავრესად კი საფრანგეთში. დანარჩენი კი მიდის ოკეანეს იქითა ქვეყნებში.

წლის ბოლომდის რომ ასეთი პროპორციით გაგრძელდეს ემიგრაცია, მაშინ ემიგრანტთა რიცხვი 1924 წელს ავა 400,000-ზე. ამ ლეგალურ ემიგრაციასთან ერთად, რომელიც აღნუსხულია ოფიციალურის სტატისტიკით, უეჭველად ხდება არა-ლეგალური ემიგრაციაც.

ბიუჯეტი და სავაჭრო ბალანსი.

ოფიციალურ წრეებში ამბობენ, თითქოს იტალიას დიდხანს აღარ მოუნდება ლოდინი, რომ მიაღწიოს თავის ხარჯთ-აღრიცხვის წონასწორ[illegible] ყველაზე მეტ[illegible] წარმოადგენს სავაჭრო ბალანსი. 1924 წლის პირველ ნახევარში შემოტანილი საქონლის ღირებულება-(იმპორტი) აჭარბებდა გატანილს (ექსპორტს) 278 მილიონი ლირით. წარსული წლის იმავე პერიოდში იმპორტი სჭარბობდა ექსპორტს 390 მილიონი ლირით. აქაური ლირა ფასობს ამჟამათ შვეიცარიის 23 სანტიმათ. (დაახლოვებით 8 კაპიკი). ცხოვრების სიძვირე მატულობს პროპორციულათ ლირის მყიდველობითი ღირებულობის დაკლებასთან ერთად. სახელმწიფო გადასახადი კი ისე არის გაზრდილი, რომ მთელი ხალხის 80 მილიარდიან შემოსავლიდან მთავრობასა და მუნიციპალიტეტებს მიაქვთ გადასახადის სახით 20 მილიარდი. ე. ი. მთელი შემოსავლის მეოთხედი. ამნაირათ უმზადდება ნიადაგი რევოლიუციონურ მოძრაობას.

რ. ბ.

რომი, 22 ოქტომბერი.

ჩვენ ვიბრძვით პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ამხ. ზინოვიევის მოხსენება სრულიად საკავშირო პროფკავშირთა მეექვსე ყრილობაზე.

საბჭოთა კავშირის მუშების გზა სწორია.—სამუშაო ხელფასი და წარმოება იზრდება.—ბურჟუაზიამ და სოციალ-დემოკრატიამ გამართეს ისტორიული მასკარადი.—მაკდონალდი იჯდა ორ სკამზე.—საჭიროა მთლიანი ფრონტი რეაქციის წინააღმდეგ.—ინგლისში გამწვავდა კლასთა ბრძოლა.

„ინგლისის მუშათა კლასს მალე ეყოლება საკუთარი მთავრობა“.

მოსკოვი. 12 ნოემბ. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა შემდეგი:

სწორი გზა

პროფესიული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც რევოლიუციის წლებში რამოდენიმე მძიმე ეტაპი განვლო, საბოლოოდ გამოვიდა ფართო გზაზე, საბოლოოდ დაიკავა შესაფერი ადგილი იმ ორგანიზაციათა სისტემაში, რომლებიც ანხორციელებენ პროლეტარიატის დიქტატურას. საბოლოოდ ბოლო მოუღო მენშევიკურ-ესერული ხასიათის [illegible], გაიზარდა და მომწიფდა [illegible].

სამუშაო ხელფასი იზრდება.

1923 წლის თებერვლიდან პროფკავშირები გადავიდენ ნებაყოფლობითი წევრობაზე. ამას მათ მშვენიერად გაართვეს თავი. იზრდება მრეწველობა. ჩვენ განზრახული გვაქვს გადავაჭარბოთ ომამდე არსებულ ნორმებს. მუშების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამუშაო ხელფასი წლიდან წლამდე იზრდება.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ყრილობის წინაშე დასმულ საკითხებს შორის უმთავრეს წარმოადგენს საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. ეს საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობასთან. ეს [illegible] ამ საკითხებს [illegible] დამოკიდებულება აქვთ მუშათა ყოველდღიურ ცხოვრებასთან, პროფესიულ ბრძოლის ძირითად საკითხებთან.

ისტორიული მასკარადი

ჩვენ განვიცდით ეხლა მსოფლიო ბურჟუაზიული რეაქციის ახალი ხანის დასაწყისს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კომინტერნის მეხუთე კონგრესმა მოგვცა დემოკრატიულ-პაციფისტური ხანის სწორი ფოტოგრაფიული სურათები. კომინტერნმა ჯერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველა, რომ ეს არის მხოლოდ ისტორიული მასკარადი ბურჟუაზიის, რომელიც დღეს იმედს ამყარებს სოციალ-დემოკრატიაზე, ხვალ კი ფაშისტებზე. ბურჟუაზია ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ იმედს ამყარებდა ვარდისფერზე, ეხლა კი იმედი დაამყარა შავ ფერზე. ამერიკაში კულიჯის გამარჯვება, ინგლისში—ბალდვინის,—ეს არის უსაშინელესი მსოფლიო რეაქციის დასაწყისი. ბურჟუაზიის მიერ იმედების დამყარება ხან შავებზე, ხან ვარდის-ფერ-ყვითლებზე მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტური რეჟიმი ვერ არის მკვიდრი.

ინგლისში მთავრობის შეცვლა მოხდა უმტკივნეულოთ ბურჟუაზისათვის, მაგრამ ხალხში ეს შეცვლა სრულებით არ ხდება უმტკივნეულოდ. იქ მუშებმა ეს სერიოზულად ჩათვალეს. მუშებს გაეღვიძათ მადა ხელისუფლებისადმი.

რეაქციის წინაალმდეგ

მეორე ინტერნაციონალის დიპლომატები ხშირად ცდილობდენ გამოეწვიათ უნდობლობა რუსეთის პროფკავშირების და ჩვენი პარტიის მიმართ. კითხულობენ, რატომ ხდება ეს, რომ უეცრად რუსეთის კომუნისტები და რუსეთის პროფკავშირები ემხრობიან მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობას? ვფიქრობ, რომ სხვა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ იმისათვის, რომ ეხლა ჩვენს წინაშეა მსოფლიო უსაშინელესი რეაქციის ახალი ხანა, თუნდაც მარტო ამისათვის ჩვენთვის აუცილებელია პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობა, როგორც ჰაერი ადამიანისათვის.

კლასობრივი ბრძოლის მეთოდი.

ჩვენთვის მსოფლიო მუშათა მოძრაობის ტაქტიკა პირველყოვლისა განისაზღვრება კლასობრივი ბრძოლით. ჩვენ არ გვრწამს არც ერთი წუთით დემოკრატიული პაციფიზმი. ჩვენ ვიცოდით, რომ ბურჟუაზია კბილებს დაილესავდა და ეს ასეც მოხდა. ეხლა ჩვენს ლოზუნგს, ჩვენს მიმართვას „ყველა მუშებისადმი განურჩევლად მიმართულებისა, ყველა პატიოსან მუშებისადმი, [illegible] შემდეგი [illegible] გაერთიანდეთ, [illegible] მკერდით წინაღუდგეთ ამ შავ რეაქციას, რომ პირდაპირ გულში ჩავსცეთ ლახვარი მოწინააღმდეგეებს“. აი რატომ ვაყენებთ [illegible] პროფმოძრაობის მთლიანობის ლოზუნგს.

სოციალ-გამყიდველები.

მე ვფიქრობ, რომ ამჟამად ყველაზე უდიდეს დაბრკოლებას პროფკავშირების გაერთიანების გზაზე საერთაშორისო მასშტაბით წარმოადგენენ გერმანიის პროფკავშირთა სოციალ-დემოკრატიული ბელადები.

ამ დღეებში მოხდება გერმანიის რეიხსტაგის არჩევნები, გერმანიას მოელის შავი რეაქცია. გერმანიის სოციალ - დემოკრატები ქმნიან ფრონტს არა შავების, არამედ წითლების წინააღმდეგ—მუშებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. ისინი ლაქიების როლს ასრულებენ თავის ბურჟუაზიასთან და ხელში აძლევენ მას გერმანიის საუკეთესო მუშებს—გერმანიის კომუნისტებს.

ეს უსათუოდ მოხდება.

მოხდება თუ არა მაინც პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანება? ჩემის აზრით, უეჭველათ მოხდება და შედარებით მოკლე დროის განმავლობაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პროფკავშირების მეშვიდე ყრილობა შეიკრიბება იმ დროს, როდესაც გაერთიანება უკვე მომხდარი იქნება.

გულწრფელი ვიყოთ: ჩვენ მთელი რიგი უთანხმოება გვაქვს ინგლისის პროფმოძრაობასთან. ისინი, ინგლისის პროფესიონალური მოძრაობის მუშაკები, არ სდგანან მარქსიზმის ნიადაგზე, მათში დარჩენილია მთელი რიგი ცრუმორწმუნოებანი. მაგრამ იქ ჩვენ რაღაც უკეთესს ვხედავთ, ვიდრე გერმანიის ყვითელ სოციალ-დემოკრატიაში.

კლასთა ბრძოლა ინგლისში.

ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ მაკდონალდის ცდა შეამსუბუქებს კლასთა ბრძოლასო. გამოვიდა სულ წინააღმდეგი. მან უფრო გაამწვავა კლასთა ბრძოლა ინგლისში. რასაკვირველია, ეხლა დიფერენციაცია ინგლისის მუშათა მოძრაობის რიგებში აუცილებელია. ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ წარმოდგენა ზინოვიევის ცნობილი წერილით ტყუილად ჩაივლის? ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ ისტორიით, რადგან მაკდონალდმა კარგი რეკლამა გაუკეთა კომინტერნს. ინგლისში ჯერ კიდევ ათეულმა ათასმა მუშამ არ იცის, თუ რა არის იაჩეიკა არმიაში, [illegible]ლოტში და ფაბრიკებშიაც კი. ეხლა [illegible] წერილის [illegible] რა არის იაჩეიკა [illegible].

იმედი გაუ[illegible]

[illegible] როლი ითამაშა მაკდონალდმა ამ საქმეში! ის ფიქრობდა, რომ ერთ სკამზე ჯდომა უხერხულია, რომ საჭიროა ორ სკამზე ჯდომა. ამიტომ მან გადაწყვიტა იმათი სიმპატიებიც დაემსახურებია, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგი არიან. მაგრამ ეს თამაში ჩაიშალა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ წერილის დედანი არავის არ უნახავს. ნახეს მხოლოდ ასლი, რომელიც არ იციდენ ვისი შედგენილი იყო.

ამ წერილის სინამდვილის გამოსარკვევათ ჩვენ მივმართეთ ინგლისის პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტს და ვსთხოვეთ, რომ მას გაერჩია ეს საქმე. იმედი მაქვს, რომ ინგლისიდან ჩამოსული ამხანაგები ჩამოიტანდენ რაიმე პასუხს და გამოსთქვამენ ამის შესახებ თავის აზრს. მთელ ამ ინციდენტს ცოტა მნიშვნელობა არ ჰქონია და, მე ვფიქრობ რომ ის სერიოზული გაკვეთილი იქნება ინგლისის მუშებისათვის.

ინგლისის მუშათა კლასი გაიმარჯვებს

ინგლისში კიდევ გათენდება ისეთი დღე, როდესაც ძალაუფლებას სათავეში ჩაუდგება მუშათა მთავრობა, მაგრამ ეს უკვე ის „მუშათა“ მთავრობა არ იქნება, როგორსაც ჩვენ ვხედავდით ინგლისში უკანასკნელი დროის განმავლობაში. მართალია ის ჯერ კიდევ არ იქნება საბჭოთა კომუნისტური მთავრობა, არამედ მხოლოდ გარდამავალი, მაგრამ ის არ იქნება ისეთი მთავრობა, რომელიც სიამოვნებით მიიღებს თანამდებობას ითვალოს ინგლისის მეფის საცვლები. ინგლისის მუშებმა გაცილებით უკეთესი ბედი დაიმსახურეს, ვიდრე მეფის საცვლების თვლა. ისინი ღირსი არიან იმის, რომ ჰყავდეთ მუშური ხელისუფლება.

მუშათა კლასის გზა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა გზას იკაფავს მთლიანობისაკენ. ჩვენ ვეუბნებით მთელს მსოფლიოს: ჩვენი მხრიდან მთელი მსოფლიოს მუშებმა გულწრფელი პროლეტარული დახმარება მიიღეს, ჩვენს მუშებს გულწრფელათ სურთ შევიდენ მათ რიგებში.

ლენინის გზით.

მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც უარს არ ვამბობთ ჩვენს შეხედულებებზე. ჩვენ ვიყავით და ვრჩებით ლენინის ნამდვილ მოწაფეებათ, კომინტერნის წევრებათ. ჩვენ დახმარების ხელს ვუწვდით [illegible] ვეუბნებით: „გაერთიანდეთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც აქეთ თავხედურ შეტევას აწარმოებს“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო, როდესაც, მიუხედავათ პროფკავშირების ერთიანი ინტერნაციონალისა, ინგლისის მუშები უკანასკნელნი არ იქნებიან იმათ რიცხვში, რომლებიც ჩვენთან ერთად შეიმუშავებენ გზებს მთელი მსოფლიოს მუშების საბოლოო განთავისუფლებისათვის. (მქუხარე ტაში).

რედაქციისაგან: ამხ. ზინოვიევის სიტყვის დასასრული არ არის მიღებული.

გაიხსნა საკავშირო პროფკავშირთა მეექვსე ყრილობა

„პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენით მუშათა კლასი გაიმარჯვებს კაპიტალიზმზე“

„ინგლისის მუშები აფასებენ რუსეთის პროლეტარიატის მიღწევებს“

საბჭოთა კავშირის მუშებმა ასწიეს შრომის ნაყოფიერება.—განმტკიცდა დისციპლინა.—7 მილიონი მუშის ხმა.—გერმანიის მუშათა კლასი გმინავს დოუესის გეგმის უღელქვეშ

მუშათა კლასის ამოცანას წარმოადგენს პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის შექმნა

ყრილობის გახსნა.

მოსკოვი. 21 ნოემბ. 11 ნოემბერს კავშირთა სახლის დიდ დარბაზში დიდი ზეიმით გაიხსნა პროფკავშირთა 6-ე ყრილობა. პრეზიდიუმში არიან ამხ. ტომსკი, ანდრეევი, დოგადოვი, ლოზოვსკი, მელნიჩანსკი და ლეპსე. პრეზიდიუმის მარცხნივ ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაცია.

ამხ. ტომსკის სიტყვა

პროფმოძრაობა საბჭოთა კავშირში.

ხსნის რა კრებას, ამხ. ტომსკი აღნიშნავს, რომ 5-ე ყრილობის შემდეგ 2 წლის განმავლობაში პროფმოძრაობა მნიშვნელოვნათ განმტკიცდა. პროფკავშირთა მეხუთე ყრილობამ ამომწურავი დირექტივები მისცა საბჭოთა კავშირის მთელს პროფმოძრაობას. გასული 2 წელიწადი სავსებით საკმარისია ჩვენი გზის სისწორის შესამოწმებლათ. ეს გამოცდილება მხედველობაში უნდა მიიღოს დღეს გახსნილმა ყრილობამ.

შემდეგ ტომსკი აქვეყნებს ლენინის უკანასკნელ წერილს პროფკავშირთა 5-ე ყრილობისადმი: ამ წერილში აღნუსხულია რუსეთის პროფმოძრაობის ყველა ამოცანები. ეს ამოცანები შეუცვლელი რჩება. ლენინის მოწოდებაზე პროფკავშირთა 5-ე ყრილობამ უპასუხა მტკიცე გადაწყვეტილებით ყოველი ძალ-ღონე მოახმაროს მსხვილი მრეწველობის იმ დონემდე აყვანას, რომელიც აღემატება ომის წინა-დროის ოდენობას. 6-ე ყრილობამ უნდა დასდოს ისეთივე საზეიმო აღთქმა და ზედმიწევნით გაატაროს ცხოვრებაში ლენინის მიერ ნაანდერძევი ამოცანები“.

საერთაშორისო პროფმოძრაობა.

შეეხო რა საერთაშორისო პროფმოძრაობას, ტომსკიმ სთქვა: „საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დასმულია სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინაშე. მიუხედავათ უთანხმოებისა, რომელიც არსებობს რუსეთის პროფკავშირებსა და ამსტერდამს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს უთანხმოება მომავალშიაც იქნება,—მაინც მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს პროფმოძრაობის ერთიან ფრონტის დამყარებას. ის ფაქტი, რომ ამ ყრილობას ესწრებიან ინგლისის უძველეს პროფკავშირების წარმომადგენლები (ტაში) ამტკიცებს, რომ პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხი პოულობს გამოხმაურებას მსოფლიო მუშათა მოძრაობის რიგებში.

ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლენინის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობას ესწრება 853 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოგზავნილი არიან პროფკავშირების 6.400.000 წევრის მიერ. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულნი იქნენ 35 კაცი, რომელთა შემადგენლობაში შედიან: ტომსკი, დოგადოვი, ლოზოვსკი, შმიდტი, ანდრეევი, მოსკოვის სამეურნეო პროფსაბჭოს ცეკას, ადგილების და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან: ზინოვიევი, კალინინი, სტალინი, კამენევი და რიკოვი.

გერმანიის მუშების მისალმება.

პროფინტერნის და გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის სახელით ყრილობას ესალმება პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს წევრი გერტკი, რომელსაც გაჰყავს პარალელი რუსეთის და გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობას შორის. იმ დროს, როდესაც რუსეთის პროლეტარიატს 7 წლის განმავლობაში შენარჩუნებული აქვს ხელისუფლება, გერმანიის მუშათა კლასი გმინავს დოუესის გეგმის სიმძიმის ქვეშ; ამ გეგმას ანხორციელებენ კაპიტალისტები მეორე ინტერნაციონალის ლიდერების დახმარებით. გერტკის გამოჰყავს დასკვნა, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მთლიანობას შეუძლია დააყენოს პროლეტარიატი სწორი კლასიური ბრძოლის გზაზე, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ.

ამხ. კალინინის სიტყვა

ამხ. კალინინი, რომელსაც ოვაციით ეგებებიან, ესალმება ყრილობას საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის მთავრობების სახელით. კალინინი აღნიშნავს, რომ „2 წლის განმავლობაში 5—6 ყრილობამდე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მნიშვნელოვნათ გაიზარდა მუშათა რიცხვი წარმოებაში, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა დისციპლინა და ამის და მიხედვით ძალიან გაიზარდა მუშათა კლასის—ქვეყნის ხელმძღვანელის როლი.

საბჭოთა კავშირში პროფკავშირების როლი ძალიან განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნების პროფკავშირთა როლისაგან. საზღვარგარეთ პროფკავშირები წარმოადგენენ მუშათა კლასის დამცველ ორგანიზაციებს, რომელნიც აკავშირებენ პროლეტარიატის რიგებს. ჩვენში კი პროლეტარიატი თვითონ არის ქვეყნის ბატონ-პატრონი. პროფკავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება საკითხი მუშათა კლასის და გლეხების შორის კავშირის დამყარების შესახებ. პროფკავშირებმა უნდა გააორკეცონ თავიანთი ყურადღება სოფლისადმი, ვინაიდან ეს ამოცანა ითვლება დღევანდელი მომენტის უმთავრეს ამოცანად“.

ამხ. კალინინი გამოსთქვამს რწმენას, რომ ამ მნიშვნელოვან ამოცანას პროფკავშირები წარმატებით დასჭრიან.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ამხ. ზინოვიევი, რომელსაც მქუხარე ოვაციებით ეგებებიან, ესალმება ყრილობას რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით. ზინოვიევი დაწვრილებით აღნიშნავს პროფკავშირთა ყრილობის ამოცანებს.

სალამი ინგლისელ მუშებს

მოსკოვი. 12 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციის მდივანმა დიუდილიემ. გამოვიდენ აგრეთვე მთელ

დღეს, 13 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

რაიკომების ბიუროებთან ერთად.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე რაიკომების ბიუროების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი**

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე

დანიშნულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

საქ. ცაკის მდივანი **თოდრია**

რიგ მუშათა პროფორგანიზაციების წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

ამის შემდეგ ამხ. ტომსკი აუწყებს ყრილობას, რომ სხდომაზე ესწრება ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია. **ყრილობა უმართავს დელეგაციას არაჩვეულებრივ ოვაციას. ყველანი მღერიან „ინტერნაციონალს".** ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის წარმომადგენლები პერსელი, ბრომლეი და ბენ-ტილეტი ესალმებიან ყრილობას ინგლისის პროფკავშირების სახელით. საპასუხო სიტყვას ამბობს ტომსკი.

ამხ. დიუ-დილიის სიტყვა.

მოსკოვი, 12 ნოემბ. საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი დიუ-დილიე ესალმება ყრილობას საფრანგეთის რევოლუციონერ მუშების სახელით და აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს რევოლუციონერ მუშებს დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სჭირიათ მიზნიანი ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა. მთლიანობამ უნდა მისცეს მუშათა კლასს საშუალება იბრძოლოს და გაიმარჯვოს კაპიტალზე. მაგრამ მთლიანობა უნდა იქნას დამყარებული რევოლუციონერ საფუძვლებზე, რათა მუშათა ყველა რევოლუციონური რაზმები შევიდნენ ახალ ინტერნაციონალში და შეინარჩუნონ თავიანთი ბრძოლის დროშა, თავისი პრინციპები და თავისი ტაქტიკა.

შეეხო რა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს, დიუ-დილიემ საფრანგეთის მუშათა სახელით განაცხადა, რომ **ისინი არ სთვლიან რუსეთის ხალხს საფრანგეთის მოვალეთ და არ ფიქრობს, რომ მეფის რუსეთის მიერ აღებული ვალი რუსეთის ხალხის ვალია.**

ამხ. პერსელის სიტყვა

მოსკოვი, 12 ნოემბ. ინგლისის ტრედ-იუნიონების წარმომადგენელმა პერსელმა მიულოცა რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი გამარჯვება. რაც შეადგენს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის გამარჯვებასაც.

აღნიშნა რა თავისი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში 1920 წელს, პერსელმა ხაზი გაუსვა იმ არაჩვეულებრივ ცვლილებას, რომელიც მოხდა საბჭოთა კავშირის მუშის ცხოვრებაში. მუშების გარეგნული შეხედულებაც კი ამტკიცებს დიდ ცვლილებას. „ნეტა ამც მოგვეცეს საშუალება დავინახოთ ასეთივე ცვლილება ინგლისში"—განაცხადა პერსელმა. ამ სიტყვებს ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

პროფკავშირების [illegible] ცებს, რომ ინგლისის მუშები დიდათ აფასებენ რუსეთის პროლეტარიატის მიღწევებს. იმ მომენტში, როდესაც მუშათა პარტია დამარცხდა, მუშათა კლასი წარმოადგენს უფრო ძლიერ და შეკავშირებულ მასას, ვიდრე წინათ. დამარცხების გამო იგი უფრო მჭიდროთ შეკავშირდა, ვიდრე გამარჯვების დროში.

პერსელი ფიქრობს, რომ დადგა დრო, როდესაც პროფმოძრაობის ნამდვილი მთლიანობა საერთაშორისო მასშტაბით უნდა გახდეს მომხდარ ფაქტად. პირველი საქმე მხარეების შეხვედრა, რათა შესაძლებელი გახდეს მოლაპარაკება კონფერენციაზე ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე. „ჩვენი გულწრფელი სურვილია,—სთქვა პერსელმა,—გავერთიანდეთ საბჭოთა კავშირთან ერთ საერთაშორისო დროშის ქვეშ. მუშათა კლასში არ არის და არც შეიძლება იყოს უცხოელი. ჩვენი მოვალეობაა—გავერთიანდეთ კაპიტალიზმის გასანადგურებლათ".

ამხ. ბრომლეის სიტყვა.

მოსკოვი. 12 ნოემბ. ბრომლეი ესალმება პროფკავშირთა ყრილობას და მრავალ მილიონ ინგლისის მუშათაგან მიუძღვნის ძმურ სალამს საბჭოთა კავშირის მუშებს. ბრომლეი აღნიშნავს ინგლისში პროფმოძრაობის უდიდეს ზრდას.

1920 წელს ინგლისის პროფკავშირთა წევრების რიცხვი უდრიდა 6.500.000. ამჟამათ ცხოვრების იმ საერთო შენელების გამო, რომელსაც განიცდის მთელი ინგლისი, უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში შემჩნევა წევრთა რიცხვის ერთგვარი შემცირება. უკანასკნელ ყრილობის დროს აღრიცხულია მხოლოდ 4400000 წევრი.

რაც შეეხება კოოპერატიულ მოძრაობას, 4,500,000 მუშა კოოპერატივის წევრია. კოოპერაციის საერთო საზრუნავი თანხა უდრის 127 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

ბრომლეი აღიარებს, რომ ძირითადი საფუძველი ინგლისის პროფესიულ მოძრაობისა იგივეა, რაც რუსეთის მუშათა მოძრაობისა. ინგლისის მუშები დარწმუნდნენ, რომ ტექნიკისა და მეცნიერების სოციალმა მიღწევებმა სრულიადაც არ გააუმჯობესა მუშათა კლასის მდგომარეობა ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. **მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას, როცა ხელში ჩაიგდებს აწარმოების საშუალებათ.**

ამხ. ტილლეტის სიტყვა.

მოსკოვი. 12 ნოემბ. ამხ. ბენ ტილლეტი იწყებს თავის სიტყვას იმით, რომ **პირველ ყოვლისა მისი სურვილია მოწიწებით პატივი სცეს უდიდეს მებრძოლის—ლენინის ხსოვნას. ლენინი არის უდიდესი ადამიანი ჩვენის ეპოქისა.** [illegible] რევოლუციონისა [illegible].

ტილლეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ერთობ ბევრი რამ გააკეთა როგორც მთელი მსოფლიოსთვის, აგრეთვე ყველა ქვეყნის მუშათა კლასისთვის. **ტილლეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშებს ისევ მხარი დაუჭირონ ყოველნაირათ ლენინის საქმეს და განაგრძონ სასტიკი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ისევე მედგრათ, როგორც ამას ეწეოდა თვით ლენინი.**

ინგლისის დელეგაციის შემადგენლობა

მოსკოვი, 12 ნოემბ. საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ყრილობაზე მოსულ ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: **პერსელი, ჯონ ბრომლეი, ფრედ ბრამლი, ჰერბერტ სმიტი, ბენ ტილლეტი, ფინდლეი და ტერნერი.** დელეგაციასთან იმყოფება სამეურნეო საქმეების ექსპერტი მაკდონელი და თარჯიმანები. დელეგაცია სადგურზე მიეგება სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭო და ცენტრალური კომიტეტი.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი

მოსკოვი. 12 ნოემბ. „როსტას" საგანგებო წარმომადგენელთან საუბრის დროს ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის თავმჯდომარე პერსელმა განაცხადა:

„დელეგაცია მოვიდა სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს მოწვევით, რომ ჩვენი თვალით გავეცნოთ, თუ როგორ ცხოვრობს რუსეთის მუშათა კლასი დღევანდელ რევოლუციურ პირობებში. დელეგაციის სამი მიზანი აქვს დასახული: **პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა გადავცეთ საერთო საკავშირო პროფკავშირთა ყრილობას ინგლისის მუშათა კლასის სალამი.** მეორე—ჩვენ გვინდა გავეცნოთ რუსეთის პროლეტარიატის მიღწევანი რევოლუციის შემდეგ. ამასთანავე ტრედ-იუნიონების კონგრესს უნდა წარვუდგინოთ ყველა მასალები რუსეთის რევოლუციის შესახებ, რომ ამით ერთხელ და სამუდამოთ მოვსპოთ ის ულეველი სიყალბენი და ცილისწამებანი, რომელსაც ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ საზღვარგარეთ. მესამე:—დელეგაციის უნდა ადგილობრივ გამოარკვიოს—თუ ინგლისის მუშებს როგორ შეუძლიათ უფრო ნამდვილი და უფრო სწრაფი დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირის მუშებს. ამასთანავე ამ დახმარების დროს ანგარიშში უნდა იყვეს მიღებული ინგლისის პროლეტარიატის ინტერესები და კერძოთ კი უნდა ყოველნაირათ ვეცადოთ უმუშევრობის შემცირებას ინგლისში".

მასთან ერთად დელეგაციის მდივანმა ფრედ ბრამლიმ განაცხადა:

„ჩვენ გვინდა ჩვენი თვალით ვიხილოთ ყველაფერი, რაც კი გვაინტერესებს საბჭოთა კავშირში.

ამის შემდეგ კი ველარავინ ვერ გაბედავს გვეასყვედუროს: „თქვენ არაფერი არ გინახავთ. თქვენ მხოლოდ ის გესმოდათ, რასაც გეუბნეოდენო".

საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის და მისი პერსპექტივების შესახებ პერსელმა განაცხადა „ამ ჟამათ ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის პერსპექტივების შესახებ. ინგლისის პროფკავშირების პოლიტიკა მიმართულია ამ მთლიანობის საჩქაროთ განხორციელებისაკენ. ინგლისის პროფკავშირები ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა იქნას მოწვეული ამსტერდამის ინტერნაციონალის და რუსეთის პროფკავშირების წინასწარი კონფერენცია. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან მოლაპარაკება გადადებულია იანვრამდე ინგლისის პროფკავშირების მოთხოვნით. მათ სურთ თავიანთი პოზიციების განმტკიცება იმ ფაქტებით, რომელსაც დელეგაცია შეკრებავს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს

ინგლისის პროფკავშირების დელეგაციას, რომელიც გაემგზავრა ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე, აგრეთვე დაევალა წასვლა მექსიკაში პან-ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე, რათა იქაც აწარმოვოს სათანადო პოლიტიკა პროფმოძრაობის მთლიანობის დასამყარებლად. ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხის შესახებ დელეგაციის წევრმა ბრომლეიმ სთქვა: „**საერთაშორისო დამოკიდებულებათა საერთო ტენდენცია ისეთია, რომ კონსერვატორების კაბინეტი იძულებული იქნება, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ამა თუ იმ ფორმით მიიღოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.** ამას აიძულებს მას რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება. რუსეთის საკითხს არჩევნების დროს უდიდესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, და იგი დაკავშირებული იყო მთელ რიგ სხვა საკითხებთან, კერძოთ ფასების საკითხთან რუსეთის ხორბლის გატანა ინგლისის ბაზარზე—ერთად-ერთი გზაა იმისათვის, რათა დაწეულ იქნას პურის ფასები.

ინგლისის ისტორია ამტკიცებს, რომ ყოველი შემდეგი მთავრობა იპარავს წინამორბედ მთავრობის პროგრამას. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ კონსერვატორები, რომლებიც დორბლებს ჰყრიდნენ და თავს ესხმოდნენ მუშათა მთავრობას რუსეთისათვის სესხის მიცემის სურვილის გამო, ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ თვით გაანაღდებენ ამ სესხს. ოპოზიცია სესხის წინააღმდეგ აიხსნება უფრო იმით, რომ სესხის საკითხი დააყენა მუშათა მთავრობამ."

საერთაშორისო პოლიტიკა და ჩვენი ახალგაზრდობა

ამხ. ჩიჩერინის მოხსენება რუს. ახალ. ლენინელთა კომკავ. მოსკოვის ორგანიზაციის კრებაზე

ურთიერთობის განახლება ამერიკასთან ჩვენ უფრო ფართო პერსპექტივებს გვიშლის, ვიდრე ურთიერთობა ინგლისთან.—ჩვენი შავი-ქვის როლი.—ბალდვინის მთავრობის არხი-იმპერიალისტური პოლიტიკა.—საფრანგეთის ვაჭრობის და მრეწველობის ინტერესები.—ინტერესთა სხვადასხვაობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის.—ამერიკის როლი.—ჩვენი გზა.

მოსკოვი. 11 ნოემბ. რ. ა. ლ. კ. კ. მოსკოვის ორგანიზაციის საზეიმო კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩიჩერინი.

ჯამი გაუკეთა რა შვიდი წლის ბრძოლის შედეგებს, ჩიჩერინი გადავიდა საფრანგეთთან და ამერიკასთან მოსალოდნელ მოლაპარაკების პერსპექტივებზე.

მოლაპარაკების შესაძლებლობა ამერიკასთან

ამხ. ჩიჩერინმა სთქვა;—ეხლა მივიღე დეპეშა იუზის, ჩვენი მთავარი მტრის, გადადგომის შესაძლებლობის შესახებ. იუზის გადადგომა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხვალვე დაიწყება მოლაპარაკება ამერიკასთან, **მაგრამ მისი გადადგომა შესაძლებლათ ხდის მოლაპარაკების დაწყებას.**

ურთიერთობის განახლება ამერიკასთან ჩვენ უფრო ფართო პერსპექტივებს გვიშლის, ვიდრე ურთიერთობა ინგლისთან, რადგან ომის დროს და ომის შემდეგ ამერიკა ყველაზე უფრო მდიდარ ქვეყნათ გახდა მთელს მსოფლიოში. მისი სარდაფები ავსილია ოქროთი.

ნავთთან ერთად ამ ჟამათ დიდის როლს თამაშობს შავი ქვა, ურომლისოთაც შეუძლებელია ფოლადის დამზადება, რომელსაც ასეთი დიდი რაოდენობით ამზადებს ეხლა ამერიკა

შავი ქვა კი არის მხოლოდ ინდოეთში და საქართველოში. საქართველოს საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ ფოლადის დამზადების ნახევარზე მსოფლიო მასშტაბით. ეხლა ამერიკის ერთერთი გავლენიანი ფირმა მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენთან საქართველოში შავი ქვის კონცესიების მიღების შესახებ.

ინგლისის ახალი მინისტრები

შეეხო რა მაკდონალდის დამარცხებას და კონსერვატორების გამარჯვებას ინგლისში, ჩიჩერინი გადავიდა ინგლისის ეხლანდელი სამინისტროს დახასიათებაზე.

— ჩვენი ძველი ნაცნობი კერზონი —ამბობს ჩიჩერინი, —ჩამოაშორეს გარეშე საქმეთა სამინისტროს. მას მისცეს მხოლოდ [illegible] თანამდებობა. გარეშე საქმეთა მინისტრათ გახდა ჩემბერლენი. ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან კერზონი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინდოეთის ვიცე-კოროლათ იყო, მთავარ ყურადღებას აქცევდა აზიას, ის საბჭოთა მთავრობას მოპირდაპირეთ, მეტოქეთ სთვლიდა და მას ისეთივე სიძულვილით უყურებდა, როგორც წინეთ მეფის მთავრობას. ჩემბერლენი კი, შვი-



იუსტინ ჩემბერლენი

ინგლისის მთავრობის წევრი—საგარეო საქმეთა მინისტრი

ლი ცნობილი ჩემბერლენისა, რომელიც იყო მთავარი ინიციატორი ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკისა, ავსტრალიის, სამხრეთ აფრი-



ნევილ ჩემბერლენი

ინგლისის მთავრობის წევრი—სახალხო ჯანმრთელობის მინისტრი.

კის და სხვა კოლონიების მეტროპოლიასთან გაერთიანების მხრივ, ოჯახური ტრადიციით წარმოადგენს ინგლისის პოლიტიკას მთლიანათ.

ახალ სამინისტროში არის ჩვენი ძველი ნაცნობიც ჩერჩილი, რომელ-



იუსტინ ჩერჩილი

ინგლისის მთავრობის წევრი—ხაზინის კანცლერი

საც ჩაბარებული აქვს ფინანსთა სამინისტრო. ფინანსთა სამინისტროსათვის საჭიროა მკაცრი ანგარიშის მოყვარე კაცი, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, ჩვენი სოკოლნიკოვი. ჩერჩილი თავისი [illegible] და [illegible] მიდრეკილებებით ფინანსთა იდეალური მინისტრის საწინააღმდეგო ტიპს წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა მინისტრათ დანიშნულია ყველაზე უფრო რეაქციონერი კონსერვატორი, რომელიც სასტიკ რეპრესიულ ზომებს მიიღებს მუშათა კლასის წინააღმდეგ.

კერზონის, ჩერჩილის და სხვების პიროვნება გვაიძულებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ ახალი მთავრობის პოლიტიკა ჩვენ მიმართ იქნება არხი-იმპერიალისტური, ინტერვენციონისტული.

ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავრობაში წარმოდგენილია ძლიერ იმიმდინარეობა საქმიანი ხალხისა, რომლებთაც სურთ ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან

თვით ბალდვინის ბიძაშვილი რამოდენიმე ხნის წინათ მოსკოვში იყო, სადაც ის მოლაპარაკებას აწარმოებდა თავისი სამრეწველო ფირმის შესახებ.

მოლაპარაკება საფრანგეთთან

საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ მზადდებოდა ამ [illegible] ხანგრძლივი დამუშავებით და კონტაქტით საფრანგეთის პოლიტიკურ და საქმიან წრეებთან. [illegible] რომელიც დაკავშირებულია ლიონის ქარხნებთან, წარმომადგენელია საფრანგეთის აქტიურ მრეწველობის და ვაჭრობის. საბჭოთა კავშირის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ფეხი შედგა საფრანგეთის ნიადაგზე, იყო მალიშევი; ეს უკანასკნელი წავიდა ლიონში, რომლის ქალაქის თავათ ითვლება ერრიო. **ჩვენს მოლაპარაკებაში საფრანგეთთან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ვაჭრობის და მრეწველობის საკითხები.**

ამრიგათ, ინგლისს ყავს კონკურენტი, რომელიც მზათ არის დაიკავოს მისი ადგილი, მაგრამ მოლაპარაკება საფრანგეთთან უფრო ძნელი იქნება. საფრანგეთში უფრო მეტია ფასიანი ქაღალდების მეპატრონეები, ვიდრე ინგლისში. ამასთანავე საბჭოთა კავშირში ფრანგებს უფრო მეტი ქონება ჩამოერთვათ, ვიდრე ინგლისელებს. მარტო საქციონერო კაპიტალით ინგლისელებს ჰქონდათ 500.000.000 მანეთი, ფრანგებს კი—731.000.000 მაგრამ ჩამორთმეული ქონება არ განისაზღვრება მარტო საქციონერო კაპიტალით.

მრავალი ციფრები, რომლებიც ჩვენ წარმოგვიდგინეს ინგლისთან მოლაპარაკების დროს, გადაჭარბებული იყო. ასეთივე მდგომარეობა იქნება, ალბათ, საფრანგეთთან მოლაპარაკების დროსაც. მოსალოდნელია სერიოზული უთანხმოება.

ყოველ შემთხვევაში სესხის გარეშე ჩვენ არავითარ პრეტენზიას არ დავაკმაყოფილებთ. და აქ ჩვენ გვხვდება ერთი დაბრკოლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთი უფრო ღარიბია კაპიტალით, ვიდრე ინგლისი. მას გაუძნელდება ჩვენთვის სესხის მიცემა. ამის გამო, ფრანგებმა წამოაყენეს მეორე კომბინაცია, სახელდობრ, მათთვის კონცესიების მიცემა, იმ პირობით, რომ შემოსავალი ამ კონცესიებიდან უნდა მოხმარდეს საფრანგეთის კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს შემოსავალი მეტათ მცირეა.

ინტერესთა წინააღმდეგობა.

მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში და [illegible] დიდი ხვრელი ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ კაპიტალისტების ერთიან ფრონტში არის ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმი, რომელსაც გრძელი ისტორია აქვს.

ინგლისის ბურჟუაზია თანდათან უპყრობდა საერთაშორისო მდგომარეობას, საფრანგეთის ბურჟუაზია ნახტომებით მისდევდა თავის მეტოქს. ინგლისი ყოველთვის ცდილობდა ერთმანეთისათვის გაეჯიბრებინა კონტინენტის სახელმწიფოები, რომ არ დაეშვა რომელიმეს [illegible] გაძლიერება. ეხლა ინგლისისათვის ასეთ საშიშ სახელმწიფოდ ხდება ისევ საფრანგეთი, [illegible] ძლიერება ომის შემდეგ [illegible] გაიზარდა.

ჩვენ ყველა მოლაპარაკებებში ვხედავდით ამას.

ამჟამად, როდესაც საფრანგეთი მოლაპარაკებას იწყებს ჩვენთან, **საფრანგეთის მრავალ პოლიტიკოსების იდუმალ აზრს შეადგენს ის, [illegible] მათ უნდათ პოლიტიკური კავშირის დამყარება ჩვენთან ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ნეიტრალიზაცია მომავალ ომში ინგლისთან.**

ინგლისი ყოველთვის მოხერხებულად მოქმედობდა. სხვადასხვა ხრიკების წყალობით მან მოახერხა საფრანგეთის დასუსტება და ამ უკანასკნელის მხრივ დათმობაზე წასვლა. მან ამ შემთხვევაში ისარგებლა საფრანგეთ-გერმანიის საუკუნოებრივი მტრობით.

ვინ ისარგებლა რურის ავანტიურით

აღნიშნა რა მოკლეთ ამ მტრობის ისტორია, ჩიჩერინი გადავიდა მის უკანასკნელ ეტაპზე—რურის ავანტიურაზე.

რურის ავანტიურის შედეგი იყო ის, რომ ამ ავანტიურით მოგებული, [illegible] არა მარტო ინგლისი, არამედ ინგლის-ამერიკის ბლოკიც. უმაღლესი არბიტრის როლს ეხლა თამაშობს ამერიკა.

ამერიკის ახალი როლი ევროპის საქმეებში თანამედროვე პოლიტიკის ერთერთი ფაქტორია. ამ ბლოკის დახმარებით ინგლისმა შესძლო საფრანგეთის ჩამოშორება წინანდელი [illegible] — სოლის ჩასობისაგან საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

ინგლისისათვის საფრანგეთის და გერმანიის ეკონომიური დაახლოვება საშიში იყო, რადგან საფრანგეთ-გერმანიის ლითონის დამუშავებული მრეწველობა ისეთი ძლიერი კონცერნი იქნებოდა, რომ ის განდევნიდა ევროპის კონტინენტიდან ინგლისის ლითონის დამამუშავებელ მრეწველობას.

ერთა ლიგა

ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმის ერთერთი მთავარი ასპარეზია ერთა ლიგა. ინგლისი ერთა ლიგას პირველ რიგში აყენებს განიარაღებას, რომ ამით დაასუსტოს საფრანგეთი. საფრანგეთი კი პირველ რიგში აყენებს დახმარების გაწევას ერთმანეთისათვის, იმ აზრით რომ გაადიდოს თავისი სამხედრო ძლიერება. იტალია, ერთა ლიგაში ოპოზიციაში სდგას როგორც ისეთი ქვეყანა, რომელიც, მის აზრით, დაჩაგრეს ნადავლის გაყოფის დროს იმპერიალისტური ომის შემდეგ.

გლეხთა პარტიები

მთელი მცირე ანტანტისათვის დამახასიათებელია ეხლა გლეხთა პარტიების მარცხნივ გადახრა და გლეხობის პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერება. რამდენიმეთ სუსტათ არის ეს გამოხატული ჩეხო-სლოვაკიაში. გლეხთა ეხლა ოპოზიციის როლს თამაშობს გაბატონებული კაპიტალისტურ ძალების წინააღმდეგ. რუმინიაშიც კი ადგილი აქვს გლეხობის მარცხნივ გადახრას. ხელმძღვანელია ხორვატიის გლეხთა პარტია, რომლის ბელადი რადიჩი ამას წინათ მოსკოვში იყო. მისი პარტიის შესვლა კომინტერნში—მეტათ მნიშვნელოვანი ხანაა გლეხობის ისტორიაში.

გლეხთა პარტიები თანდათან უფრო მარცხნივ იხრებიან, ისინი თანდათან უფრო რევოლუციონურნი ხდებიან. გლეხთა პარტიის ზრდა ნიშნავს პოლიტიკური აქტიურობის ზრდას, რასაც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

ახალგაზრდობის როლი.

აღნიშნა რა მოკლეთ მუშათა კლასის პოლიტიკური აქტიურობის ზრდა ინგლისში და საფრანგეთში და აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა, ამ ხალხთა, რომელთა კავშირი ჩვენთან კიდევ უფრო მტკიცდება იმპერიალისტების ძალადობის გამო, ამხ. ჩიჩერინი გადავიდა საკითხზე ახალგაზრდობის როლის შესახებ.

— ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა,—სთქვა მან,—იმ ორგანიზაციის კრებაზე გამოსვლა, რომელსაც შეფობა აქვს მიღებული ფლოტზე. შეუძლებელია საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება, თუ ძლიერი არ ხარ ზღვაზე. ზღვაზე ბატონობა ნიშნავს ბატონობას მთელს დედა-მიწაზე. საერთაშორისო ისტორია აღნიშნავს, რომ ხმელეთის სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ იმარჯვებენ, როდესაც მათ შეუძლიათ გემების ყოლა. ამიტომ არ შეიძლება სერიოზული ყურადღება არ მივაქციოთ წითელი ფლოტის განვითარებას.

საერთაშორისო ომი ნაწილობრივ გამოწვეული იყო მისწრაფებით, რათა ბოლო მოეღებოდა რევოლუციონურ მოძრაობას, რომელიც თანდათან ვითარდებოდა. გამოქვეყნებული დიპლომატიური მიწერ-მოწერა ამას ნათლათ ამტკიცებს. უკანასკნელ წლებში ომის წინ მოსახლეობის ფართო მასები აღარ ემორჩილებოდენ რეფორმისტულ ბელადებს. მემარცხენე ბელადები კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი და საერთოდ გერმანიის ახალგაზრდობა მთავარი მომქმედი პირები იყვნენ დაწყებულ ბრძოლაში. [illegible] განსაკუთრებით [illegible] აღვნიშნავ, რომ **ახალგაზრდობის ორგანიზაცია პირველი ორგანიზაცია იყო, რომელიც ომის დროს გამოვიდა ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარების წინააღმდეგ.**

გზა კიდევ გრძელია, ის რთული და ძნელია, მაგრამ ახალგაზრდობას საკმაო დრო აქვს, რომ შეასრულოს თავისი ისტორიული ამოცანები. ჩვენ განვიცდით დროს, რომელსაც არ ჰქონია პრეცედენტი ისტორიაში, და ახალგაზრდობის როლი მასში მცირე არ არის.

„ბოლშევიკური მთავრობა" ჩინეთში

ლონდონი. 12 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გენერალი ფინ-იუ-სიანი ჩავიდა ტიან-ძინში, სადაც მას თათბირი ექნება ტუანც-ზი-ჟუსთან, ჩჟან-ცზოლინთან და ჩონ-იფ-ლონთან. „მორნინგ პოსტ" აღნიშნავს, რომ **პეკინის ეხლანდელი მთავრობა შეიძლება ბოლშევიკურად ჩაითვალოს. ვინაიდამ ამ მთავრობის წევრებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საბჭოთა კავშირის საელჩოსთან.** რეიტერის სააგენტოს ცნობით, უ-პეი-ფუს განზრახული აქვს შეაგროვოს სამხრეთში ახალი ჯარები.

ბალდვინი იწყებს „მუშაობას"

ლონდონი. 12 ნოემბ. ბალდვინის კაბინეტის პირველი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს. ფიქრობენ, რომ პირველ ყოვლისა სხდომების [illegible] რიგი მოუნდება მთავრობის [illegible] გეგმების ჩამოყალიბებას.

იუზის მარცხი

ნიუ-იორკი. 11 ნოემ. ამერიკის პრესა კომენტარიებს უკეთებს სენატორ ლოდჯის გარდაცვალებას და მისი ადგილის დაკავებას სენატის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარის სენატორ ბორას მიერ; პრესა აღნიშნავს, რომ **მდგომარეობა, რომელიც შეიქნა ბორას და იუზის შორის მომხდარ კონფლიქტის გამო, ხანსაკუთრებით საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხში, უფრო შესაძლებელს ხდის იუზის გადადგომას.**

მონარქისტები ლოცულობენ

ხარბინი, 11 ნოემბ. ხარბინის მონარქისტებმა 7 ნოემბერს პანაშვიდი გადაუხადეს ნიკოლოზს და გაავრცელეს ქალაქში ფურცლები, რომლებშიაც მოუწოდებდენ ხალხს „იმარხულონ და მხურვალედ ილოცონ ბოლშევიკების მიერ გაწამებულ სამშობლოს გადარჩენაზე". ფურცლის ბოლოს ასე სწერია: „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩინეთის დიდი პატრიოტი-მარშალი ჩჟან-ცზო-ლინი არ დაუშვებს აქ კომუნისტების ბატონობას და წითელი ავაზაკები განდევნილი იქნებიან მანჯურიიდანო".

საქალაქო სასწავლებელში გამართულ კრებაზე მონარქისტებმა ჭატაკზე გაფინეს საბჭოთა კავშირის დროშები, გათელეს ფეხებით და შემდეგ ნაკუწ-ნაკუწებად დაგლიჯეს.

კაპიტალისტების წინააღმდეგ

საფრანგეთის მუშების მანიფესტაცია

პარიზი, 11 ნოემბ. ნოჟან-ლერ-მარნში, ომში დაღუპულ მებრძოლთა ძეგლის გახსნის დროს, კომუნისტური დეპუტატი ანრიე გამოვიდა ვრცელი სიტყვით. **დამსწრე ხალხის დიდი ნაწილი მხურვალეთ მიესალმა ანრიეს გამოსვლას და შეასრულა ინტერნაციონალი. მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება** რასაც შედეგათ მოჰყვა რამოდენიმე მანიფესტანტის და მრავალი პოლიციელების დაჭრა.

ბულონ სიურ მერში, ომში დაღუპულთა ძეგლის წინ, კომუნისტურმა დეპუტატმა ვაიან-კუტიურიემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც **გალაშქრა ომისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ; მის სიტყვებს დამსწრეები მგზნარე ტაშით შეხვდა.**

კვირას ლუნა-პარკში ოქტომბრის რევოლუციის მე-7 წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართა მასიური მიტინგი, რომელსაც დაესწრო 20,000 კაცი. მოზღვავებული ხალხი მხურვალეთ ესალმებოდა კომუნისტების და შრომის უნიტარულ კონფედერაციის წარმომადგენლების სიტყვებს, რომლებიც მიძღვნილი იყო ბოლშევიკების გამარჯვებისა და ლენინის ხსოვნისათვის.

საფრანგეთის კომკავშირის ბელადმა დორიომ გაკიცხა სოციალისტების მოღალატური პოლიტიკა. კომუნისტურმა დეპუტატმა ტრენმა, რომელსაც დამსწრეები მხურვალე ოვაციებით შეხვდენ, **დაახასიათა საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინება და მისი არაჩვეულებრივი რევოლუციონური აღტკინება, რის შემდეგაც ის მიესალმა საბჭოთა რესპუბლიკას.**

ვაიან კუტიურიემ აღნიშნა წითელი არმიის გმირობა და ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა პროლეტარიატის შეიარაღება.

კაშენმა, რომელსაც დარბაზი ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდა, აღნიშნა რუსეთის პროლეტარიატის მიერ გაღებული მსხვერპლი და ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის პროლეტარიატმა წამოაყენა საერთაშორისო კომუნიზმის იდეა.

მიტინგი, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე, ამტკიცებს იმას, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი უარყოფით ეპყრობა სოციალისტებს და შრომის რეფორმისტულ კონფედერაციას, ის დამამტკიცებელია აგრეთვე იმის, რომ კომპარტიის გავლენა მუშათა მასებზე იზრდება; ამ მიტინგმა დაამტკიცა ისიც, თუ როგორი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან საფრანგეთის მუშები რუსეთის რევოლუციას. მიტინგის გათავების შემდეგ დამსწრეები ინტერნაციონალის სიმღერით გამოვიდენ ქუჩებზე და გაიარეს ქალაქში.

„იუმანიტე"-ს კვირის ნომერი თითქმის მთლიანათ ეძღვნება რუსეთის რევოლუციისათვის.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას

ჩვენი ვანო

მოკვდა დიდი მსახიობი! ქართველ ერს ჩამოაკლდა გულწრფელი მოჭირნახულე...

აღარ სუნთქავს საერთო სიყვარული, ჩვენი ვანო!..

რამდენათ ძლიერი და მხურვალე იყო მისი აღმაფრენა, იმდენათ მწვავე და გულსაკლავია მისი დანაკლისი.

ვანო იშვიათი მებაირახტრე ხელოვნების დარგში. იშვიათი სიყვარული და გულმხურვალე პატივისცემა დაიმსახურა მან თავის ერში, ამიტომ გაუხუნელ სიმკვეთით მოხვდება ყველას გულს, სულს და გრძნობას ამბავი, რომ ის აღარ არის.

ყველაში ჩაკვდება ის აღფრთოვანება, რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით, როცა საოპერო თეატრისაკენ მივეშურებოდით.

იქ ვნახავდით მას, მოვისმენდით მის დაუცხრომელ გრძნობებს, რომელიც მუდამ ზე ით-ზევით მიჰქრის და თან მიაქროლებს, ახალ, ჯერ გაუცნობელ, [illegible] კენ.

[illegible] იყის ისეთი იმპულსების შედეგა, რომელსაც კალმის წვერი ვერ აღწერს, რომელსაც ენაც ვერ გამოსთქვამს, რომელსაც მხოლოდ აზროვნობის ჰორიზონტი იტევს. აი ასეთი, გამოუცნობ გრძნობათა იმპულსების თვალუწვდენელი ზღვა იყო ჩვენი ვანო!.. ასეთად მოევლინა ის ამ ათის წლის წინ საქართველოს ხელოვნების ტაძარს, ასეთის გრძნობებით გვათრობდა ის მთელი ათი წელი. მასში იყო გულწრფელობა, მასში ჩირაღდნობდა მღელვარე ტემპერამენტი, მის გულში ელვარებდა სიყვარული ხელოვნებისადმი.

მოკვდა ვანო. ფიზიკურათ ჩამოგვშორდა. მაგრამ ის დიდხანს იცოცხლებს, როგორც შეუდარებელი.

დიდება მის ხსოვნას, მის საქმეს, შრომას, მის მეცადინეობას!

მ. ხუხუნაიშვილი.

ძვირფას ვანო სარაჯიშვილის უკვდავ ხსოვნას

აღარა გვყავს ვანო. ველარ ვიხილავთ მას. სიკვდილის გაყინულმა ხელებმა სამუდამოდ მოგვტაცეს მისი სიცოცხლე, ვისი ხილვაც ყოველ შეგნებულ და კულტურულ ადამიანისათვის სასიამოვნო იყო.

დავმარხავთ ვანოს, მაგრამ არასოდეს არ დაიმარხება მის მიერ შექმნილი და განსახიერებული ტიპები.

ვის არ ახსოვს მუდამ მოსიყვარულე და ტანჯული აბესალომი, მალხაზი ხოზე, მაღალი სახიოვარია ტანჯებული კავარადოსი, გონება-შეშლილი ჰერმანი, წარუხოცელია ამაყი და ძლიერი მოსიყვარულე რადამესი, ასევე გამოუხატავია რელიგიისათვის თავდადებული რაული, მუდამ ლირიკული შოთა, ნადირი, ლენსკი და ბევრი სხვა ამგვარი. დიახ, ტკბილი [illegible], როგორაც დაუვიწყარი და ამოუშლელია ვანოს [illegible] და იქ ამოძახილ-ნაპოვნი ლამაზი, იშვიათი მოსიყვარულე ფრაზა, მისი თავდავიწყებას მიცემული ტემპერამენტი და ყველა ამასთანავე მხატვრული და კეთილშობილი თამაში.

ძნელი ყოფილა ამ სტრიქონების წერა, ვინაიდან ჩემმა გონებამ ვერ შეიმეცნო და არასოდეს არ უნდა შეიმეცნოს ეს საშინელი ამბავი, მაგრამ მოუდრეკელია ბუნების [illegible] კანონი.

მშვიდობით საყვარელო ვანო! [illegible] დაიმსახურე უზომო სიყვარული და დიდების გვირგვინი როგორც შენი პატარა, საყვარელი სამშობლოსი, ისევე სხვა ერებისა. შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება. ხოლო უდიდესად ბედნიერი იქნება ხელოვანი, თუ უკანასკნელს ისეთი სილამაზით, ნეტარებით და სიამით [illegible] ცებს, როგორც [illegible] თქვენ...

დაობლდა ქართული სცენა!

კიდევ მშვიდობით...

ვახტანგ ნეიმანი.

— ვანო სარაჯიშვილის ცხედარი, ხვალ, 14 ნოემბერს საკუთარი ბინიდან გადატანილი იქნება ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) საიდანაც კვირას, 16 ნოემბერს შუადღისას მოხდება გამოსვენება.

— დამკრძალავი კომისიის დადგენილებით, ვანო სარაჯიშვილი დასაფლავებული იქნება სახელმწიფო ოპერის ბაღში.

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მაღალ ნიჭიერისა და იშვიათ ხელოვანის, რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე **კიკალიშვილი.**

პარტიული ცხოვრება

სოფლად პარტიის გარშემო უნდა შევქმნათ უპარტიო გლეხობის აქტივი

სოფლის იაჩეიკების მდივნების თათბირზედ ამხ. სტალინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციის ერთ-ერთ მუხლში სხვათაშორის ნათქვამია, რომ: „სოფლად პარტიული მუშაობის მთავარი ნაკლულოვანება მდგომარეობს უპარტიო გლეხობის აქტივის უყოლობაში, რომელიც უნდა აკავშირებდეს პარტიას ფართე მშრომელ მასსებთან"-ო.

დღეს, როგორც ვიცით, პარტიის და სახელმწიფოს მიერ სოფლად მუშაობის გამოცხოველების საკითხი დაკვრით ამოცანადაა გამოცხადებული. და რომ ცხოვრებაში განვახორციელოთ ეს ამოცანა და მით პირნათლად შევასრულოთ ჩვენი დიდი მასწავლებლის, ილიჩის ანდერძი, ამისათვის ერთ-ერთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სოფლად პარტიის გარშემო უპარტიო გლეხობის აქტივის შექმნა.

ამ შემთხვევაში რუსეთის სოფლის იაჩეიკების მდივნების თათბირზედ მიღებული რეზოლიუცია სრულიად და სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სინამდვილეშიაც.

უპარტიო გლეხობის აქტივი გახდება იმ ელემენტად სოფლად, რომელიც იქნება უშუალოდ დაკავშირებული ფართე მშრომელ მასსებთან, მათ მოთხოვნილებებთან, ფსიქოლოგიასთან უკეთ, ვინემ სხვა რომელიმე.

აი მაშინ, როგორც ამას თვით ამხ. სტალინი ამბობს: „ჩვენ დავახლოვდებით, დაუკავშირდებით სოფელს არა მარტო სოფლის იაჩეიკების საშუალებით, არამედ ფართე ხიდით უპარტიო გლეხობის აქტივისა".

სოფლად პარტიის ირგვლივ უპარტიოთა აქტივის შექმნა ჩვენს პრაქტიკაში ახალი მოვლენაა მაგრამ ის მეტად მტკიცე გზა და ერთი საუკეთესო საშუალებაა ამ მხრივ.

დღევანდელი კავშირი [illegible] არ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. მართალია, სოფლის ქალაქთან დაახლოვებისათვის ჩვენ მივმართავთ გლეხობისათვის როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ხასიათის დახმარების საშუალებებს, მაგრამ ამ [illegible] ეს არ არის საკმაო.

ამ მიზნისათვის, როგორც ვსთქვით, სწორედ აუცილებელია ორგანიზაცია და დარაზმვა სოფლის აქტივისა. [illegible] საშუალებით შესაძლებელი [illegible] დამყარება უფრო მჭიდრო [illegible] კავშირისა პარტიასა და გლეხობას [illegible] შეიძლება ამ აქტივის [illegible] საბჭოების გამოცოცხლებით და გლეხობის უშუალო ჩაბმით [illegible] მართვა-გამგებლობაში.

მხოლოდ თვით საბჭოების გამოცოცხლება კი სავსებით დამოკიდებულია გლეხობასთან დამოკიდებულებაში [illegible] პოლიტიკის სრული აღსრულებაზე და პარტიულთა და უპარტიოთა შორის ურთიერთობის დამყარებაზე, რომლებზედაც ყოველთვის ხაზგასმით გველაპარაკებოდა და [illegible] ამხ. ლენინი.

ამ [illegible], სოფლის უპარტიო აქტივის შექმნა, — აი დღევანდელი ერთ-ერთი ლოზუნგი და ამოცანა ჩვენი პარტიისა.

მხოლოდ [illegible] პარტიული მუშაობის ამ [illegible] წარმართვის დროს ჩვენ [illegible] უნდა დავივიწყოთ და მუდამ [illegible] გვახსოვდეს ილიჩის მეორე ანდერძი, რომ „გლეხობასთან [illegible] არა მარტო მათ სასწავლებლათ, არამედ მათგან სასწავლებლათ[illegible]".

შ. ა—ძე

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

„თემქა"-ს კომკავშირის უჯრედში

26 ოქტომბერს უჯრედის მორიგ სხდომას ესწრებოდნენ გამოუკლებლივ ყველა წევრები. კრებას ხსნის [illegible] ამხ. [illegible]. კრების მორიგი თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს: 1 ანგარიში „თემქის" ბავშვთა ორგანიზაციის კოლექტივის ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ხოდრიშვილის და მიმდინარე საკითხები, 2. მოხსენება ამხ. თუთბერიძესი თბილისის ბავშვთა ორგანიზაციის დაარსებისა და მისი 2 წლის მუშაობის შესახებ.

ამხ. ხოდრიშვილმა თავის ინფორმაციულ მოხსენებაში ვრცლად გააცნო კრებას კოლექტივის მუშაობა: თუ როგორ და რა დროს დაარსებულა კოლექტივი, რა პირობებში უხდებოდა მას და უხდება მუშაობა, რა გაუკეთებიათ მათ და სხვ. კერძოდ კი კოლექტივს გამოუშვია 10 ნომერი კედლის გაზეთისა, მოუწყვიათ ლენინის კუთხე, დაუარსებიათ დრამატიული და სამხატვრო წრე. [illegible] რეს დაუდგამს ამ წარსულ ხა[illegible] [illegible] წარმოდგენა. აგრეთვე სანიტარული მუშაობაც კარგათ ჰქონიათ მოწყობილი. ამორჩეული ჰყოლიათ ბავშვკორები გაზეთში თანამშრომლობისათვის.

კოლექტივის ალმასკომის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

ამხ. თუთბერიძე თავის მოკლე მოხსენებაში შეეხო ბავშვთა ორგანიზაციის დაარსების ისტორიას თბილისში. ვინაიდან „შევარდენი"-ს დაშლის შემდეგ არ გვყავდა მომზადებული კადრი ინსტრუქტორებისა—ამისათვის გახსნილი იქნა სათანადო სკოლა, სადაც ამზადებდნენ კადრს ინსტრუქტორებისას კომკავშირელებიდან.

ამ ჟამად დღითი დღე იზრდება ბავშვთა ორგანიზაცია.

მომხსენებელი გამოსთქვამს იმედს, რომ ბავშვთა ორგანიზაცია მომავალში უფრო უკეთ იქნება დაყენებული. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია.

ვიქტორ მეუნარგია.

სეით დევდარიანის მოხსენება

სამშაბათს, 11 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე საოპერო თეატრის შენობაში სეით დევდარიანმა გააკეთა მოხსენება საქართველოს უკანასკნელი ამბების შესახებ.

მოხსენების შესავალში სეით დევდარიანი ეხება მარქსის დებულებას ყოველი მოვლენების რეალურათ შეფასების შესახებ. დაასკვნის, რომ საქართველოში აგვისტოს ბოლოს მომხდარ ამბების ხელმძღვანელობის და ინიციატორობის უარყოფა მენშევიკებისაგან არის თავის მოტყუილება და სინამდვილის შეფასების გვერდზე ავლა.

დევდარიანი ამტკიცებს რომ აჯანყება მოწყობილი იყო საზღვარ-გარეთ მყოფ მენშევიკთა ბიუროს მიერ მაგრამ მისი აზრით ეს მოხდა ევროპის იმპერიალისტების და მეორე ინტერნაციონალის რეალური დახმარების გარეშე.

ამ ამბებმა დიდი ხმაურობა გამოიწვია ევროპაში, მაგრამ ვერც მეორე ინტერნაციონალმა და ვერც ერთა ლიგამ ცარიელი რეზოლიუციების გარდა ვერავითარ საიმედოს ვერ დაპირდენ აჯანყების ხელმძღვანელთ. თუ აჯანყება გაიმარჯვებდა ევროპის ბურჟუაზია რასაკვირველია ისარგებლებდა მისი შედეგებით, მით უმეტეს თუ გამართლდებოდა ევროპის ბურჟუაზიის იმედები და საქართველოს აჯანყება გახდებოდა დასაწყისათ ყველა საბჭოთ რესპუბლიკების ნგრევა-რღვევისა. ეს რღვევა რომ არ დაწყებულიყო ხელისუფლებამ სასტიკი ზომები მიიღო აჯანყების ყოველგვარი ცდის ჩასაქრობათ და სხვანაირათ ვერ მოიქცეოდა ვერც ერთი ხელისუფლება ეს გათვალისწინებული უნდა ქონოდათ აჯანყების ინიციატორ-ხელმძღვანელებს, რომელნიც ფიქრობდენ რომ ხელისუფლება ასეთ რეპრესიებს ვერ მიმართავდა თითქოს ევროპის შიშით.

დღეს როდესაც სისხლი დაიღვარა იმის თქმა, რომ აჯანყება მოწყობილი არ არის პარიტეტული კომიტეტის მიერ უპატიოსნებაა, მეტი რომ არა ვსთქვათ.

გამოსვლების მონაწილენი პარიტეტული კომიტეტის მოწოდებას არ გაყვებოდენ, რომ ევროპის დახმარების იმედი არ ქონოდათ. ვინც ასეთ ცრუ იმედებს ავრცელებს ხალხში ის დანაშაულს ჩადის. პარიტეტული კომიტეტის განცხადება, რომ აჯანყებაში მხოლოდ ქართველი ხალხის ზედაფენებმა მიიღეს მონაწილეობა, დაწერილია ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

მაგრამ მომხსენებელის აზრით უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით არსებობდა. აქ მომხსენებელს მოყავს ამხ. სტალინის სიტყვა სასოფლო უჯრედების მდივანთა თათბირზე. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ყველა დეფექტები თავის მუშაობაში და გაატაროს თავისი ყრილობების და კონფერენციის დადგენილებები.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

ამხ. მამია ორახელაშვილი ეკამათება რა სეით დევდარიანს, აღნიშნავს, რომ მომხდარი ამბების და ამბებისადმი ხელისუფლების და პარტიის დამოკიდებულების შეფასების დროს, დევდარიანმა დაივიწყა მარქსიზმის ძირითადი საფუძვლები, მას არ გაახსენდა რომ დღეს საქართველოში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა. ამ მთავარ შეცდომიდგან გამომდინარეობს დანარჩენი მისი შემცდარი შეხედულებანი. რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა თავის კონსტიტუციას, რომლის სარჩულია დიქტატურა, ე. ი. კანონით შეუზღუდველობა კონტრ რევოლიუციის დათრგუნვაში. ამავე დროს იგივე დიქტატურა ავალებს ყოველ კომუნისტს აქტიურათ ჩაებას სააშენებლო მუშაობაში. კომუნისტი პარტიული დისციპლინის ძალით ვერ გაექცევა მუშაობას, ის ვალდებულია იმუშაოს. სამსახური კომუნისტისათვის პრივილეგია კი არ არის, როგორც ამას ამბობს მომხსენებელი არამედ ვალდებულებაა. არც მართალია, თითქოს სამსახურში უპირატესობა ეძლეოდეს კომუნისტებს და უპარტიონი იდევნებოდენ. ოფიციალური აღრიცხვით მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 100 ათასზე მეტს, ხოლო საქართველოს კომპარტიასა კი ჰყავს მხოლოდ 12 ათასი წევრი,— ცხადია რომ მუშა-მოსამსახურეთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ არაკომუნისტი —უპარტიოები.

ჩერდება რა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ოპონენტი მისი პერსპექტივების განხილვის დროს საჭიროდ სთვლის ანგარიში გაუწიოს ისტორიულ პირობებს. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას [illegible] ქვეყანა, [illegible] საჭირო [illegible] თარება [illegible] სძლიერობის, რომ შესაძლებელი ხდეს ნედლი მასალის საკუთარი [illegible] დამუშავება და გამოყენ [illegible] დევდარიანი ურევს ერთმან[illegible] დემოკრატიის და დიქტატურის [illegible] მას, [illegible] აგრეთვე მარ[illegible] ფეხსს „თა[illegible]

ამხ. ორახელაშვილი აღნიშნავს: „აზროვნებისას“. ზეკლასიური თავისუფალი აზროვნება არ არსებობს, როგორც არ არსებობს განყენებული ზეკლასიური მეცნიერება, და ხელოვნება.

საბჭოთა ხელისუფლება თავისუფალ გასაქანს აძლევს და ხელს უწყობს ეროვნულ კულტურის აღორძინებას. არ ზღუდავს მას ვიწრო ჩარჩოებით. ამის დამამტკიცებელია ქართული თეატრის განახლება, დღევანდელი ქართული მწერლობა და უნივერსიტეტი ვინ იტყვის, რომ ქართული თეატრი კომუნისტურია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მასში ქართველი მუშის და გლეხის ზეგავლენით შეიჭრა ახალი სიო, რაშიც არა თუ არ შეაფერხებს ხელოვნების წინსვლას, არამედ სრულად ხელს შეუწყობს მის სწრაფ და საღ განვითარებას.

რაც შეეხება ამნისტიას, არ არის მართალი, თითქოს ამნისტიის ზოგიერთი მუხლები შეუძლებელს ხდიდეს მის სავსებით გამოყენებას. ორ დღეში თბილისის საპატიმროებიდან 300-მდე პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება მოწმობს იმას, რომ ამნისტია ტარდება სრული გულწრფელობით შეუზღუდავათ და ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთ საქმიანობას და მისი მოქმედების გულწრფელობას დღეს ხედავს იმ მუშების ახალი ფენი, რომელიც დღემდე შეპყრობილი იყო ჯიუტობით და განზე უდგა პროლეტარიატის დიქტატურას. ეს მოწინავე მუშები დღეს ამ დიქტატურის გზაზე დგებიან, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ზოგი ე. წ. პოლიტიკური წინამძღოლი მათ ფეხებში ეხხიოებიან და დაბნეულობს თვისევ, რამდენათაც გარკვევით ვერ ამბობენ სად არიან: მეორე თუ მესამე ინტერნაციონალში. ასეთი წინამძღოლია სეით დევდა-

ჩაქვის ჩ

[illegible] რომ უფრო ნათლათ წარმო-
ნოთ ჩაქვის სახალხო მამულის
ვანდელი მოსავალი, საჭიროა
დეთ მისი პირველი მოსავალ
თანდათანობითი ზრდა:

პირველად მოიკრიფა ჩაი
მამულებში 1899 წელს, მაშინ
ზადებული იქნა 1,107 გირვან
ლი ჩაი. შემდეგ მოსავალი
ბოდა ყოველწლობით და 191
მოსავალი იყო საშუალო. 1
კი ჩაქვში მოკრეფილ ჩაიდან
დებული იქნა 287,071 გირ.
ეს იყო ყველაზე დიდ
ლი. 1915 წლიდან მო
ებულობს და მენშევიკების

მეცნიერება და ტეხნიკა



ზესსონის სისტემის ჰაეროპლანი

გვერდით შესადარებლად მოთავსებულია ჩვეულებრივი ჰაეროპლანი

საფრანგეთში დაამზადეს 4 მოტორიანი უზარმაზარი აეროპლანი.

აეროპლანის სიგრძე უდრის 65 საჟენს, შეუძლია წაიყვანოს 20 მგზავრი და საათში გაივლის 130 ვერსს. მისი მოტორების ძალა უდრის 1000 ცხენის ძალას.

საფრანგეთის მთავრობა ამ აეროპლანებით აწყობს საჰაერო მიმოსვლას.

ვინაიდან აეროპლანის ფრთებს დიდი ადგილი უჭირავთ, ამიტომ აეროპლანის დაშვების დროს, ფრთები მექანიკურად იკეცება.

რა შენიშნეს მარსზე.

ამ ჟამად მოდის ცნობები იმ შედეგების შესახებ, რომელსაც მიაღწიეს მეცნიერებმა აგვისტოს განძავლობაში მარსის შესწავლის დროს.

აგვისტოს დაელევს გამოირკვა, რომ ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც გადაიღო პროფესორმა რაიტმა გამილტონის მთიდან ამერიკაში, აღმოაჩინეს ნიშნები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მარსის გარშემო არსებობს ატმოსფერა.

პროფესორი შაერი რომელიც თვალყურს ადევნებდა მარსს იუნგფრაუს მთიდან (შვეიცარია), ამტკიცებს, რომ მარსზე არსებობს ჰაერი და წყალი.

პროფესორ შაერის აზრით, მარსზე ჰაერისა და წყლის არსებობის ფაქტის დამტკიცება, უდიდესი აღმოჩენაა, რომელიც საშვალებას გვაძლევს გადაჭრით ვსთქვათ, რომ მარსზე არსებობს ორგანიული ცხოვრება.

პროფ. შაერის ცნობით, რამდენათ უფრო უახლოვდებოდა მარსი მზეს მდინარეები და ზღვები ორთქლმა დაფარა და თითქმის მთელი სივრცე პოლიუსებთან განთავისუფლდა თოვლიდან. ის ადგილები, სადაც ოსტრონომების აზრით ზღვებია მარსის, სულ ღრუბლებით არის დაფარული.

პროფესორი შაერი ამტკიცებს, რომ მარსი იმყოფება სხვადასხვა ტემპერატურის ზეგავლენის ქვეშ, რაც იწვევს ორთქლის და ყინულის წარმოშობას.

სადაც არსებობს წყალი და ჰაერი, იქ უსათუოდ არსებობს სიცოცხლე.

როგორი სიცოცხლეა მარსზე, ჩვენ არ ვიცით. ზოგი მეცნიერების აზრით იქ არსებობენ მხოლოდ უმარტივესი ორგანიზმები.

მარსზე დაკვირვების დროს შენიშნეს მოვლენა, რომელიც დღემდი არავის შეუნიშნავია: რაღაც სინათლისა თუ ელვის მაგვარი.

ლოველის (ამერიკა) ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი სლიპერიც ამტკიცებს, რომ მარსზე უნდა არსებობდეს ჰაერი და წყალი. მარსის პოლიუსებზე არსებობს თოვლი და ყინულიანი სივრცე, რომელიც თანდათანობით მცირდება, რამდენათაც პლანეტა უახლოვდება მზეს. თოვლის დნობასთანერთად მოსჩანს მწვანე ცისფერი არე, რომელიც ზოგ ასტრონომების აზრით, მარსის მცენარეულობას—ტყეებს წარმოადგენს.

პროფესორი სლიპერი არ ამტკიცებს, რომ მარსზე უსათუოდ არსებობენ გონიერი არსებანი, მაგრამ გადაჭრით ამბობს, რომ იქ არის საამისო ყველა ხელსაყრელი პირობები.

დ-რი კობლენცი, რომელიც პროფ. სლიპერთან ერთად ადევნებდა თვალს მარსს ამბობს, რომ ტემპერატურა მარსზე უფრო დაბალი უნდა იყოს ვიდრე დედამიწაზე, მაგრამ იმდენად მაღალი კია, რომ ხელი შეუწყოს მცენარეულობის აღმოცენებას და გონიერ არსებათა წარმოშობას.

სიმაღლის რეკორდი.

უკანასკნელ დრომდი უმაღლესი წერტილი რომელსაც მიაღწია ჰაეროპლანმა, მდებარეობდა 11.145 მეტრის სიმაღლეზე (სიმაღლის ეს რეკორდი წარსული წლის 30 ოქტომბერს მოიგო ფრანგმა მფრინავმა სადილეკოენტმა. მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს მეორე ფრანგმა მფრინავმა კალიცომ დაამყარა სიმაღლის ახალი რეკორდი—12 ვერსი

ქრონიკა

— ქ. წყალსადენის სამმართველომ ამხ. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანას შეუკვეთა 8000 მან. მასალის დამზადება წყალსადენის საჭიროებისათვის.

— **თუთუნის ქარხნის შრომის არტელი** „ლევს“ დაერქვა ოქტომბრის რევოლიუციის სახელი.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო** სკოლების გახსნა მაზრებში სწარმოებს დაკვრითი წესით.

— **ვაგონების შეკეთება** 24 წ. 9 თვის განმავლობაში შეკეთებული იქნა 70 მატორიანი ვაგონი.

— **კანალიზაცია.** თბილისში კანალიზაციის ძველი მილების შესაკეთებლად და შესასწორებლად ქ. ალმასკომის სანიტარულ-ტეხნიკურმა სექციამ დღემდე გაიღო 2,500 მანეთი.

— **შრომის ბირჟასთან** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ამ დღეებში დაარსდება ახალგაზრდა უმუშევრების საშუამავლო ბიურო.

— **შრომის მუზეუმის** გამგეთ შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით დაინიშნა ამხ. გოლდბაუმი, მუდმივ

ტრამვაის დირექციას განზრახვა აქვს ნოემბრის შუა რიცხვებში გაამრავლოს მოძრავ ტრამვაის ვაგონების რიცხვი, მგზავრების სიმრავლის გამო.

— **ბაღების მოვლა.** ქ. ალმასკომმა ქალაქის ბაღების მოვლა-დასაცავათ ა. წ. იანვრიდან სექტემბრამდე გაიღო 15,112 მანეთი.

— **წიფლის თესლის გატანა საზღვარგარეთ.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გაეგზავნოს გერმანიაში 200 კილო (12 ნახ. ფ.) წიფლის თესლი.

— **ტყეების მოშენება.** ამჟამად მიწ. მოქ. კომისარიატი აგროვებს სხვადასხვა მცენარეულობის თესლებს ახალი ტყეების მოსაშენებლათ.

— **ნავთი.** სანავთო ფლოტმა 1923 წ. 1 ოქტომბრიდან 1924 წ. 1 ოქტომბრამდე კასპის ზღვით გაიტანა 167 მილიონ 68 ათასი ფუთი ნავთი. ამნაირად ფლოტმა 100 პროც. შეასრულა დავალება.

ხელოვნება

— **ოპერა.** დღეს ოპერაში წარმოდგენილი იქნება „სოფლის პატიოსნება“ და [illegible]

თი თავი [illegible] —ჰოლანდიაში —478,795 ფ., საფრანგეთში—479,538 ფ., იტალიაში—361,805 ფ. და ინგლისში—186,947 ფ.

— **ხეხილის სანერგეები.** ც. კავშირი ამ ჟამად გორში და მისი მაზრის 3 სოფელში დააწყობს ხეხილის სანერგეებს.

— **სამხედრო კორესპონდენტთა კონფერენცია.** გუშინ, საღ. 5 საათზე ბეჭდვითი მუშათა კლუბში გაიხსნა ტფ. და ნავთლუღის გარნიზონების სამხკორთა კონფერენცია.

— **მოსამზადებელი კურსები.** 15 ნოემბრიდან 1-ლი ლეგიონის კლუბში გაიხსნება ნაწილების კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივნების მოსამზადებელი კურსები. მეცადინეობა გაგრძელდება ორ თვეს.

[illegible] ონო ბავშვი. 11 [illegible] მე-12 სამილიციო სამმართველოში კარაპეტ მირზოიანმა მოიყვანა ქუჩაში ნაპოვნი უპატრონო ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელიც გადაგზავნილი იქნა საბებიო ინსტიტუტში

— **შეპყრობა.** 11 ნოემბ. შეიპყრეს მოქ. ალექსი დანილოვი, რომელიც შეპარულიყო ექიმ ფალავას ბინაში ქურდობის მიზნით.

— **ქურდი ცოლი.** 10 ნოემბ. გროზნოს ქ. № 13 მოქ. ივანე ხუციშვილს გაქურდა მისმა ცოლმა მარიამ ლასკუტინამ. წაღებულია 185 მ. ნივთები.

— **თავდასხმა.** 11 ნოემბერს მცველთა რაზმის თანამშრომლებს მიჰყავდათ ოთხი ავაზაკი სართიჭალის ინფორ. პუნქტის განკარგულებაში გადასაცემათ. სოფ. არმაზენთან მათ თავს დაესხენ სხვა ავაზაკები დაჭერილ ავაზაკების გასანთავისუფლებლათ. სროლის დროს მოკლულ იქნა 3 დაჭერილ ავაზაკთაგანი, რომლებმაც დააპირეს გაქცევა, ხოლო ერთი ავაზაკი გადასცეს დანიშნულებისამებრ, თავდამსხმელი ავაზაკები სრულიად მიიმალენ.

საბჭოთა ს

ი. მანუკოვის საქმე

ბრალდებული მანუკოვი პასუხისგებაშია მიცემული თავისი ცოლის არსენიკა არუთინოვის ასულის დაჭრისათვის. ბოროტმოქმედებას წინ უსწრებდა შემდეგი ფაქტები:

რამდენიმე თვის წინედ მანუკოვმა შეირთო ცოლად ზემოხსენებული არსენიკა არუთინოვისა. დაქორწინების შემდეგ ქალმა მოიმიზეზა რაღაც ავადმყოფობა, რომლის გამო მას რამდენიმე თვე უნდა გაეტარებინა მშობლებთან და განკურნების შემდეგ გადასულიყო ქმრის ბინაზე. ქმარი დასთანხმდა. დროგამოშვებით იგი დადიოდა ცოლთან და სთავაზობდა მას სხვადასხვაგვარ საჩუქრებს. გავიდა საკმაო ხანი, მაგრამ ქალი ქმართან გადასვლის სურვილს არაფრით არ ამჟღავნებდა. მანუკოვი განაგრძობდა ცოლთან სიარულს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის საჩუქრები უკან დაიბრუნა. ერთხელ მანუკოვმა აღმოაჩინა ცოლთან უცხო მამაკაცისათვის მიწერილი რომანიულ შინაარსის წერილი, რომელმაც აიძულა იგი განქორწინებოდა ცოლს. დანიშნულ დღეს ცოლ-ქმარი გაეშურენ „მმაჩ“-ში. გზაზე —ერთი-ერთმანეთთან კინკლაობაში—არსენიკამ განუცხადა ქმარს, რომ მანუკოვისთანა „დურაკები“ მას ბევრჯერ მოუტყუებია. ამან გამოიწვია ცოლის დაჭრა.

სასამართლომ, ა. კაპარავას თავმჯდომარეობით, თანახმად ს. ს. კ. 155 მუხლისა მიუსაჯა მანუკოვს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და, გაითვალისწინა რა დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სასჯელი დაუნიშნა პირობითად.

მუშათა ცხოვრება

ქალაქის სასაკლაოში
(ალმასკომის საყურადღებოდ).

ქალაქის სასაკლაოში კულტმუშაობა ძლიერ მოიკოჭლებს. მთავარი მიზეზი სასაკლაოს კულტურულად ჩამორჩენილობისა მდგომარეობს იმაში, რომ ის ძლიერ დაშორებულია ქალაქს, ცენტრს. გარდა ამისა არც ტრამვაის მიმოსვლაა მუდმივი. სამი საათის შემდეგ, როცა მუშაობას რჩებიან მუშები, სამკითხველო და კრებები დაცარიელებულია, ეს იმიტომ, რომ ეშინიათ შემდეგ ფეხით არ მოუხდეთ ამოდენა მანძილის გავლა.

სასაკლაოში არის სასადილო და მუშკოოპის დუქანი. საქონელთა ასორტიმენტი დუქანში ძლიერ ცოტაა და მუშების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

მუშებზე საქონლის ნისიად გაცემის საქმეც არ სწარმოებს. ეს ალბათ იმიტომ, რომ მუშებზე ბევრი გადაუხდელი ვალი ირიცხება და ამიტომაც ქარხნის კომიტეტი ვერ ღებულობს თავისთავზე თავდებობას მათთვის.

ქალაქის სასაკლაო ერთი უმთავრესი საწარმოო დაწესებულებათაგანია მთელ ქალაქში, სადაც ირიცხება 430 მუშა-მოსამსახურე და აქ კულტმუშაობა და სხვა მაგვარი საქმიანობა მეტად გაცხოველებული უნდა იყოს.

მდგომარეობის ასე დატოვება არ შეიძლება, უნდა ავამუშაოთ მიძინებული ძალები და გამოვიყვანოთ სამოქმედოთ.

ინფორ კან-თან.

სახალხო მკვებავთა პროფკავშირში.
(ჩვენი ჭიათურელი მუშკორისაგან)

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც ქ. ჭიათურაში დაარსდა სახ. მკვებავთა პროფკავშირი, რომელმაც მიზნად დაისახა დაუძინარებელი ბრძოლა იმ ღვირახსნილი ვაჭატონების წინააღმდეგ, რომლებსაც დაქირავებული მუშა-მოსამსახურენი ნიკოლოზისებურ ბრჭყალებში ჰყავდათ მომწყვდეულნი და გასაქანს არ აძლევდენ. და აი, დაარსდა თუ არა სახ. მკვებავთა პროფკავშირი, ზემოხსენებულ წარმოებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებმა იგრძნეს თავისუფლება და სიძლიერე საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც მიმართულია მუშათა და გლეხების ინტერესების დაცვისაკენ. კავშირმა შესძლო დაკვრითი წესით 8, 6, 4 საათიან სამუშაო დღის გატარება, ყველა კერძო დამქირავებლებთან სატარიფო შეთანხმებების დადება, სატარიფო განაკვეთის მიხედვით მუშა-მოსამსახურეების ხელფასის 1-ლ კატეგორიისათვის 15 მან. მიცემით, მუშა-მოსამსახურეების ბინების შეძლებისადაგვარად მოგვარება, სხვადასხვა კონფლიქტების გარჩევა და სხვა...

ქ. ჭიათურაში სახალხო მკვებავთა პროფკავშირის დაარსებისათვის დიდი მადლობის ღირსია ამხ. ნ. ბაქრაძე, რომელიც დიდი ენერგიით მუშაობდა ამ კავშირის დაარსებისათვის და აი მისმა მუშაობამ ნაყოფიც გამოიღო.

მუშკორი ტიტიკუ გუბული.

შრომის ხელფასი ძალიან მცირე გვაქვს
(რკ. გზის პროფკავშირის და სამართველოს საყურადღებოდ)

თბილისის მთავ. სახელ. სადურგლო საამქროში მხერხავი მუშები განიცდიან დიდ გაჭირვებას, რადგინაც დაბალ ხარისხით იღებენ ხელფასს. მეტადრე—ისინი, ვისაც ჰყავთ ექვსი შვიდი სული სარჩენი. და სამსამი შვილი სკოლებში. მოსწავლე ბავშვებისთვის წიგნების ყიდვა ვერ მოგვიხერხებია. ამ მუშებმა არ იციან ვის მიმართონ, რომ ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა.

მუშკორი ლანტკურელი.

გამოგზავნილი წერილებიდან
მოგვაქციეთ ყურადღება
(რკ. გზის სამართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ)

თბილისის საღურის რონოდათა გადამბმელების მდგომარეობა თითქმის აუტანელია. შრომის ხელფასი ძალიან მცირე გვაქვს. (მე-8 სატარიფო ხარისხით ვიღებთ ჯამაგირებს). არ გვაძლევენ „სპეცტანისამოსს“ და „სპეცფეხსაცმელებს“,—რის გამო წვიმიან სუსხიან დღეებში დიდ ტანჯვა-წვალებას განვიცდით. ზედმეტ საათების ნამუშევრის ჯილდოც მოგვისპეს.

მოგვაქციეთ ყურადღება და მოგვეშველით!

მუშკორი კოჟუხი.

თქვენც გაუხსენით კრედიტი მუშებს
(მუშკოოპის საყურადღებოდ)

შემჩნეულია და დადასტურებულია, რომ კერძო ვაჭრები ჩვენ მუშებს უხსნიან კრედიტს, აძლევენ ნისიად საქონელს, რა გვარისა და რა ხარისხის თვით მუშებს მოესურვებათ. ამით ჩარჩ-ვაჭრები მუშებს იხიდავენ და ყვლეფენ მათ, როგორც სურთ. ჩვენი მუშებიც ამ მდგომარეობას ძალაუნებურათ ურიგდებიან, რადგანაც მცირე შრომის ხელფასის გამო, მათ არ ძალუძთ ერთად გადაიხადონ წაღებული საქონლის საფასური. ყველა ეს ჩვენთვის მიუღებელია. არც ერთი [illegible] არ უნდა გადადიოდეს ჩარჩ-სპეკულიანტების ხელში, არამედ უნდა შედიოდეს მუშკოპის სალაროში.

ამიტომ საჭიროა თქვენც გაუხსნათ მუშებს ფართე კრედიტი.

მუშკორი ყური.

ვალები დროზე უნდა გადავიხადოთ
(ლენინის სახ. თამბაქოს ფაბრიკის საყურადღებოდ)

ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში ამ დღეებში მოწვეულ იქნა ადგილობრივ პასუხისმგებელ ამხანაგების გაფართოებული კრება, რომელმაც გამოარკვია ადგილობრივი მუშების დავალიანება ტრესტის წინაშე. ვალის რაოდენობა უდრის 43.000 მან., რომელიც მუშებზე არის გაცემული ავანსის სახით. ამიტომ კრება ერთხმად ადგენს აღინიშნოს ი ვალი მუშების მიერ გადახდილ იქნეს ახლო მომავალში, ვინაიდან მისი გადაუხდელობით ფერხდება ჩვენი წარმოება.

მუშკორი—ი. ზე-ძა.

ეს არ არის სამართალი
(შრომის სახ. კომისარიატის საყურადღებოდ)

შრომის ბირჟაში კვლავ დიდძალი ხალხი. ზოგი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ამავე დროს ზოგიერთი ოჯახიდან რამდენიმე წევრია საქმეზე. ამის გამო ზოგი ოჯახი სიმშილის კარებზეა მიმდგარი და ზოგი კი შედარებით განცხრომაშია.

უბრალო სამართლიანობა მოითხოვს მოიხსნას ერთი და შრომის ბირჟიდან აყვანილ იქნეს უმუშევარი, რომელიც ოჯახის მარჩენალად ითვლება.

ი. საკაევი.

წერილები პროვინციიდან

სენაკის სამაზრო ალმასკომის მუშაობა

სენაკის სამაზრო ალმასკომის მთავარ საზრუნავ საგანს უკანასკნელ ხანებში შეადგენდა: 1 [illegible] წამოწყებების, აბაშის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის სამუშაოს გაგრძელება და შინამშენებლობის [illegible] კამპანიის ჩატარება, 2 ადგილობრივ ბიუჯეტის სიმტკიცის დაცვა, 3 [illegible] ოპერაციების გაკითარება, 4 სამასწავლებლო კურსების მოწყობა, 5 მალარიასთან საბრძოლველად სადგურის დაარსება, 6 გლეხთა ურთიერთ კომიტეტების გაძლიერება და 7 ბანდიტიზმის ლიკვიდაცია.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარ მენშევიკურ ავანტიურისტულ გამოსვლებმა რამოდენიმეთ შეაფერხა ის უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს მაზრის ხელისუფლება მშრომელი მასის აქტიური მონაწილეობით.

ადგილობრივ მეურნეობისა და აღმშენებლობის დარგი.

სავაჭრო სექციამ გახსნა მეორე უნივერსალური მაღაზია. მოტანილია სხვადასხვა პირველ მოთხოვნილების საქონლები და ბაზრის დაპყრობის საქმე სასურველად მიმდინარეობს.

მდ. აბაშაზე და მდინარე ცივზე ხიდების აგება ინტენსიურად სწარ-
ველის რკინის ნაწილები
ზულებულია სავსებით და
მიმდინარეობს საჭირო ხის
ების დამზადება. მეორე ხიდის
ბა დამთავრებულია 90 პრო-
ტ.
ძო ფირმასთან დადებულ იქნა
არი ხელშეკრულება ს. ნო-
ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან
კულ და კრამიტის ქარხნის
შესახებ საჭირო მასალები
აკვეთილია და მიმდინარეობს
ება.
ქის ძველი ბაღი რკინისგზის
ვ შემოუარაღული იქნა ეკ-
მავთულებით მიღებულია
ბაღის მოსარგავ კულტურულ
ების შესაძენათ.
წვა ორი ქურა კირი, რომ-
ანადებულ იქნა.
-ლებარდის აგარაკებში დამ-
ია ათასამდე ფიჩხის მორი,
გამოტანილია მდინარე
, მდინარის ადიდების დროს
იხება ზომები მორების
ანად.
ურ სახელოსნოში მიმდი-
და ინტენსიური მუშაობა ზე-
დასახელებულ ხიდებისათვის
ო რკინის მასალების დასამზა-
ად.
იწყობილ იქნა ცენტრიდან მო-
ავიატორების ხელმძღვანელო-
ბით ქალაქის აეროდრომი.

აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგური.

მუშაობა აბაშის ჰიდრო-ელსადგურის აშენებაზე ამჟამად ჩვეულებრივად მიმდინარეობს. ცენტრალურ რაიონის ელექტრო-ტრესტთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით ტრესტი ვალდებულია მოაწყოს ელექტრონის მანქანები 1925—1926 წლის განმავლობაში.

სახალხო განათლების საქმე.

განათლების ინსპექციის მუშაობის ცენტრს უკანასკნელ თვეებში წარმოადგენდა მასწავლებელთა გადასამზადებელი პედაგოგიური კურსები, რომელიც გახსნილ იქნა ქალაქ ახალ-სენაკში. კურსებზე მოწვეული იყო ასი მასწავლებელი მაზრაში არსებულ 4 წლედებიდან. კურსების მიზანს წარმოადგენდა მასწავლებლობისათვის ახალი სკოლის მიზნების, პრინციპების, მეთოდების კომპლექტიური მეთოდის პრაქტიკულათ გატარება.

ამავე დროს სამაზრო ალმასკომის იერ ადგილობრივ ხარჯზე გაიხსნა მასწავლებელთა მოსამზადებელი პედაგოგიური კურსები, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ მსმენელად ისინი, ვისაც მიღებული ჰქონდათ საშუალო განათლება და სრულებდნენ მასწავლებლის თანამდებობას 1—3 წლის განმავლობაში, ხოლო სპეციალური პედაგოგიური მომზადება კი არ ჰქონდათ. მსმენელებად ჩარიცხულ იქნენ აგრეთვე ისინიც, რომელთაც ჰქონდათ საშუალო განათლება და სურდათ მიეღოთ მასწავლებლის წოდება. მსმენელთა რიცხვი 120-დე იყო.

აგვისტოში მომხდარ ბანდიტურ გამოსვლების გამო შეუძლებელი შეიქნა მეცადინეობის დაწყება დანიშნულ დროზე.

ა. წ. სექტემბრიდან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, რომელსაც დაეთმო შესაფერისი შენობა და საკმაო რაოდენობის მიწა. მაზრაში არსებულ ყველა ტიპის და საფეხურის სკოლებს დაეგზავნა სახელმძღვანელო ინსტრუქციები მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის.

სახალხო ჯანმრთელობის საქმე.

ჯანმრთელობის დარგში მთავარი მიღწევა უნდა ჩაითვალოს სამალარიო სადგურის დაარსება. აღნიშნული სადგური მაზრის მცხოვრებლებს აძლევს უფასოდ ქინაქინას. საანგარიშო დროის განმავლობაში მაზრის საავადმყოფოებს, საექიმო და საფერშლო პუნქტებს აღმოუჩენიათ საექიმო დახმარება 12.28 მოზდილთათვის, 22.285 ბავშვთათვის და 2.254 დამზღვევ კასის წევრებსა და ოჯახებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საექიმო დარგის დაწესებულებები ძალიან ღარიბია საექიმო იარაღებით და ინვენტარით. ამასთანავე წამლების მომარაგების საქმე სუსტათ მიმდინარეობს, მაგრამ სამაზრო ალმასკომის მიერ გადადგმულია ნაბიჯი ყველა ამ საკითხების მოსაგვარებლად.

სოციალურ-უზრუნველყოფის დარგი.

სოციალურ-უზრუნველყოფის ინსპექტორმა შეასრულა შემდეგი სამუშაოები: ყველა რაიონებში ინსპექტორის ინიციატივით მოეწყო თემთა გლეხკომების თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხები დამხმარე კომიტეტების ძირითადი ორგანიზაციის კაჯანსაღების შესახებ. ჩატარებულ იქნა ამ ნიადაგზე ფართო კამპანია.

აყვანილ იქნა აღრიცხვაზე: ომში დაჭრილი და დასახიჩრებული ინვალიდები 90 კაცი, ქვრივ-ობლები და უკიდურესი გაჭირვებული—180 კაცი.

გაცემულია დახმარება: სიმინდით [illegible]8 ფ. 20 გირ. ტანსაცმელით 24 მ. [illegible]0 კ. წამლით 84 მან. 57 კაპ., შეღავათიანი ლიტერი მიეცა 4 კაცს.

დაბა აბაშაში მოწყობილია ფურნე და სასადილო, სადაც გლეხობა შეღავათიან ფასებში კმაყოფილდება.

თემთა გლეხკომებს სისტემატიურად ეგზავნებოდა ყოველგვარი სახელმძღვანელო მასალები და გაზეთები.

მილიცია

მაზრაში ამ ჟამათ არის 8 სამილიციო უბანი. მატერიალური მდგომარეობა მილიციისა არ გაუმჯობესებულა. საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია მკვლელობა 3, თვითმკვლელობა 2, თავის დახრჩობა 2, გაქურდვა 10, დაჭრა 2. მილიციის მიერ შეტაკების დროს მოკლულია 24 ბანდიტი.

ქ. მ.

რა კეთდება ზესტაფონის რაიონში
(შორაპნის მაზრა)

იმერეთის მევენახეთა საზოგადოების მუშაობა.

მევენახეთა საზოგადოება „იმერეთი“ დაარსებულია 1922 წელს 1 სექტემბერს. იმ წელში მას ჰყავდა 50 აქტიური წევრი. მუშაობის დაწყებისას მას არ მოეპოვებოდა არავითარი თანხები. მაგრამ თავისი წევრების აქტიური და ენერგიული მუშაობით იქნა დაწყებული მუშაობა. მოწვეულ იქნა მევენახეთა საზოგადოების ყრილობა. ყრილობის მოწვევით „იმერეთმა“ შესძლო ერთის მხრივ გლეხობის შეკავშირება, „იმერეთის“ ირგვლივ მათი დარაზმვა და მეორე მხრივ ხალხს საშუალება მიეცა იმერეთის ბუნებასთან შეფარდებული ვენახის ჯიში შეერჩია.

როდესაც ამხანაგობამ ნდობა მოიპოვა, მას მიეცა ქალაქ ზესტაფონში ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ყოფილი ანანოვის ქარხანა და მამულები, სადაც გლეხობას მოაქვს თავისი ნაწარმოები ღვინო და ყურძენი და ასაღებს კარგ ფასებში. დღემდის „იმერეთმა“ გაუსაღა გლეხებს 55000 მანეთის ღვინო.

სამწუხაროთ ამხანაგობას მთლიანათ ჯერჯერობით ბაზარი არა აქვს დაპყრობილი, რის გამო გლეხობის ნაწილი სპეკულიანტებს უვარდება ხელში.

ჯანმრთელობა.

ჯანმრთელობის მხრივ ზესტაფონის რაიონში მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა. შეკეთებულ იქნა თვით ქალაქის საავადმყოფოს შენობა, რომელიც ძალზე დაზიანებული იყო. ქალაქის აფთიაქი უზრუნველყოფილია საჭირო წამლებით.

გაიხსნა საექიმო პუნქტები სოფლებში.

მილიციის მუშაობა.

მიუხედავათ მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზისა, მილიცია ენერგიულად მუშაობს.

მენშევიკური ბანდიტური გამოსვლების დროს მილიცია ენერგიულ ზომებს ღებულობდა. მთელი 1924 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 45 შემთხვევას: ქურდობა—20; იარაღით დაჭრა—10; ანგარება—2; უმნიშვნელო თავდასხმა—4, მკვლელობა—7 და სქესობრივი ძალდატანება—4; წესრიგის დარღვევისათვის დასჯილია—10 კაცი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა.

გადამხდელთ დაურიგდათ ბლანკები. შეცდომებს შარშანდელთან შედარებით ცოტას აქვს ადგილი.

გადასახადის აკრეფის კამპანია იქნება ჩატარებული უწიკლოდ.

ტყეები.

ტყეების მოვლა-დაცვის საქმეში გლეხობა დიდ აქტივობას იჩენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ტყის გაფლანგვას და უსისტემო გაჩეხვას ადგილი არ აქვს.

ს. ცუცქერიძე.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოს, ნინოწმინდას და გიორგიწმინდის გლეხებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს 7 წლის თავი ოქტომბრის რევოლიუციისა.

დილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც ხალხმა მრავლად იწყო დენა საგარეჯოს საბჭოს შენობასთან. დიდძალი მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლები მოვიდა. აქედან სიმღერებით და საკრავებით ხალხი გაემართა საგარეჯოს სახალხო თეატრის ქოდანთან, სადაც უნდა ყოფილიყო მიტინგი. მიტინგს დაესწრო ყველა პარტიული და პასუხისმგებელი ამხანაგები. საათის 11-ზე საგარეჯოს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. აბრამაშვილმა მიტინგი გახსნილად გამოაცხადა, რის შემდგომ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. სადაგიშვილმა, რომელმაც ხალხს განუმარტა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა. გარე-კახეთის რაიალმასკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვანო მაისურაძემ (ტურა). მან ხალხს განუმარტა მთელი რევოლიუციის მოძრაობის ისტორია და მოუწოდა დამსწრეთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა ერთხმად დაცვისაკენ. მათ შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს საგარეჯოს სკოლის გამგემ ამხ. იერ. გულისაშვილმა, დეპოს მუშამ სადაგიშვილმა და ახალ. კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. ოსიფოვმა. ყოველ სიტყვის წარმოთქმაზედ მოწაფეთა გუნდები მასწავლებელ ელენე გოდერძიშვილის და გ. გარსიაშვილის ლოტბარობით მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს. საათის სამზედ მიტინგი დაიხურა, საზოგადოება ვაშას ძახილით დაიშალა. საღამოთი სახალხო თეატრში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ამხ. კოლა ქელიძის რეჟისორობით გამართულ იქნა წარმოდგენა „ბატონი და ყმა“ პიესის გათამაშება საშუალო იყო. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა

გ. გარსიაშვილი

პროვინციის ქრონიკა

— **ახალი ბიბლიოთეკა.** ქუთაისში ლიუქსემბურგის ქუჩაზე გაიხსნა პარტკლუბის ბიბლიოთეკა.

— **ქუთაისის გამშვენიერება.** ქუთ. ალმასკომმა დაავალა ადგ. მეურნ. განყოფილებას შეუდგეს ქუთაისის ზოგიერთ ქუჩების გამშვენიერებას და პირველ რიგში კი დაიწყოს ზინოვიევის ქუჩის მეორე შესახვევის გაფართოება.

— **აბაშის ჰიდრო-ელსადგური.** სენაკის სამაზრო ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შინ. საქ. კომისარიატის წინაშე, საქართველოს ქალაქებში აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო დამხმარე კომიტეტების დაარსების შესახებ.

— **საფონდო მამულები.** თელავის ალმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეიმუშაოს საფონდო ადგილების დამუშავების ახალი გეგმა.

— **ტყეების დაცვა.** თელავის ალმასკომის დადგენილებით წინადადება მიეცათ ყველა რაიალმასკომებს ენერგიული ზომები მიიღონ ტყეების დასაცავათ და აგრეთვე არ იქნეს დაუმუშავებელი გაკაფული ადგილები, მათზე ახალი ტყის მოსაშენებლათ.

— **ფიზკულტურა.** ქუთაისის მაზრაში ფიზკულტურის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ, დამტკიცებულ იქნა სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა 10,000 მან. რაოდენობით.

— **ქუთაისის ალმასკომმა** მიიღო თავის თავზე 350 ახალწვეულის დღიური ხარჯების დაკმაყოფილება.

ბიბლიოგრაფია

ნ. ლენინი (ულიანოვი) თხზულებანი. ტომი XVIII

თბილისი, 1924 წ. გვ. 753. სახელმწიფო გამომცემლობა.

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ნ. ლენინის თხზულებათა ახალი ტომი, რომლის ძირითადი თემაა „პროლეტარიატი ხელისუფლების სათავეში“ სრულიად გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ ძნელი იქნება საქართველოში ისეთი ადამიანის პოვნა, რა აზრის და შეხედულების არ უნდა იყოს იგი ჩვენში წარმოებულ კულტურულ მუშაობაზე, რომელმაც არ აღიაროს, თუ რამდენად დიდი და არაჩვეულებრივი მოვლენაა ასეთი წიგნის გამოცემა. სახელმწიფოს ხარჯზე გამოდის ქართულ ენაზე ვეებერთელა წიგნი—753 გვერდი, რომელიც ოთხი ათას ცალად იბეჭდება და ფართო მკითხველ მასისთვის არის განზრახული. ბიბლიოგრაფიულ შენიშვნის ვიწრო ფარგლებში შეუძლებელია ამ ფაქტის ყოველმხრივ შეფასება და ეს საკითხი სხვა დროისთვის უნდა გადაიდოს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ აქვე, რომ არც ერთს ქართულ კულტურის და მწიგნობრობის ნამდვილ მოყვარულს არ შეუძლია სიამოვნებით არ აიღოს ხელში ეს ვეებერთელა ტომი და კმაყოფილებით არ მიესალმოს თვით ფაქტს ასეთი გამოცემისას.

რაც შეეხება წიგნის მასალას, იგი ეხება ჯერ კიდევ გუშინ პოლიტიკურ თეორიის და პრაქტიკის შუაგულში მდებარე საკითხებს, რომელთა პასუხი სადღეისო ცხოვრების მიმმართველია. ამ მასალას შეადგენენ როგორც წერილები, ისე სიტყვები, სხვადასხვა შემთხვევის დროს წარმოთქმული. მასალის დალაგების მეთოდი ქრონოლოგიურია.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ კრებულის ხასიათის მქონე ასეთი გამოცემის დროს ქრონოლოგიური მეთოდი უნაყოფო მეთოდია. მისი მიღება ან იმას ნიშნავს, რომ რედაქციას მასალის გარკვეულ თემების ირგვლივ თავის მოყრა ვერ მოუხერხებია, ან და თვით მასალა არ იძლევა საამისო საშუალებას და მასალის მიმდინარეობა სტიქიურია და ხშირად მოუწესრიგებელი, სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ამ შემთხვევაში. გარდასვლა 1921 წლის იანვრიდან 1925 წლის მაისამდე—ქრონოლოგიური მიმდინარეობაა, მაგრამ ქრონოლოგიურ მეთოდის ნაკლი იფარება სავსებით, იმ ფაქტით, რომ თვით ეს ნაკვეთი მსოფლიო ისტორიისა, ისე, როგორც მისი მიმდევნო დრო, განსაკუთრებული თემაა ამ ისტორიისა თვის დრო იშლება როგორც თემა, ისტორიის მიერ დასმულ საკითხთა გადაჭრის სიღრმეში და რიცხვად გაშლილი ქრონოლოგია ახალს თვისობრივ იერს იღებს. სწორედ აქ იჩენს თავს ის გარემოება—როგორც ამას საქმეში ჩახედული ხალხი შეამჩნევს, რომ ლენინიზმი დიალექტიურ მეთოდის უმწვერვალესი განვითარებაა.

რაც შეეხება თვით მასალას, იგი ეხება ყველა იმ საკითხებს, რომლებიც გუშინ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგანს შეადგენდა და ნ. ლენინის აზრთა კონტექსტში გავლილი დღევანდელი დღის სინამდვილედ იქცა. ყველა ამ წერილების თუ სიტყვების კითხვის დროს თქვენ გრძნობთ „ისტორიის შემქნი“-ს უშუალო მაჯისცემას. „სინამდვილის აღწერის“ ტომებს დაემატა „სინამდვილის შეცვლის“ ტომიც, აქაც ლენინი უდიდესი მემკვიდრეა, როგორც დიალექტიურ მეთოდის ისე რევოლიუციონურ მარქსიზმის. დამოუკიდებლივ წიგნში მოთავსებულ დებულებათა და ხაზისა, რომელიც სახელმძღვანელო მნიშვნელობისაა დღევანდელ შემოქმედებაში, თავის იდეოლოგიურ-პრაქტიკულ მიღწევებით სრულიად თავისებურ ინტერესს შეიცავს.

აქ არის მოთავსებული ფოლადისებური პოლემიკა პროფესიონალური კავშირების შესახებ, რომელმაც მთელი კავშირი შესძრა. აქვეა ისტორიის მემანქანის ერთი მანიოვრთაგანის ნიმუში: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“ აქვეა ლენინი როგორც ტვინი ერთის მხრივ პარტიის ყრილობების და მეორეს მხრივ კომუნისტურ ინტერნაციონალის ორივე შემთხვევაში საჭე ერთსა და იმავე ხელშია, რომელიც ძლიერია როგორც ბუნებრივ შორსმჭვრეტელობით აგრეთვე კეთილშეძენილ ფართო ცოდნით და ერუდიციით.

ქართულ გამოცემის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტომი გაცილებით უკეთესია წინად გამოცემულ ტომთან (მე-19) შედარებით. მთარგმნელებს ისე, როგორც სარედაქციო ნაწილს დიდი შრომა დაუხარჯავთ. ადვილი საქმე არავის ეგონოს ამოდენა წიგნის, აზრის და გამოთქმების იმ თავისებურ მიხვრა-მოხვრის შემცველის, რომელსაც დიდი პიროვნების დაღი ზედ აზის, სხვა ენაზე გადმოთარგმნა. ენა თვით არის ინდივიდუალობა და ეს ართულებს ამოცანას, როდესაც გადმოსაცემია სხვა ენაზე მოცემული დიდი ინდივიდუალობა. მიუხედავათ ამისა მთარგმნელებს და რედაქტორს ის. თალაქვაძეს დაუძლევიათ ყველა ეს სიძნელე და დიდი კულტურული საქმე გაუკეთებიათ.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვეებერთელა ამოცანის შესრულებისას ზოგიერთი დეფექტი ძნელი ასაცილებელია თავიდან. ასეთ დეფექტად უნდა ჩაითვალოს, რომ მთელი წიგნი ვგონებ ერთი და იმავე სტილით არ უნდა იყოს ნათარგმნი. ბუნებრივია, რომ ამოდენა წიგნს რამოდენიმე პირი სთარგმნიდა, მაგრამ თარგმანის ხერხის განსხვავება მაინც სჩანს. შემდეგ გაუგებარია ზოგიერთი ტერმინი: მაგ. „ძირეული“, ნიშნავს ის რასაც „ძირითადი“ თუ სხვა რამეს? რატომ არის შესაძლებელი წმინდა ქართულად ითქვას კომუნისტური ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი. ხოლო მესამე კონგრესის შესახებ ეს წესი დაირღვეს და ითქვას: მესამე კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალისა და ისიც ერთი მეორეს გვერდით? სადაურია სიტყვა „იარმუკა“. ეს ხომ უეჭველი პროვინციალიზმია, რომელიც რუსული სიტყვის „იარმარკა“-ს გაფუჭებული გამოთქმაა. ყველა ასეთი დეფექტი, როგორც აღვნიშნეთ, უმნიშვნელოა იმ დიდ მიღწევასთან შედარებით, როგორსაც წარმოადგენს აღნიშნული გამოცემა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ წიგნს აკადემიური ნამუშევარის დაღი აზის მთარგმნელების და რედაქტორის სასახელოდ.

წიგნი გამოცემულია მშვენიერად.

შ. ნ.

ჩვენი ფოსტა

— ქ. ლანჩხუთი—დამზღვევ პუნქტის გამგეს—თ. ჭავჭავაძეს. თქვენი განცხადება დაკარგულ საბუთების გამოქვეყნების შესახებ დაბეჭდილია გაზ. „კომუნისტ“-ის 245 ნომერში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს 1924 წ. დღის 3 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია **საკლუბო კურსებზე მომუშავე ქალთა პირველი კრება,** დასწრება კლუბის მუშა-ქალების აუცილებელია.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე: ლ. ბიბინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომი** ატყობინებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის ზედა დარბაზში შესდგება **საინსტრუქციო მოხსენება** საბჭოს წევრების მიერ თავის ამომრჩეველებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ. სავალდებულოა არსენალის რაიონში არჩეულ საბჭოს წევრების გამოცხადება.

მდივანი: მაშკევიჩი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. აგიკოვს, ვაგანს, კალანტაროვს ნიკ., აგაჯანოვს არტავასს, ბარანოვიჩს მოსესს, მანდაკუნსტიგრან, ბეკეტოვს გაბრიელს და ზურაბოვს გრიგოლს გამოცხადდენ ამხ. საakovთან.

თბ. კომიტეტის საღრიცხ.-განმანაწ. განყოფილება.

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას შენობაში მოწვეულია მორიგი სხდომა ცენტრალურ კომიტეტის **საორგანიზაციო კოლეგიისა.**

რადგან საკითხები ფრიად მნიშვნელოვანია, ამიტომ დასწრება სავალდებულოა ყველა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისთვის: 1. საკიანი (ამ. კავკ. საოლქ. კომიტეტიდან), 2. რუხაძე (მთავარი პოლიტ-განათლებიდან). 3. ათოევი (საქ. პროფკავშირთა საბჭ.), 4 დარახველიძე (კომკავშირის ცეკადან), 5. ხაცკევიჩი (კომპარტიის თბილ. კომიტეტიდან), 6. კრუგლიკოვი (კავკ. წითელ დროშ. არმიის პოლიტგამგეობიდან) 7. კვირიკაძე (ქართ. ლაშქრის პოლიტგანყოფილებიდან).

გამოცხადება სავალდებულოა აგრეთვე კომპარტიის ცეკას ყველა განყოფილებისა და ქვეგანყოფილების გამგეთა და ინსტრუქტორთათვის.

თხოვნა ყველასადმი—არ დაიგვიანონ.

საორგანიზ. კოლეგიის მდივანი ჟღენტი.

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას შენობაში შესდგება ცეკას კონფლიქტიურ კომისიის მორიგი სხდომა.

რადგან დღის წესრიგში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია წამოყენებული, ამიტომ დასწრება კომისიის ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

კომისიის მდივანი ჟღენტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30.

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის ოქტომბრის 9.

საჭრელი ტყის ფონდის განაწილების წესის შესახებ.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას რომ სახელმწიფო ხე-ტყის დამმუშავებელი სატყეო მრეწველობისა, შეშის დამზადების სახელმწიფო ოპერაციებისა და მრეწველობის სხვა დარგების უზრუნველყოფას მერქნით უაღრესი მნიშვნელობა აქვს—ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მოეწყოს გასაცემი ხემდგარი ტყის განაწილების (თვითეულ რესპუბლიკაში) საუწყებათაშორისო კომისიები; კომისიაში შედიან:

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგე.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი.

გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარედ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ან მისი მოადგილე.

2. გასაცემი ტყის განაწილების საუწყებათაშორისო კომისიას დაეკისრება:

ა) გამოჰყოს წლიურად გასაცემი ტყიდან,—რაც მოსაჭრელად დაინიშნება სატყეო მეურნეობის გეგმის თანახმად,—სათანადო ნაწილი სახელმწიფო საჭიროებისათვის და მომხმარებელთათვის, რომელთაც ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა სატყეო კოდექსებით უფლება აქვთ მიიღონ ტყე საიჯარო ვაჭრობის გარეშე;

ბ) განსაზღვროს გასაცემი ტყის რაოდენობა „ა“ პუნქტში აღნიშნული საჭიროებისათვის, რაიონების მიხედვით;

გ) შეადგინოს სია ტყის მომხმარებელთა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მერქანი საჯარო ვაჭრობის გარეშე;

დ) განაწილოს გასაცემი ტყე ამ მომხმარებელთა შორის.

3. ყველა სახელმწიფო დაწესებულება ორგანო და ორგანიზაცია, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს ტყე სამრეწველო და წარმოებითი მიზნებისათვის საჯარო ვაჭრობის გარეშე, მოვალეა წარუდგინოს საუწყებათაშორისო კომისიას განცხადება ტყის მიცემის შესახებ საჭირო ცნობებით და დასაბუთებით; განცხადება შეტანილ უნდა იქნეს კომისიის მიერ დაწესებულ ვადებში.

4. კომისიის დადგენილება გასაცემი ტყის განაწილების შესახებ მიიღება ხმის მარტივი უმრავლესობით; უმცირესობას უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში შეიტანოს პროტესტი ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოში.

5. თვითეულმა საუწყებათაშორისო კომისიამ უნდა შეადგინოს განსაკუთრებული ინსტრუქცია კომისიის მუშაობის შესახებ; ამ ინსტრუქციას დაამტკიცებს ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო.

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

შინაგან საქმეთა სახ. კომისარის სავალდებულო დადგენილება № 4.

1924 წლ. ოქტომბრის 31.

ლენინის სურათიანი ნიშნების ტარების შესახებ.

ვინაიდან უკანასკნელ დროს გახშირდა ვ. ი. ლენინის სურათებიანი ნიშნების გულზე ტარება და შემჩნეულია, რომ ამ ნიშნებს ატარებენ საეჭვო პირებიც, რომელთათვისაც სრულიად შეუფერებელია კომუნიზმის ბელადის სურათი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ასეთ მოვლენათა ასაკვეთად ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს სოც.-საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ვ. ი. ლენინის სურათებიანი ნიშნების გულზე ტარება, გარეშე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის საგანგებო ნებართვისა.

2. ეს აკრძალვა არ ვრცელდება რუსეთის კომუნისტური პარტიის და რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის წევრებზე.

3. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი დაჯარიმებული იქნება 100 მანეთამდე ადმინისტრატიული წესით. რომელიც გათვალისწინებულია საქ. ცენტრ. აღმ. კომ. მიერ 1923 წლ. მაისის 4-ს დამტკიცებული დებულებით, სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის შესახებ.

4. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

ადმინისტრატიული განყ. უფროსი **ბ. ბერია.**

განცხადებები

ნინა პლატონის ასული სარაჯიშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი ქმრის—მეგობრის

ვანოს

გარდაცვალებას. ნ. 2716 1—1

ძმები: სოლომონი, აპოლონი, თომა, ანდრო, გიორგი, ილიკო სარაჯიშვილები ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ საყვარელი ძმის

ვანოს

გარდაცვალებას. 2716 1—1

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა აცნობებს ამხანაგებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ნოემბერს. 2708 1—1

ქართული სახელმწიფო საოპერო სტუდია მთელი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მოქალაქეთ—ქართულ ხელოვნების ბურჯის, ძვირფასი და დაუვიწყარი სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილ

დაკარგვას. დაკრძალვა—კვირას, 16 ნოემბერს.

სახელმწიფო დრამატიული დასი გულისტკივილით აუწყებს

გადღებას მომღერალი, სახალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილი

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 21

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო კონსერვატორია მწუხარებით და

ტკივილით აუწყებს მუსიკოსთ და ხელოვანთ

სახალხო არტისტის ოპერის მშვენიერებისა და სიამ

ვანო სარაჯიშვილ

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 16 ნოემბ

ხელოვნების საბჭოთა მთავარ საბჭოს თეატრალური გა

აუწყებს ყველას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

ცვალა ქართულ ოპერის საძირკველის ჩამდები, რესპუბლ

ხალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ნოემბერს. ნ. 217 1

სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო აუწყებს ყველას, რომ 11 ნოემბერს გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ნოემბერს. ნ. 218 1—1

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი“ მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 205 0—2

უზომო მწუხარებაში მყოფნი: მამა პავლე ესტატეს ძე, დედა მარიამ დიმიტრის ასული, ძმა ივანე პავლეს ძე და დები ნინუცა, ქეთო და დარეჯანა ლომაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 11 ნოემბერს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი, 2-რე ტექნიკუმის მოწაფე

ალიოშა

პანაშვიდები ყოველდღე მატინოვის ქუჩა, № 32. დაკრძალვა 13 ნოემბერს ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2704 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: ბიძა გიორგი ესტატეს ძე, ბიცოლა ალექსანდრა მიხეილის ასული, ბიძაშვილი შოთა გიორგის ძე და რძალი ნინო იესეს ასული ლომაძეები. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ალიოშა პავლეს ძე ლომაძე

გამოსვენება მოხდება დღეს 3 საათზე, საკუთარ ბინიდან მატინოვის ქ., № 32, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 3 საათზე

2705 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: ბიძები [illegible] ესტატეს ძენი, ბიცოლები მარგარიტა ივანეს ასული, სოფიო ლავრენტის ასული და სოფიო ოქროპირის ასული ლომაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათი საყვარელ და ძვირფას

ალიოშა ლომაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 13 ნოემბერს, საკუთარ ბინიდან მატინოვის ქ., № 32 დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2705 1—1

გულდაწყვეტილნი ლევან და [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი დეიდაშვილის

ალიოშა ლომაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე, ნაშუადღევის 3 საათზე. 1—1 2703

ღრმათ დამწუხრებულნი: ბიძა მიხეილ ესტატეს ძე, ბიცოლა მინადორა ასალოს ასული, ბიძაშვილები: ქსენია, ჟენია, ვენერა, აკაკი და ჩიტო ლომაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელ

ალიოშა (ალექსანდრე) პავლეს ძე ლომაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, 3 საათზე, საკ. სახლიდან მატინოვის ქ. № 32, დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2713 1—1

სახელმწიფო დრამა

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს

გმირი

ნ. 212 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს

1. სოფლის პატიოსნება

2. ჯამბაზები

ნ. 211 1—1

აცხადებს, რომ 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 და 16 ნოემბერს, ელისაბედის ქუჩაზე № 179, გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

ქვაბების, სახარატო დაზგების, ხის ბოჭკების, სამოითემს, საცეხავების, სპილენძის, თუჯის და რკინის ნამტვრევების, ფურგონების ბორბლების, თივის პრესების, მოტორების, რკინის ვედროების და სხვა ქონების გასასყიდათ.

დათვალიერება შეიძლება ყოველ-დღე დილის 10 ს. დღის 2 საათ.

ელისაბედის ქუჩა, 179.

ნ. 113. 3—3. ცეკავშირი.

განათლების განყოფილებათა;

უმაღლესს და საშუალო სასწავლებელთა დირექციებს;

პროფესიონალურ კავშირებთა და ორგანიზაციების

და საზოგადოების საყურადღებოდ

ცხადდება უკანასკნელად

თქვენ ალბად გაზ. „კომუნისტის“, „რაბოჩაია პრავდას“ და „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით გაიგებდით, რომ წინასწარი ხელისმოწერით გამოდის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის პროფესორის კორ. კეკელიძის წიგნი

„ქართული ლიტერატურის ისტორია“

I და II ტომი

სახელმძღვანელო უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისათვის და მუშათა ფაკულტეტებისათვის

წიგნი დაუფასებელი განძია ყველა სამკითხველოებისათვის და თვით განვითარების მაძიებელ პირთათვის.—წიგნის II ტომი გამოვა ნოემბრის დამლევს, ხოლო I ტომი კი მას შემდეგ მოკლე ხანში. რომ საბჭოთა დაწესებულებანი, სასწავლებლები, მასწავლებლები, მოწაფეები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები არ დარჩნენ ამ სამოსწავლო წელს უწიგნოდ, გთხოვთ საჩქაროდ გვაუწყოთ: რამდენი ეგზემპლიარი წიგნისა საჭიროა თქვენ დაწესებულებისათვის და მაზრისათვის. დაკვეთასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს I და II ტომის ღირებულების ნახევარი ე, ი. 7 1/2 მანეთი, შეიძლება ფოსტითაც შემდეგი მისამართით: თბილისი: **ლენინის (ოლღას) ქუჩა № 6, წიგნის მაღაზია: „განათლება“-ში ს. თალაკვაძეს და სასახლის ქ. № 6 წერაკითხვის გამავრ. წიგნის მაღაზია—მასო ედილაშვილს.** ამასთან ნაჩვენები უნდა იქნას, თუ ვის სახელზე უნდა გადმოიგზავნოს წიგნები.—საშუალო სასწავლებელთა დირექციამ თვითვე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენი წიგნი სჭირდება მათ სასწავლებელს, შეაგროვონ ფულები მოწაფეებში და დაუყოვნებლივ გადმოაგზავნონ ფოსტით.

I და II ტომი დიდი ფორმატის 1500 გვერდიანი წიგნი ღირს 15 მანეთი.—ბაზარზე წიგნი გასასყიდად სრულებით არ გამოვა, რადგან ძლიერ განსაზღვრული რიცხვი დარჩა წიგნებისა.

ვისაც არ სურს უწიგნოდ დარჩენა უნდა იჩქარონ

წიგნი 1927 წლამდე ხელმეორედ არ გამოიცემა. 10 დეკემბრის შემდეგ წიგნის დაკვეთა არ მიიღება.—აუწყეთ ყველაფერი ეს ადგილობრივ წიგნის მაღაზიებსაც.—განათლების განყოფილებათ ვანდობთ ადგილობრივ ამ საკითხის მოწესრიგებას.

პატივისცემით გამომცემლობა.

ნის. № 207—3—1

წარმოკავშირის

საგამსაღებლო პუნქტი აცხადებს, რომ მანდატები და ყოველგვარი მოწმობები, გაცემული პუნქტის მიერ სხვადასხვა პირებზე, **გაუქმებულია**

და პირობები დადებული ამ მანდატებით პუნქტისათვის სავალდებულო იქნება. 1—1 271

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—17

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალიარიის სპეციალური ექიმობა 914 შეხბაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჭვრეტა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთო-

---

10 მანეთად

თვეში ვაძლევ

მათემატიკის

(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო ს ასწავლებლის პროგრამით.

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ბლექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

4—3 ნ. № 202

ექიმი

შუხმანი

ილისის, ვენერიული დ

ნის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 6—7 საათამდი

ის ქ. № 89 ქსენიის ქ

№ 2672—25—

ცინის დოქტორი

ა. მონსე

ილების და ბავშვების შ

და ნერვიული სისტემის

ულებათა მკურნალობა

რო-სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

დილით 10—12 საათ.

საღამოთი 5—7 საათ.

კვირა დღისა) პლეხანოვ

ფ. მიხეილოვის) № 1

ბ. № 2

ქა .№ 2531—29

სამთო-მადნო

შირის წიგნაკი

ლექსანდრეს ძე კობიძის

ლოს გაუქმებულად.

1—1 27

დავკარგე პროფკავშირის სა მუშაკთა კავშირის ნაკი № 2371 გიორგი სოლ. ჯავრიშვ ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი მული თბილისის ლევვი კასის ბიერ 1-ლი საბჭ. აფთიაქ თანამშრომელ შალვა ვარლამის ძე ლორ ქიფიანიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმ ლათ. 1—1 271

დავკარგე პირადობის მოწმობა ცემული ბორჯომის მასკომიდან ვასო გაბრიელის ძე მაჭ შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ 1—1 2717

დავკარგე მეტყევეთა კავშირის წევრო წიგნაკი № სოფია ბაგდასაროვის სახელზე. ჩაითვა გაუქმებულათ. 1—1 271

ტირაჟი—22.000.

„ზარია ვოსტოკის“ სტამბა, სოშ წულუკიძის ქუჩა № 4.

მუშკორების საყურადღებოდ

შაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე

მუშათა ცენტრალურ კლუბში (მახეილის ქუჩა), შესდგება მუშკორების, სამხორების და თბილისის ყველა გაზეთების კორესპონდენტების

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) მუშკორების ამოცანები ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობასთან დაკავშირებით — მომხსენებელი ამხ. **ნაზარეტიანი.**

2) მუშკორების საქალაქო ბიუროს ანგარიში—მომხსენებელი ამხ. **შაფათავა.**

3) მუშკორების მომავალი მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ **კუჩკინა.**

4) მუშკორების საქალაქო ბიუროს გადარჩევა.

5) მიმდინარე საქმეები.

საღამოს 5 საათზე იქვე შესდგება მუშკორების საქალაქო ბიუროს სხდომა რაიონულ ბიუროებთან ერთად. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. კრებაზე მოწვეული არიან თბილისის გაზეთების ყველა მუშაკები.

მუშკორების თბილისის საქალაქო ბიურო.

სამკურნალო მცენარეების კულტურისა და დამზადების შესახებ

როგორც გაზეთ „კომუნისტი“-ს 233 ნომერში ამხ. ა. კალანდაძის წერილიდან სჩანს, საქართველოში სამკურნალო მეურნეობის კულტურისა და მოგროვების საკითხით დაინტერესებულა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მისი ინიციატივით მოწვეულ თათბირს კიდეც აურჩევია „სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხსენება და გამოარკვიოს ამ საკითხის მოგვარების პრაქტიკული შესაძლებლობა“.

ჯერ არ ვიცი, თუ რა დასკვნამდე მივიდა კომისია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საკითხი სამკურნალო მცენარეების კულტურის განვითარების და მოგროვების შესახებ არა ერთხელ დასმულა საქართველოში, მაგრამ დღემდე ჩვენ სასოფლო-მეურნეობაში ამ დარგს არავითარი მნიშვნელობა არ მოუპოვებია, თუმცა ხანგამოშვებით საგაზეთო წერილებში და ცალკე გამოცემებშიც ზოგიერთი ავტორები მას უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ. გაზეთ „მიწის მუშა“-ს 489 ნომერში ვიღაც მეურნეც ურჩევს ჩვენს გლეხობას ზამთარში აწარმოოს ზოგიერთი სამკურნალო მცენარეების მოგროვება, როგორც მაგალითად: კატაბალახა, ტუხტი, ძირტკბილა, ზამბახი, ენძელა და ხარის ძირა. წერილის ავტორი იმის დარიგებასაც იძლევა, თუ მცენარის რომელი ნაწილები უნდა მოაგროვონ გლეხებმა და როგორ უნდა აწარმოონ მათი დამზადება.

მაგრამ გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ წერილებს მხოლოდ შეცდომაში შეუძლიათ შეიყვანონ გლეხობა. ჯერ ერთი, რომ მცენარეების ქართული სახელწოდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ერთნაირი არ არის. ერთ და იმავე მცენარეს ერთ რაიონში ერთ სახელს უწოდებენ და მეორე რაიონში მეორეს. ხშირად კიდევ ერთი და იგივე სახელწოდება სულ სხვადასხვა მცენარეს აქვს.

მცენარის ლათინური სახელწოდებაც სწორედ ამიტომ არის შემოღებული, რომ მცენარის ადგილობრივ სახელწოდებას ვერ დავემყარებით, თუ მოვინდომებთ შეცდომის თავიდან აცილებას.

მართალია გლეხმა ლათინური სახელი არ იცის, მაგრამ მისმა ხელმძღვანელმა (აგრონომი იქნება ის თუ სხვა ვინმე) აუცილებლად უნდა იცოდეს ის. უხელმძღვანელოდ კი გლეხი სამკურნალო მცენარეს ვერ მოაგროვებს. ეს ჩემი პირადი დაკვირვება-გამოცდილებით ვიცი, როგორც ყოფილმა ინსტრუქტორმა იმ ორგანიზაციისა, რომელიც წარსულ საერთაშორისო ომის დროს ჩვენში აწარმოებდა სამკურნალო მცენარეების დამზადების საქმეს ჯარის საჭიროებისთვის. ჯერ კიდევ ამ ორგანიზაციის დაარსებამდე ფარმაცევტმა ლხაიშელმა ერთ-ერთ გაზეთში მოათავსა ვრცელი წერილი, ჩამოთვალა აურაცხელი მცენარეები და ურჩია გლეხობას მათი მოგროვება. ბევრ ადგილას გლეხებს კიდეც ბლომათ დაემზადებინათ მცენარეები, მაგრამ სულ ტყუილა ჩაუარათ შრომამ. ზოგიერთ სოფლებში შეცდომით თვითეულ ოჯახს ათეული ფუთობით მოეგროვებია ისეთი მცენარეები, რომელთაც არავითარი სამკურნალო მნიშვნელობა არ აქვთ. ისეთი მცენარეებიც იყო მოგროვილი, რომლებსაც თუმცა სამკურნალო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათზე მოთხოვნილება ბაზარზე სრულებით არ იყო. თავისთავად დამზადებული საქონელი სრულებით უვარგისი იყო და კიდეც რომ დიდი მოთხოვნილება ყოფილიყო ამ მცენარეებზე, მყიდველი მას არ შეიძენდა უვარგისობის გამო. გლეხობამ არ იცოდა და არ იცის მცენარეთა დამზადების და მოგროვების წესები. რასაკვირველია, ასეთმა გარემოებამ სრულებით აუცრუა გლეხობას გული სამკურნალო მცენარეების დამზადებაზე და კულტურაზე. ამის შემდეგ ის იმ მცენარეების მოგროვებაზეც უარს ამბობდა, რომელსაც პრინც ოლდენბურგსკის მიერ დაარსებული სამკურნალო ორგანიზაცია ყიდულობდა იმ წლებში ჯარის საჭიროებისთვის. ხსენებული ორგანიზაცია 1915 წლის ბოლოს დაარსდა და თანამშრომლები-სპეციალისტები მობილიზაციით გაიწვია სამუშაოთ. გარეულ მცენარეებში ორგანიზაცია უმთავრესად ამზადებდა ძაღლყურძენას (Atropa Belladonna) და კატაბალახას (Valeriana officinalis L). პირველი მცენარე საკმაო დიდი რაოდენობით მოგროვილ იქნა უმთავრესად კახეთში და დასავლეთ საქართველოში (რაჭა-იმერეთი). ეს მცენარე მოიპოება უმთავრესად გადამწვარ და გაჩეხილ ტყეებში. დათესილიც იქნა ეს მცენარე ტფილისის ბოტანიკური ბაღის ბაკურიანის განყოფილებაში, კულაშის საცდელ მინდორში და ზოგიერთ სხვა ადგილებში, მაგრამ ომის გათავების შემდეგ ეს საქმე დავიწყებას მიეცა. მეორე მცენარე მოიპოება ცოტაოდენი რაოდენობით ტფილისის მიდამოებში, რაჭის მთებში და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ამ მცენარის კულტურასაც აწარმოებდა ბოტანიკური ბაღი: ერთ წელს ნათესიდან 5 ფუთზე მეტი თესლიც კი იყო მოგროვილი, მაგრამ იგი უსარგებლოთ ეწყო ტომრებში და არ მახსოვს რა ბედი ეწვია შემდეგში.

რაჭაში მოიპოება კატაბალახას მეორე სახეც (Valeriana sambucifolia Mik.), რომელიც ძალიან ჰგავს სამკურნალო კატაბალახას (V. officinalis L.) და შეიძლება იგივე სამკურნალო თვისებები და შემადგენლობაც ჰქონდეს.

ორგანიზაცია სხვა მცენარეების კულტურას და დამზადებასაც აწარმოებდა, მაგრამ ეს საქმე ომის შემდეგ თანდათან მინელდა. ომის დროს კი საზღვარგარეთის ბაზრის დაკეტვის გამო მოთხოვნილება სამკურნალო მცენარეებზე დიდი იყო რუსეთში.

თუ დღეს ამ საქმეს პრაქტიკულ ნიადაგზე ვაყენებთ, აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ იმ ძველი ორგანიზაციის და მის სპეციალისტ-ბოტანიკოსების დაკვირვება-გამოცდილებით, რომ ყოველგვარი შეცდომები და გაუგებრობა თავიდან ავიცილეთ.

ი. ბუაჩიძე.

ქოოპერაცია

კოოპერატიული კურსების გახსნა თბილისში

ამ წ. 12 ნოემბერს თბილისში გაიხსნა კოოპერატიული კურსები, რომელიც მოაწყვეს ცეკავშირმა და წარმოკავშირმა. საზეიმო სხდომას დაესწრნენ ქალაქის როგორც კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებისაც.

საზეიმო სხდომას ხსნის კურსების გამგე ამხ. შ. გოგებაშვილი, რომელიც მოკლე სიტყვით მარტავს კურსების გახსნის მიზეზს.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ერქომაიშვილი და ამხ. ვ. ცაგარელი, ამხ. ვ. კანდელაკი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

მომხსენებლები ეხებიან ძველ კოოპერაციას და ხაზს უსვამენ წითელ კოოპერაციას. მოხსენებების შემდეგ კურსანტების მიერ გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

მსმენელი.

რკინის გზებზე

— **შტატის შემოკლება.** 12 ნოემბერს გამოქვეყნდა რკ. გზის სამმართველოს შტატის შემოკლებაში მოყოლილ თანამშრომელთა სია. შტატს გარეშე დარჩენილია 212 კაცი.

— **გზათა სახ. კომისარიატის** სარევიზიო კომისიამ დაამთავრა თბ. რკინისგზის დამცველთა ადგილკომის რევიზია. ადგილკომის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

— ადგილკომების სადელეგატო კრებამ წინადადება მისცა სადურქნო [illegible] კომისიას წარმოადგინოს თავისი მოქმედების სრული ანგარიში.

— **შრომის დაცვა.** ადგილკომების სადელეგატო კრებამ წინადადება მისცა შრომის დამცველ კომისიას გამოარკვიოს, თუ გზის დამცველებს აქვთ სპეც ტანისამოსი და აგრეთვე არის არა თუ სადარაჯოებზე სადარაჯო კარავები.

— **ახალი ორთქლმავლები.** ამ დღეებში ა.-კ. რკინის გზებზე სამუშაოთ დონიდან მიიღებული იქნება 10 ორთქლმავალი Щ სერიის.

ყარაიაზის ველები

საქართველოს მიწა-წყალზე სულ თავისებურ კუთხეს წარმოადგენენ ყარაიაზის ველები:

ხელის გულივით გადაშლილი ვაკე, იშვიათად ნოყიერი ნიადაგი, სწორ ზოლათ გადაჭიმული სარწყავი არხები და შედარებით ცოტა მოსახლეობა, რაც ერთგვარ უდაბნოს ელფერს აძლევს მთელ ყარაიაზის არე-მარეს.

ამბობენ თვით მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანის დროსაც ყოფილა იქ არხი მტკვრის პირად გაყოლილ ველების სარწყავადო. თამარ მეფის დროს კი მთელი ის არე-მარე სულ ერთიან ირწყვებოდა და საუცხოვო მოსავალიც მოდიოდა. ალბათ ამის გამოისობით დაარქვეს კიდეც ყარაიაზს—„ბოსტან-ქალაქი“.

დღეს საუკეთესო სარწყავ ადგილათ არის გადაქცეული მთელი ყარაიაზი. 15.000 დესიატინა სულ საუცხოვო არხებით არის დასერილი და არც ერთი კუთხე არ რჩება ურწყავათ.

რასაც დასთესავ, ყველაფერი ზღვათ იქცევა: პური, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ბამბა; თუ არ დასთესავ და, ოღონდ მორწყე, მაშინაც მიიღებ პირნახულის საფასურ—თივას.

მართლაც, ჩახვალ თუ არა სადგურზე, ჰხედავ იქავე თივის უშველებელ ზვინებს, ზოგს დაპრესილს, ზოგს დაუპრესავს. ხარბ თვალს ჰგონია—რამდენიმე მილიონი ფუთი მაინც არის. ნამდვილათ კი ნახევარ მილიონამდის იქნება. ეს არის ცეკავშირის მონაგარი. ერთი წელიწადია, რაც მთავრობამ ცეკავშირს ჩააბარა თივის საქმე. წრეულს პირველი სეზონი იყო ამ მუშაობისა. მოსავალი ერთობ უხვია შარშანდელთან შედარებით.

გარდა იმისა, რომ ცეკავშირმა 1200 დესიატინაზე თვითონ მოიყვანა თივა, იგი აწარმოებს ფართე შესყიდვასაც ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან როგორც თივის, აგრეთვე სხვა მოსავლისაც.

მიუხედავათ თივის უხვი მოსავლისა და მის საერთო საჭიროებისა ჩვენში—მისი რეალიზაცია ცოტა გაძნელებულია: ყველაზე დიდი მომხმარებელი თივისა არის ჯარი. ჯარისთვის კი ჩრდილოეთ-კავკასიიდან და ყარსის მხარედან გამოუწერიათ თივა. კარებ წინ კი ისე რჩება ჯერ-ჯერობით გაუყიდავათ. მაინც იმედი აქვთ, რომ ჭიათურაში გასაღდება იგი საკმარისად.

ცეკავშირს უყოჩაღია და ერთი კაი საქმეც გაუკეთებია ყარაიაზში. სოფ. ყარა-თაფის ბოლოზე, სადგურიდან ორი ვერსის მანძილზე გაუმართია ბამბის საწმენდ-საპენტი ქარხანა და წისქვილი. თვითონ ცეკავშირი ფართედ აწარმოებს ბამბის შესყიდვის საქმეს, იქვე სწმენდავს და ასე გამზადებულ დაპრესილ საქონელს აგზავნის თბილისში. წისქვილიც და ბამბის ქარხანაც მუშაობს ტურბინით.

როგორც ეტყობა ცეკავშირს ენერგიულათ მოუკიდია ხელი ყარაიზში მოღვაწეობისთვის და ჯერ-ჯერობით შესაფერი ნაყოფიც გამოუღია. მის მუშაობას ხელმძღვანელობს ადგილობრივ—ყარაიაზის მეურნეობაში კარგათ გამოცდილი პირი ვ. ზ—ვა.

ყარაიაზის მთელ მოსახლეობას შეადგენს თათრობა და რუსობა. ქართველები თითო-ოროლა თუ მოიპოვება კანტი-კუნტათ. ზაფხულობით მუშა ხელს კი თითქმის სულ ქართველობა იძლევა. რამდენიმე ათასი ქართლელი გლეხი მთელი ზაფხულობით მუშაობს იქ. და მათი ხელით არის დამუშავებული უმეტესი ნაწილი თივა, ბამბა და სხვა პირნახული.

ყარაიაზი თევზის საჭერ რაიონსაც წარმოადგენს: სადგურიდან თორმეტი ვერსის მანძილზე მდებარეობს რამდენიმე ვერსის სიგრძე ტბა. იქ დიდძალი თევზი მოიპოვება: ლოქო, კაპარი, საზანი. ბლომათაც იჭერენ, მაგრამ გემოთი კი ვერ არის სანაქებო. ამბობენ ტბის გარშემო ლერწმის ტყეებში გარეული ღორებიც ბუნაგობენო.

სადგურიდან 5—6 ვერსის მანძილზე მთავარი არხის კარგა მოზრდილი წყალვარდნილია 40—50 მეტრის სიმაღლისა. მაგრამ ეს მდიდარი ძალა ჯერ-ჯერობით სულ ერთიან გამოუყენებელია და ამაოთ ჩაჰქუხს რკინის განიერ კალაპოტში.

ყარაიაზის ველი ჯერ სავსებით არ არის გამოყენებული არც თავის სივრცით და არც თავისი ნაყოფიერებით. მას ბევრათ უფრო მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ეხლა. მაგრამ საამისოთ საჭიროა უფრო გონიერი სარგებლობა და უფრო მეტი მუშაობა.

სხვათა შორის ყარაიაზის წინ წასაწევათ და მის ნიადაგის სიმდიდრის გამოსაყენებლათ საჭიროა მისი დასახლება. იმ დროს, როცა რაჭაში, იმერეთში, ქართლში ასეთი წვა-დაგვაა მამულისა, ყარაიაზის ნაყოფიერი ველები მთელ ათეულ ვერსზე უმოსახლოთ იმყოფება. ამბობენ ქართველები ვერა სძლებენ იქაო. ტყუილი ამბავია. თუ კი ზაფხულის გახურებულ სიცხე-პაპანაქებაში სძლებენ იქ მუშაობას ქართველი გლეხები, განა ზამთარში კი ველარ გასძლებენ? მაგრამ აქ უფრო სხვა მიზეზებია გამოსარკვევი. და თუ მთავრობა ამ საქმეს ენერგიულათ მოჰკიდებს ხელს—ყარაიაზი ერთ უმდიდრეს სამოსახლო ადგილათ გარდაიქცევა მთელს საქართველოში.

მოაწზე.

მეცნიერება და ტეხნიკა



თანამედროვე გემი

გადაფრენას ევროპიდან ამერიკაში აბრკოლებდა ის გარემოება, რომ გზაში საჰაერო გემებისათვის არ მოიპოვება დასასვენებელი სადგური. თანამედროვე ტეხნიკამ ადვილად გადასწყვიტა ეს საკითხი. დამზადებულია სპეციალური გემები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ანგარსაც (აეროპლანების სადგომს) წარმოადგენენ და ჰაეროდრომსაც (გასაფრენ და დასაშვებ მოედანს. ჩვენი სურათი წარმოადგენს ერთ ასეთ გემებს. ზევით ანძაზე მიმაგრებულია ცეპელინი, ქვევით კი—ჰაეროპლანები მზად არიან გასაფრენათ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ცეპელინის საშუალებით განზრახვა აქვთ მოაწყონ საჰაერო მიმოსვლა ნიუ-იორკ-ლონდონს შუა; ამ საჰაერო გემს შეუძლია გადაიყვანოს 50 მგზავრი.

ვარსკვლავების კატალოგი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხორვარდის ობსერვატორიამ კემბრიჯში (ამერიკა) დაამთავრა გრანდიოზული შრომა. გამოსცა ვარსკვლავების კატალოგის უკანასკნელი ტომი. ეს კატალოგი შესდგება 9 ტომისაგან და მასში აღნუსხულია ყველა დიდი ვარსკვლავები, მათი მდებარეობის და სპექტრის აღნიშვნით. უდიდესი ვარსკვლავების რომელთა დანახვა შეიძლება შეუიარაღებელი თვალით,—რიცხვი უდრის 6000-ს. ახალ კატალოგში კი შეტანილია 225.000 მნათობი. კატალოგის შესადგენად საჭირო დარჩა დამუშავება 15.000 ფოტოგრაფიული ფირფიტის, რომელიც ხორვარდის ობსერვატორიის არქივში მოიპოვებოდა და აღნუსხვა 225.000 სპექტრის. ეს უკანასკნელი უდიდესი მუშაობა შეასრულა ქალმა-მეცნიერმა. ამ კატალოგის შედგენა დაიწყო ცნობილმა ასტრონომმა პიკერინგმა და დაამთავრა მისმა მემკვიდრემ—პროფ. შეპლეიმ.

პულკოვის ობსერვატორიასაც (მოსკოვის ახლო) განზრახული აქვს გამოსცეს ვარსკვლავების დიდი კატალოგი. მუშაობას ამ კატალოგის შესადგენათ დასჭირდება 10 წელიწადი.

ადამიანი—მაიმუნები.

კუნძულ სუმატრის მცხოვრებლებს შორის ხმა გავრცელდა, რომ კუნძულის სამხრეთ-რაიონში გაუვალ ტყეში სცხოვრობენ არსებანი, რომლებიც რაღაც საშუალოს წარმოადგენენ ადამიანსა და მაიმუნს შორის. ამ ხმებმა აიძულა ჰოლანდიის მთავრობა სპეციალური ექსპედიცია გაეგზავნა ხმების შესამოწმებლათ. და აი, ახლა ჟურნალში „ტროპიკული ბუნება“, ჰოლანდიელი ი ვან-ხერვარდენ, რომელმაც პირველათ ნახა ეს ახალი ცხოველი, იძლევა მის აღწერას: ცხოველი, რომელიც მან ნახა, იყო მდედრი, თავიდან თმები გადმოშლილი ჰქონდა მხრებს დაბლა, სახე მოყვითანო და თითქმის უბალნო, ცხვირი ფართე, დიდი პირი, გვერდის კბილები ძლიერ განვითარებული, ყური თითქმის, როგორც ადამიანის, თვალების გამომეტყველებაც ისეთივე. ცხოველი იჯდა ხეზე და რაღაც ყრუ ხმებს იძლეოდა. მეცნიერმა ვერ დაიჭირა ის. მოკვლას კი დაერიდა.

ჩინეთის ანბანის რეფორმა.

ჩინეთში უკვე 2250 წელიწადია ცდილობენ ანბანის რეფორმის გატარებას. თანამედროვე ჩინური ანბანის შესწავლა პირდაპირ წამებას წარმოადგენს: 4 წლიანი დაბალი სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვმა იცის მხოლოდ 700—1000 ანბანი, ჩვეულებრივ კი, საშუალოდ საჭიროა 4000 ანბანის ცოდნა, კარგათ წერისა და კითხვის შესასწავლათ არანაკლებ 8—10 ათასი ანბანი და სკოლაში მეცადინეობა 10—11 წელიწადი; დიდი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლათ კი ჩინელმა თავისი სიცოცხლის ორი მესამედი უნდა მოანდომოს ანბანის კარგათ შესწავლას. 1915 წ. ცდის სახით შემოიღეს 39 ასოდან შემდგარი ანბანი, გამოცდები „სწავლულობაზე“ გააუქმეს. იმედი აქვთ, რომ ოცი წლის განმავლობაში რეფორმას გაატარებენ. უკვე ახლა მრავალი პერიოდული გამოცემები ახალი ანბანის მიხედვით იბეჭდება.

ენერგიის ახალი წყარო.

გაზ. „ობსერვერის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პროფესორმა ფლეტნერმა აღმოაჩინა ენერგიის ახალი წყარო. ფლეტნერი აცხადებს რომ ახლოა ის დღე, როცა ქარი მოგვცემს სინათლეს, სითბოს და მოძრაობის მამოძრავებელ ძალას. ფლეტნერს იმედი აქვს, რომ რევოლიუციას მოახდენს სასოფლო-სამეურნეო იარაღების და დამზადების საქმეში.

მუშათა ცხოვრება

ვეხმარებით ლენინგრადის მუშებს.

(ახალციხელ კორესპონდენტისაგან).

ახალციხის მთლიან კოოპერატივის კანტორაში შესდგა „ეპოს“ თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა მნიშვნელოვანი საკითხი წყალდიდობისაგან **დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატისადმი დახმარების შესახებ.** ადგილკომის მდივანმა ამხ. რიბინმა კრებას გაუკეთა ინფორმაციული მოხსენება აღნიშნულ საკითხის შესახებ. იქვე სათანადოთ შედგენილ სიაზე ყველამ მოაწერა ხელი, რომელთა შემოწირულების **ჯამი შეადგენს 75 მანეთს.** ეს თანხა მეორე დღესვე იქნა გადაგზავნილი სამაზრო პროფ-ბიუროში დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ. თვითეული ამხანაგის შემოწირულება **უდრის მისი ორი დღის ხელფასს დაახლოებით.**

ინფ. ლორთქიფანიძე.

ალაგმეთ მუქთახორები!.

(მთავარ სახელოსნოს ადგილკომის საყურადღებოთ).

მთავარ სახელოსნოების ბუხჰალტერს მუმლაძეს მთავარ კანტორაში საქმეები ჩამორჩენია და ამ ნიადაგზე გასცა განკარგულება, რათა ზოგიერთ მისგან ამორჩეულ მოანგარიშეებს ემუშავნათ სალამოობით ზედმეტ საათებში. მუშაობა სწარმოებდა სალამოობით.

ნამუშევარ საათების რეგისტრაციას აწარმოებდა ვითომდა ბუხჰალტერის თანაშემწე, სინამდვილეში კი მოანგარიშე მოქ. ლიავდანსკი. ლიავდანსკის იმდენად არ უღალატნია თავის ძველებურ ჩინოვნიკურ ჩვეულებისთვის, რომ თავისთვის და მის უფროს მუმლაძისთვის ყველაზე მეტი საათები დაუწერია. ეს თუ ასე არ ყოფილიყო, მუმლაძე, რომელსაც ნახევარჯერ არ უმუშავნია, ვერ მიიღებ და 90 მან. და თვითონ კი 75 მან. მაშინ, როდესაც ჩვენ მოანგარიშეები თავაუღებლივ ვმუშაობდით და მივიღეთ მხოლოდ 20—25 მან. გამოარკვიეთ, თუ რაშია საქმე?

მუშკორი № 27.

გამოუგზავნილი წერილებიდან.

დაპირებას ასრულება უნდა

(ქალაღმასკომის საყურადღებოდ)

ნიკო გოცირიძის სახელობის მუშათა კლუბი (ყოფილი ავჭალის მუშათა აუდიტორია) სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამ კლუბში არც ერთი წარმოდგენა არ გამართულა, კლუბს კი დიდი წარსული აქვს.

საჭიროა ეს კლუბი ამუშავდეს, რათა მახლობლად მცხოვრებ მუშებს მიეცეთ სულიერი საზრდო. ქალ. აღმასკომი მოვალეა დაპირება აასრულოს, რაც შეიძლება მალე.

მუშკორი კინო.

ქალბატონი ველარ მოხსნეს.

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

ამა წლის მაისის ბოლო რიცხვებში შრომის მე-16-სკოლაში ადგილკომთან იჩივლა ამავე სკოლის მოსამსახურე ქალმა დორა ლაჩინოვისამ, რომ მას ყურები აეწია ამ სკოლის გამგემ ქალბატონმა ჯიჯავაძის ქალმა. ადგილკომი შეეკითხა მოწმეებს და ყველაფერი დადასტურდა მათი ჩვენებით. ადგილკომმა ეს საქმე გაასაჩივრა კავშირში. კავშირმაც გამოიძია ხელმეორედ ეს საქმე და დამტკიცდა ლაჩინოვის განცხადების სინამდვილე და კომისიამ დაადგინა ჩამოყენებული ყოფილიყო გამგეობიდან ჯიჯავაძის ქალი და გადაყვანილ ყოფილიყო ის სხვა რომელიმე სასწავლებელში. მაგრამ ჯერაც სისრულეში არავის მოუყვანია ეს გადაწყვეტილება და ჯიჯავაძის ქალიც ისევ განაგებს აღნიშნულ სკოლას და ფარფაშობს თავისებურად.

რას იტყვიან კავშირის წევრები თავიანთ დადგენილებაზედ, როდის მოიყვანენ მას სისრულეში?!

მუშკორი შხამი.

სახლის თავხედი პატრონი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

შრომის ქ. მდებარე სახლის № 38-ის პატრონი ილია გოლამშვილი ავიწროებს მდგმურებს თავხედური საქციელით. ყოველდღე ლანძღვა გინებით იკლებს იქაურობას, ჩხუბობს, რათა დააცლევინოს მათ სახლი თავის მოკეთეების გადმოსაყვანათ, ამგვარ სახლის პატრონს სასურველია ლაგამი ამოედოს.

მუშკორი ი. ხონელი.

თუ ნაცნობი ხარ, მობრძანდი

(მუშკოოპის საყურადღებოდ).

თუმანოვის ქუჩაზე არის მუშკოოპის ერთი დუქანი, სადაც ხდება არა სასიამოვნო მოვლენა. შაქრის კრიზისი ჯერ ისე არ არის გამწვავებული და იქაური მოსამსახურეები კი ისე იქცევიან, თითქოს შაქარი არსად არ მოგვეპოვებოდეს. წევრებს აძლევენ ერთ გირვანქას და თუ ნაცნობი იქნება მათი, მაშინ რამდენიც ნებავთ იმდენი მიაქვთ.

ამას ბოლო უნდა მოეღოს.

მუშა ქიტიაშვილი.

მშვენიერ წალკოტთან ნაგვის ყუთი

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩერქეზოვის ქუჩაზე ახლად გაშენებულ ბაღის (ამხ. ჯაფარიძის ძეგლის) გვერდით აშენებული მებაღის ქოხი, ძველი ტომრებით დახურული და გარშემო ნაგვით დაფარული, წარმოადგენს ძალიან უშნო სურათს. ბაღის სიმშვენიერეს ეს ქოხი ჩრდილავს და მაყურებელზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მოაშორეთ ბაღს ეგ ქოხი.

მუშკორი ლანდუროვი.

ფაბრიკა-ქარხნებში.

ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

— **შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით.** საწარმოო თათბირის მიერ ფულადი ავანსების მაგივრად შემოღებულია სურსათ-სანოვაგის კრედიტად გაცემა მუშებზე.

— **მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის კრედიტად გაცემის მიზნისთვის,** ფაბრიკის ადმინისტრაციამ დასდო ხელშეკრულება კოოპ. საზოგადოება „წითელ ქართლთან“, რომელიც ვალდებულია მიაწოდოს მას რეგულიარულად ასეთი

— **საფეიქრო განყოფილებაში დაიდგა კიდევ ახალი დაზგები,** მათი რიცხვი ეხლა უდრის 12—ს

— **ჟოკარდის სისტემის დაზგებიდან, რომელიც ფაბრიკას მოეპოვება 7 ცალად, გაუშვეს უკვე ერთი**

საკარტონაჟო ფაბრიკა.

— მუშათა რიცხვი გაიზარდა, ეხლა ფაბრიკაში ირიცხება 300 მუშა.

— **ფაბრიკა თითქმის სავსებით ასრულებს საწარმოო დავალებას,** იგი დღეში ამზადებს 100.000 კოლოფს.

— **დასამუშავებელ მასალაში დიდ ნაკლულოვანებებს ადგილი** აღარ აქვს ვინაიდან ტრესტი მას აწვდის ფაბრიკას ყოველთვის რეგულიარულად.

— **გარდა სახელმწ. ფაბრიკებისა, ფაბრიკა ღებულობს კერძო თამბ. ფაბრიკათა შეკვეთებსაც,** რომლებიც ყოველთვის ბლომად მოიპოვებიან ეს კი აიხსნება ნაწარმოების კარგი ხარისხით.

— **შესდგა ერთი საწარმოო თათბირი,** რომელზედაც ამორჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი ბიურო.

ინფ. ტონკა.

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

შეკითხვა:

ყაზბეგის ქ. № 39 გვიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 25 კვ. არშ. ჩვენ ვართ ორი ამხანაგი, ვირიცხებით თბილისის ელექტრო-ტეხნიკუმის მსმენელათ და გვეძლევა სტიპენდია (20) ოც-ოცი მან. თვეში. მასთან ერთად ვირიცხებით პროფკავშირის წევრად და დაზღვეულიც ვართ. ჩვენს გვერდზე მდგომს მდგმურს, რომლებიც შესდგებიან სამი სულისაგან, აქვთ დაკავებული ორი დიდი ოთახი ორი დერეფანი და ერთი დიდი სამზარეულო.

გთხოვთ განგვიმარტოთ შემდეგი: 1) რამდენი უნდა გადავიხადოთ სახლის ქირა და სახლის პატრონი რომ არ ღებულობს, რა უნდა უყოთ ამ ფულს; 2) გვაქვს თუ არა უფლება სამზარეულოში ჩავეზიაროთ ზემო აღნიშნულ მდგურს ან და ერთ-ერთი დერეფანი მივითვისოთ და ვისარგებლოთ ოთახის სიმცირისა მიხედვით.

1. დ. ცხვედიანი.
2. რ. კალანდარიშვილი.

პასუხი:

ბინის ქირის თვითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით 0,7—კაპ.—სულ მთელ ბინისას—18 კაპეიკს; თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ იღებს, დაისწარით მოწმეები და ამის შემდეგ შეიტანეთ ხაზინაში მის სახელზე დეპოზიტში; თქვენ გაქვთ უფლება, თუ საცხოვრებელ ბინების სივრცე ხელს გიწყობთ, შეავიწროვოთ მეზობელი მდგმურები და თითოეულ სულზე მიიღოთ 20—25 კვადრატიულ არშინამდის.

სამზარეულო საერთო არის, თქვენც ისარგებლეთ, მხოლოთ მისი სარგებლობისათვის გადაიხდით ბინის ქირის ერთ პროცენტს.

შეკითხვა:

მე ვმსახურობდი ამიერ-კავკასიის რკინისგზის საბარგო განყოფილებაში სადგურ რიონში. 1923 წ. ვიქენ გაწვეული სამხედრო სამსახურში, სადაც ვიმსახურე 1924 წლამდე და შემდეგ მივიღე უვადო შვებულება გამოვცხადდი აღნიშნულ სამსახურში რკინის გზაზედ, მაგრამ სამსახურში აღარ ვიქენ დაშვებული. სადგურის ადმინისტრაციის მიერ. ამიტომ გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო ჩემი ძველი სამსახური რკინის გზაზე. ან არის თუ არა ისეთი დეკრეტი, რომელიც ზღუდავდეს ყოფილი წითელ-არმიელის სამსახურში დაშვებას.

ტარასი ზუღაძე.

პასუხი:

თანახმად სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტისა მუხ. 3 (იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს № 149 1923 წ. 1 ივლისის ნომერით და ა. კ. შრ. სახ. კომისარიატის დადგენილება № 89—ივნ. 6 1924 წ. 29 მარტ.—იხ. ს. ს. ს. რ შრომის სახკომის ბიულეტენი № 4—1924 წ.) თქვენ როგორც **წითელ-არმიიდან დემობილიზაციის გამო დაბრუნებულს უნდა დაგიბრუნდეთ ძველი სამოქალაქო სამსახური, თუ ის თანამდებობა, რაც თქვენ მობილიზაციამდე გეჭირათ, არ არის გაუქმებული, თუ კი ეგ თანამდებობა გაუქმებულია, მაშინ თქვენ უნდა მოგეცეთ შრ. კანონთა კოდექსით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის ყველა სახეები.**

წერილები პროვინციიდან

ოქტომბრის დღესასწაული პროვინციაში

ფოთი

დილის ცხრა საათიდან იყრიან თავს კავშირები თავისი დროშებით და მუსიკით პარტკომთან. ზღვა ხალხი. ზღვა დროშები. თერთმეტ საათზე იწყება დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობს ხუთი ათას კაცამდე. ყველაზე წინ მიდიან პიონერები, მათ უკან კომკავშირი და შემდეგ კავშირები.

დემონსტრაციის შემდეგ ლენინის ბიუსტთან იმართება მიტინგი, რომელსაც ხსნის პარტკომის მდივანი. მისი მოკლე სიტყვის შემდეგ გამოდიან მისასალმებელი სიტყვებით: აღმასკომის სახელით—ამხ. მუსერიძე, წითელი არმიის—ამხ. ვასილიევი, კომკავშირის—ამხ. ჯიბლაძე, მშრომელ ქალების—ამხ. ცაგარეიშვილი, პროფესიონალური კავშირის—ამხ. ჯოქოსაძე, ამხ. მშვენიერაძე, ამერიკელ **მეზღვაურების სახელით ამერიკელი მეზღვაური ამხ. ფურმანი და იტალიელი მეზღვაურების** სახელით—ამხ. პაკინი. უკანასკნელ ორ ამხანაგებმა მიულოცეს საბჭოთა კავშირის მშრომელებს შვიდი წლის განთავისუფლების თავი და განაცხადეს. რომ ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი თანდათან ერკვევა იმ ბურუსიდან, რომელშიაც ის გახვია მეორე ინტერნაციონალმა და დგება მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

დაბოლოს ვრცელი მოხსენებით ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის და შვიდი წლის მიღწევების შესახებ გამოვიდა ამხ. გოგია, რომელმაც ფართედ დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა.

შვიდ ნოემბერს დილით კლუბებში მოწყობილი იყო წარმოდგენები ბავშვთათვის.

იმავე დღეს სალამოს კლუბებში და თეატრებში გაიმართა უფასო წარმოდგენები, დაიდგა რევოლიუციონური პიესები.

8 ნოემბერს ამხ. მარიამ ორახელაშვილმა გააკეთა მოხსენება მასწავლებლების საერთო კრებაზე შემდეგ თემაზე—ოქტომბრის რევოლიუცია და მასწავლებლობა, და შეეხო აგრეთვე ახალ მეთოდებს შკოლებში.

9-ს ქალთა საერთო კრებაზე ამხ. ორახელაშვილმა გააკეთა მეორე მოხსენება—ოქტომბრის რევოლიუცია და მშრომელი ქალი.

ყულევში შვიდში გაგზავნილი იყვნენ პარტკომის წევრები დღესასწაულის ჩასატარებლათ, სადაც დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მთელმა გლეხობამ.

9 ნოემბერს საშეფო კომისიები უნდა გამგზავრებულიყვნენ სოფლებში, მაგრამ, ცუდი ამინდის გამო, გადადებული იქნა მახლობელ კვირისათვის.

ჰ. მ.

გარე-კახეთის რაიონი (თბილისის მაზრა)

დილიდანვე სართიჭალის მშრომელი გლეხობა საზეიმოთ არის მორთული, ყველას სახეზე ეტყობა არაჩვეულებრივი აღფრთოვანება და სიხარული. დაახლოებით დილის 11 საათზე იწყო დენა აურაცხელმა ხალხმა სართიჭალის რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ პატარა მოწაფე ბავშვები, რომლებიც თავიანთ მასწავლებლებს შესანიშნავათ ჩამწკრივებიათ და მიეშურებოდნენ პატარა მოედნისაკენ, სადაც აურაცხელი ხალხი იყო თავმოყრილი და სადაც დგას ლენინის ძეგლი.

საათის 1-ზე ამხ. ფორიაშვილი ხსნის მიტინგს: ის თავის მისასალმებელ სიტყვაში ვრცლად აცნობს ხალხს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას.

შემდეგ გამოდიან მრავალი ორატორები, წითელი ლაშქრის სახელით, რკინისგზელთა, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა, პროფმუშაკების ადგილკომის, მასწავლებელთა სახელით. აღსანიშნავია ყოფ. მენშევიკის და ნაც.-დემოკრატის გამოსვლა ტრიბუნაზე, რომლებმაც წყევლა-კრულვით მოიხსენიეს საზღვარ-გარეთ გადახვეწილ გაკოტრებულ მენშევიკების ბელადები და უსურვეს კომპარტიას ჩქარა წითელი ოქტომბრის დღესასწაული მთელ მსოფლიოში.

დასრულებისას მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ოქტომბრის პროლეტარულ რევოლიუციის მნიშვნელობაზე, რომელმაც მოსპო ყოველგვარი ნაციონალური შუღლი, განთავისუფლა შრომა, გადასცა გლეხებს მიწა, სართიჭალის მშრომელთა მიტინგი თავის მუშურ-გლეხურ სამშობლოს 7 წლის არსებობის თავზე, უძღვნის ძმურს და მხურვალე მუშურ სალამს აღმოსავლეთის და დასავლეთის ერების ყველა დაჩაგრულთ და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში.

მიტინგი დაიხურა 4 საათზე. ხალხი დაიშალა რევოლიუციონური სიმღერით.

დაკი.

სენაკის მაზრა

6 ნოემბერია. ქალაქში ფაცა-ფუცია. სჩანს, ხვალ 7 ნოემბერია და მშრომელი ხალხი ემზადება პირველად მენშევიკურ აჯანყების შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის სადღესასწაულოდ.

გირლიანდებით იმკობიან დაწესებულებები. თვალსაჩინო ადგილზე აკრავენ ძვირფას ბელადების სურათებს, სახელოვანი წითელი ჯარის ნაწილები ფართოდ ემზადებიან შეხვდენ ამ ძვირფას დღესასწაულს.

რამდენიმე დღით ადრე დაიწყო მზადება. 7 ნოემბერს წითელი დროშები ამშვენებენ ქალაქს და გირლიანდებით შემკულ დარბაზებს.

დილის ათი საათია და მიდიან, მოდიან დროშებით, პლაკატებით, წარწერებით მრავალი და მრავალი ორგანიზაციები დანიშნულ ადგილისაკენ: პროფკავშირები, დაწესებულებები, სპარტაკი, პარტკომი, კომკავშირი, სოფლებიდან ხალხი თავიანთ საბჭოებით წინ და სენაკისა და მის ახლომახლო მდებარე სოფელთა მოწაფეობა.

ყველას მხიარული სახე აქვს. ყველას უხარია.

მოისმის მუსიკის ხმა. ეს ჯარია; წითელი ჯარი.

№ ლეგიონის ნაწილები მწკრივად და მხიარულად მოდიან დღესასწაულზე მშრომელ ხალხთან ერთად სადღესასწაულოდ.

უკვე პირველი საათია. დემონსტრაცია გათავდა. თავისუფლების მოედანზეა შეკრებილი მთელი ხალხი. ტრიბუნაზე ადის ამხ. კ. მელიქაძე, რომელიც მიტინგს გახსნილად აცხადებს და მიულოცავს საზოგადოებას 7 წლის თავს. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. გამოდიან სხვადასხვა ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენლები; მ. ბედია (მაზრის კომიტეტის პ. მდივანი), ა. ოჩიგავა (პროფკავ.), ვ. ნოდია, (აღმ.), ა. კოაია (ახ. კომკავ.) და ჯარის წარმომადგენლები.

მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია და მიტინგი დაიხურა დღის 4 საათზე.

მაზრის ყველა რაიონებში და მთავარ პუნქტებში პარტკომის მიერ დაგზავნილ ამხანაგებმა ყველგან ზეიმით ჩაატარეს დღესასწაული.

ბ. უჩანეიშვილი.

ჩოხატაური

7 ნოემბერს დილიდანვე მთელი დაბა მორთული იყო ყვავილებითა და მწვანე ფოთლებით. ყველგან გამოკიდებული იყო წითელი დროშები. განსაკუთრებულათ მორთული იყო რაიკომ-აღმასკომი.

დილის 11 საათიდან ყველა კუთხიდან იწყო მოსვლა დარაზმულათ და წითელი დროშებით ხალხმა, მოედანზე სამი ათასზედ მეტი გლეხია თავმოყრილი. სრულ პირველ საათზე იხსნება მიტინგი: მოხსენებას აკეთებს მაზრიდან გამოგზავნილი ამხ. კოლია დოლიძე.

მის შემდეგ სიტყვას ამბობს კომკავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. პეტრე ქერქაძე. შემდეგ ილაპარაკა გურიაში ახლახან დაარსებული სამეურნეო ტეხნიკუმის გამგემ კ. აბაშიძემ. მან განუმარტა ხალხს ამ სკოლის მნიშვნელობა და უსურვა იმ მთავრობას გამარჯვება, რომელიც ასეთ სკოლებს და სხვა კიდევ მრავალს აარსებს იმისთვის. რომ მშრომელი ხალხის შვილები აღიზარდონ.

ს. ცინცაძე.

სოფ. ბუკნარის კლუბში

(სამტრედიის რაიონი)

ს. ბუკნარა დიდი სოფელია, მდებარეობს ქალაქ სამტრედიიდან 9—10 ვერსის მანძილზე. ამ სოფელში არის შრომის სკოლა, სამკითხველო და მუშათა კლუბი.

კლუბთან არის დრ. წრე. პარასკევს, 7 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა მსახიობ ვლ. გვიშიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით რევოლიუციონური პიესა „წითელი ოქტომბერი“ 1 მოქ. და „ბოლშევიკი“, ვოდ. 1 მოქ. პიესები კარგად ითამაშეს. კარგად ასრულებდა უკანასკნელ პიესაში „მეზღვაურის“ როლს მსახიობი ვლ. გვიშიანი. ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

ფაქ.

პროვინციის ქრონიკა

— **პარტიული კლუბი.** ქუთაისის პარტიული კლუბის საჭიროებისათვის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი.

ქუთაისის აღმასკომს განზრახვა აქვს განაპირა ქუჩებში გაიყვანოს ელექტრონის სინათლე.

— თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოვოს პროფესიონალურ სკოლის შენობა, მოწაფეთა სიმრავლის გამო.

მწერალთა სახლი ქუთაისში. ვინაიდან ქუთაისში არსებული მწერალთა სახლი უპატრონოდ იყო მიტოვებული, აღმასკომმა აღნიშნული სახლი გადასცა ფიზკულტურის საბჭოს.

ქრონიკა

— **საქონლის ჯიშის გასაჯანსაღებლად.** ცეკავშირი გორის მაზრაში აწყობს მსხვილფეხა საქონლის მოსაშენებელ პუნქტს.

— **ხის ჯიშები** მიწათ-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით საქართველოში არის 326 სხვადასხვა ჯიშის ხე. (რუსეთში არის 86 ჯიშის).

— **საძოვრები.** უკანასკნელ გამოკვლევების მიხედვით საქართველოში ითვლება 700 დესეტინაზე მეტი საძოვარი.

— **საკასრე ქარხანა.** მიწ. მოქ. კომისარიატს განზრახვა აქვს გადაიტანოს ბორჯომის საკასრე ქარხანა წაბლნარის ხევში (ქუთაისიდან 30 ვერსის დაშორებით).

— **ნიხრი შეშაზე.** საქ. სატყეო ტრესტმა დააწესა ახალი ნიხრი, რომლის მიხედვით პროფკავშირის წევრებს რბილი შეშა კუბიკური საჟენი მიეცემათ 40 მან. ხოლო მაგარი—50 მან.

— **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოების წლიური სხდომა შესდგება შაბათს, 15 ნოემბერს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. დღის წესრიგშია: 1) ექ. მრევლიშვილი — კურორტ-ახტალის ტალახის გავლენა ქალთა ავადმყოფობაზე. 2) გამგეობის წლიური ანგარიში. 3) გამგეობის არჩევნები. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

— **ვენსექციაში.** დღეს, პარასკევს 14 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე ქალაქის მესამე საავადმყოფოში (კამოს ქ. № 34) შესდგება ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ვენსექციის მორიგი სხდომა.

— **შრ. კომისარიატის** განკარგულებით ყველა საშუამავლო ბიუროები მოთავსებული იქნება ყოფილ შრომის ბირჟის შენობაში.

— **სესხი მუშა-მოსამსახურეებს.** მინა საქ. სახ. კომისარიატის ადგილკომმა გადასწყვიტა აიღოს კომუნალურ ბანკიდან 1000 მ. სესხათ, თანამშრომელთათვის დასარგებლად.

— **დარაბები საცხოვრებელ ბინებათ.** ქ. აღმასკომის საბინაო განყოფილებამ რკინის გზის სახელოსნოს უბინაო მუშებს დაუთმო დიდუბეში და ლენინის რაიონში საცხოვრებელ ბინებათ 20 დარაბა.

— **მეტყავეთა არტელი.** შესდგა უმუშევერ მეტყავეთა არტელი, რომელმაც პლეხანოვის პროსპექტზე უკვე გახსნა თავისი მაღაზია.

— **ა/წ. სახ. კომისართა საბჭომ.** საქ. განათ. მუშაკთა ცენტრალურ სახლის საშუალებათა გასაძლიერებლად გადასცა 5,000 მან.

— **სტიპენდია.** განათლების მუშაკთა კავშირმა თავის ხარჯზე აიყვანა 10 სტუდენტი, ერთი მათგანი მოსკოვში, 7 თბ. სახ. უნივერსიტეტში და 2 პოლიტეხნიკუმში.

— **ახალი ქარხანა.** საზომ-საწონის სახ. ქარხანას განზრახული აქვს ახლო მომავალში თბილისში მოაწყოს წყალ-საზომების დასამზადებელი განყოფილება და ელექტრო ძალის საზომების შემოწმების საქმე.

— **აღმასკომმა** მილიციის თანამშრომლებისათვის ბაქოდან მიიღო დიდძალი ფეხსაცმელები.

— **მილიციის შესანახათ.** ქ. აღმასკომმა მიმდინარე წელს მილიციის შესანახათ გაიღო 374,000 მან.

— **თავისუფლების მოედნის გაფართოების მიზნით** განზრახულია, აღებული იქნას ადგილობრივ მდებარე ტრამვაის სადგური.

— **შრომის მუზეუმი.** შრ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო მუზეუმის წინაშე, დაუთმონ 4 ოთახი მუზეუმის შენობაში, შრომის მუზეუმისათვის.

— **ტრამვაის პარკი.** ტრამვაის პარკის ირგვლივ ამ ჟამად აკეთებენ ხის ღობეს.

— **ქ. აღმასკომის** სანიტ-ტეხნიკური სექციის მიერ სექტემბრის განმავლობაში ქუჩებიდან გაუტანიათ 100 კუბ. საჟენი ნაგავი, რაზედაც დახარჯულია 1500 მან.

— **ტრამვაის საჰაერო ქსელის შეკეთება.** ტრამვაის სამმართველოს განზრახვა აქვს 24—25 წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეიტანოს 300 ფუთი კაბელის შესაძენათ სათანადო თანხა.

— **განაპირა უბნების კანალიზაცია.** ოქტომბრის განმავლობაში ნაძალადევში გაყვანილია კანალიზაცია 240 საჟენის მანძილზე, რაც დაჯდა 4,843 მან.

— **სანიტ-განათლების გამოფენა** სანიტგანათლების სახლში გაიხსნა ლაბორატორია, სადაც დამზადებული იქნება სანიტგამოფენებისათვის საჭირო ექსპონატები.

— **დიდი ავიო-შეჯიბრება.** ნოემბრის ბოლო რიცხვში საქ. საჰაერო საზოგადოების თაოსნობით გაიმართება საფრენი მოდელების დიდი შეჯიბრება.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** მე-59 შრომის სკოლაში (ჭავჭავაძის ქ. № 9) იხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ქართული სკოლა. სკოლაში მიიღებიან ყველა მოქალაქენი 18—40 წ. რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ-დღე საღამოს 5—7 საათ.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 12 ნოემბერს, კირკის ქ. № 57 მოქ. ბერიძის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ცეცხლის-მქრობელ რაზმის მიერ. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ამავე დღეს,** საღამოს 7 ს. ანდრეევის ქ. № 122 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალებით.

— **ქურდობა.** 12 ნოემბერს სადგურის ქ. № 20 გაქურდეს ივანე მიქაძის ბინა, წაღებულია 800 მან. ნივთები.

— 11 ნოემბერს, ღამით სოფ. ღრმა-ღელეში გაქურდეს ოგანეზოვის სამიკიტნო, წაიღეს 99 მან. ნივთები.

— 10 ნოემბერს ღამით ჩერქეზიშვილის ქ. ბოლოში გაქურდეს მოქ. მარო ხომასურიძის ბინა. წაღებულია 15 მ. ნივთები.

— **შეპყრობა.** 12 ნოემბერს შეიპყრეს ონისიმე ბალიცკი, რომელსაც ბრალდება ლიუსიკა კოზლოვასათვის პერანგის მოპარვა.

ხელოვნება

ქართულ მხატვრობის გამოფენა. შაბათს, 29 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქუჩა) გაიხსნება ქართველ მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილი სურათთა და ქანდაკებათა გამოფენა.

— ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა აუწყებს ყველა თავის წევრებს, რომ გამოფენაზე ექსპონატების მიღების ვადა არის ნოემბრის 17-დან 21-მდე. განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქუჩა) დილის 12—3 საათამდე.

ქართული დრამა.

შაბათს, 15 ნოემბერს მიდის ალ. შანშიაშვილის პიესა „მათრახის პანაშვიდი" დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა მონაწილეობს მთელი დასი. დეკორაციები შესრულებულია ნადებაშვილის მიერ.

— კვირას, 16 ნოემბერს მიდის ალ. შანშიაშვილის პიესა „ლატავრა" ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. მონაწილეობენ: ც. ამირაჯიბი, ს. ბეჟანიშვილი, ნ. გვარაძე, გ. დავითაშვილი, მ. ვარდოშვილი. პ. კორიშელი, უშ. ჩხიძე, შ. ლამბაშიძე, აკ. ხორავა, ვეჯე ჯიქია და ყველა სტუდიელები. ლატავრას როლს შეასრულებს სტუდიელი თ. წულუკიძე. დადგმა ალ. ახმეტელის, მხატვარი ირ. გამრეკელი. მუსიკა თ. ვახვახიშვილის.

სახელმწიფო ოპერა.

დღეს, პარასკევს, 14 ნოემბერს პირველად ამ სეზონში მიდის ოპერა „ბორის გოდუნოვი". მონაწილეობენ: ტოვსტოლუჟსკაია, შეინ, ბაბკინა, ველჩენცკაია, გაბაშიძე, დობრჟანსკაია, სტრუკოვ-ბარატოვ. ალექსაშინ, ქარცივაძე, შარაშიძე, ბლაგობრაზოვი და სხვ. დირიჟორობს სტოლერმანი.

— შაბათს, 15 ნოემბერს მიდის ოპერა „რიგოლეტო", მონაწილეობენ: პოპოვა, კულაგინი, ალექსაშინი და სხვა. დირიჟ. სტოლერმანი. ბალეტის დივერტისმენტი სერგეევის ხელმძღვანელობით. ცეკვავენ ფედოროვა, ლეონოვა, კაზინეც და რატუშენკო.

სპორტი

სპორტდღესასწაული ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის გამო

შაბათს, 8 ნოემბერს, ფიზკულტურის თბილისის საბჭოს მოედანზე (ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზო) და ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა სპორტგამოსვლები.

სპორტგამოსვლებში მონაწილეობა მიიღეს პირველი, მეორე და მეოთხე რაიონების ფიზკულტურის წრეების წევრებმა როგორც კაცებმა, ისე ქალებმა.

ნაჩვენები იყო სხვადასხვა პრაქტიკული ვარჯიშობა, რის შემდეგაც გაიმართა ფეხბურთელთა საჩვენებელი შეჯიბრება.

ფ. კ. თ. ს. მოედანზე ერთმანეთს შეებმენ მეოთხე რაიონის პირველი კომანდა და ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ფეხბურთელები.

შეჯიბრებაში ორივე მხრიდან ახალგაზრდა მოთამაშეები იღებდენ მონაწილეობას. პირველ ხავტაიმში შეტევაზე გადადიოდენ უმთავრესათ მეოთხე რაიონის ფეხბურთელები, მაგრამ ისინი ჩქარა მოილალენ და მეორე ხავტაიმში ა.-კ. კომუნ. უნივ. ფეხბურთელების გააფთრებული იერიშების ობიექტი გახდენ.

შეჯიბრება დასრულდა ა.-კ. კომუნ. უნივერ. კომანდის გამარჯვებით—3:2.

ფუტბოლ-მატჩის მხრივ გაცილებით უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო მეორე დღე, 9 ნოემბერი. მაგრამ დილიდანვე ისეთი ცუდი დარი დადგა, რომ სპორტ-მოედანზე გამოსვლა სათამაშოთ შეუძლებელი იყო.

მიუხედავათ საშინელი ქარისა და სიცივისა, მატჩი მაინც შესდგა. პირველ შეჯიბრებში მონაწილეობა მიიღეს სახელ. უნივ. პირველმა კომანდამ და რკინისგზის მთავარ სახელოსნოების პირველმა კომანდამ. ეს უკანასკნელი საკმაო ძალას წარმოადგენს, მაგრამ თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო კომანდის წინააღმდეგ, რასაკვირველია, ვერაფერს გახდებოდა. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სახელ. უნივ. კომანდა—2:0; მთავარ სახელოსნოების ფეხბურთელები შედარებით იოლათ გადარჩენ. სხვა პირობებში კიდევ უფრო მეტი დამარცხება იყო მოსალოდნელი.

მეორე მატჩი შესდგა მე-21 სამხედრო სკოლის და სერგო ორჯონიკიძის სახელობის კომანდებს შორის. ეს მატჩი გამართული იყო მე-21 სკოლის კომანდის რეაბილიტაციისათვის, რადგან პირველ შეჯიბრებაში მან სასტიკი დამარცხება განიცადა (6:0).

ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდას ამ დღეს ერთი საუკეთესო მოთამაშე მიემატა—კულევიცი (ცენტრ. ფორვარდ), რომელიც წინა შეჯიბრებაში მონაწილეობას არ იღებდა (ფეხბურთელთა ლიგის მიერ მას აკრძალული ჰქონდა თამაში მთელი სეზონის განმავლობაში, მაგრამ ამნისტიის ძალით ის დაბრუნდა კომანდაში).

ბრძოლის ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კომანდის ფეხბურთელებმა. ორივე ხავტაიმის განმავლობაში მათ შეუწყვეტელი იერიშები მიჰქონდათ მოპირდაპირეზე, რისი შედეგიც იყო ბრწყინვალე გამარჯვება—4:0.

მესამე მატჩი აღარ შესდგა, რადგან გაძლიერებული ქარის გამო პლაცზე გაჩერება ყოვლათ შეუძლებელი იყო.

ბ.

ახალციხის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

31 ოქტომბერს მოხდა აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა და გადაეწყვიტა მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი კითხვები, მაგალითად: თემურ სისტემაზე გადასვლა და მაზრის თემებათ დაყოფა, მაზრის მილიციის შტატის დამტკიცება, ქალაქის სკოლებში პარალელური განყოფილებების მომატება, 10 ახალი სკოლის დაარსება, საინსტრუქტორო-საკონტროლო ინსტიტუტის დაარსება და სხვა.

მაზრის თემებათ დაყოფა

კრების თავმჯდომარემ გააცნო პლენუმს, რას წარმოადგენს რაიონული და თემური სისტემა, აღნუსხა პირველის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გლეხი აფასებს საბჭოთა ხელისუფლებას იმ დაწესებულებათა მიხედვით, რომელთანაც ის ყოველდღიურათ არის დამოკიდებული და მჭიდროთ დაკავშირებული, რომელსაც ადვილათ მისწვდება და სხვა. აღნიშნა არსებულ ქვედა საფეხურების აპარატების სისუსტე, ხოლო მეორე საფეხურის—რაიაღმასკომების მეტის მეტი დაშორება მასსებისაგან, ვრცლათ შეეხო აგრეთვე თემურ სისტემის უპირატესობას, დაწვრილებით გააცნო დამსწრენი მაზრის თემებათ დაყოფის ახალ პროექტს და წინადადება მისცა კრებას დაემტკიცებია ის.

კრებამ უმნიშვნელო ცვლილებათა შეტანის შემდეგ მიიღო პროექტი, რომლითაც მაზრა იყოფა შემდეგნაირად:

№	თემის სახელწოდება	სოფლების რიცხვი თემში	მცხოვრებთა რაოდენობა თემში	[illegible]	თემის სივრცე ოთხკუთხ ვერ.	სკოლები	ქოხ-სამკ.
1	აწყურის თემი	16	7583	7,5	238	5	5
2	კლდის	24	7893	9	288	4	4
3	ვალეს	17	8971	7	149	8	8
4	უდეს	16	7561	5,5	165	2	2
5	ვარხნის	22	7818	8,25	320	2	2
6	ურავლის	30	8573	10	360	3	3
7	ასპინძის	13	6386	7	233	4	4
8	ღებისის	31	8618	9,5	286	4	4
9	ადიუგენის	30	9755	9,5	340	4	4
10	ქ. ახალციხე	—	10153	1,75	332	5	—
11	აგარაკი აბასთუმანი	—	—	—	—	—	—

მართალია, თემები დიდრონი გამოვიდა, მაგრამ ეს გამოწვეულია მაზრის გეოგრაფიული თავისებურობით. ახალციხის მაზრა ბუნებრივათ არის დაყოფილი ცხრა ნაწილათ, უბნათ, და ამ ბუნებრივი ერთეულების შეცვლა-გამოცვლა მეტათ ხელოვნური, სინამდვილესთან შეუფარდებელი და მიზანშეუწონელი იქნება.

მილიცია.

მაზრის ახალმა ადმინისტრატიულ ერთეულებათ დაყოფამ თავის თავად გამოიწვია მილიციის რეორგანიზაცია

მაზრაში დაარსდა თემთა რიცხვის მიხედვით მილიციის 11 ერთეული, რომელთაც მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება აქვთ მაზრის მილიციის შტაბთან.

მილიციის წევრთა რაოდენობა თემებში სხვადასხვანაირია: ის არის შეფარდებული თემის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან.

სკოლების საკითხი.

დიდი კამათი გამოიწვია სკოლების საკითხმა.

ამ საკითხს უაღრესი მნიშვნელობა აქვს ახალციხის მაზრისათვის.

ეს კუთხე სხვებთან შედარებით სწავლა განათლებით და კულტურით ერთობ დაბალ დონეზე სდგას.

მართალია ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ დარგში: უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მან დაუღალავი ენერგიული მუშაობით სკოლების რიცხვი 15-დან 45 აიყვანა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 1000-დან 2500 გაზარდა, მაგრამ ეს მიღწევა-გაუმჯობესება დიდს საჭიროება-მოთხოვნილებასთან უმნიშვნელო და არადამაკმაყოფილებელია. იმის ნათელსაყოფათ, თუ რამდენათ უკან არის ჩამორჩენილი ეს კუთხე სხვა მაზრებთან, მოვიყვან მოკლე შედარებას.

ოზურგეთის მაზრაში ერთი სკოლა მოდის 13 ოთხკუთხ ვერსზე, ახალციხის მაზრაში ერთი სკოლა მოდის 58 ოთხკუთხ ვერსზე, ოზურგეთის მაზრაში ერთი სკოლა მოდის 912 სულზე, ახალციხის მაზრაში ერთი სკოლა მოდის 1993 სულზე.

ოზურგეთის მაზრაში ას მცხოვრებზე არის 13,9 მოწაფე, ახალციხის მაზრაში ას მცხოვრებზე არის 3,3 მოწაფე, ოზურგეთის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობა—21,3 პროც. ახალციხის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობა—94,1 პროც.

ქალაქში სკოლის გარეშე დარჩენილია 5000 ბავშვი, მოკლებული აღზრდა-განათლებას.

საკითხის ავტორები უმტკიცებდნენ კრებას, რომ ყოვლათ შეუძლებელი, მშრომელ გლეხობის წინაშე მიუტევებელი დანაშაული იქნება მდგომარეობის ასე დატოვება.

მომხსენებლებმა გადაუშალეს კრებას მთელი მუშაობა, რომელიც აჩქარებულის ტემპით მიმდინარეობს მაზრაში წლის განმავლობაში, ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, თუ როგორ ერთსულოვნათ ამოუდგა მხარში აღმასკომს მშრომელი მასსა, როგორ ენერგიულათ მოჰკიდა ხელი სასკოლო აღმშენებლობას და რისი გაკეთება შესძლო ამ შეთანხმებულმა მუშაობამ.

წლის განმავლობაში არა ერთხელ იყო აღძრული შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისიდან მასწავლებელთა არსებული შტატის გადიდების შესახებ, მაგრამ უკანასკნელათ კომისარიატიდან გადაჭრილი უარი მოგვივიდა.

მომხსენებელმა სთხოვა პლენუმს დადებითად გადაეწყვიტა საკითხი.

დიდი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ახალი სკოლების გახსნის საკითხი უარყოფითად გადაწყდა. [illegible] ციფრებით [illegible] კრებას, რომ მაზრის [illegible] ხდის ისედაც დიდი დეფიციტის ახალი ხარჯებით გაზრდას.

საინსტრუქტორო კომისიის დაარსება.

დასასრულ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას მაზრაში საინსტრუქტორო-საკონტროლო კომისიის დაარსების აუცილებლობაზე.

მან აუხსნა დამსწრეთ, რომ ახალი ინსტიტუტი მეტის მეტათ ასწევს შრომის ნაყოფიერებას, გაახალისებს მოსამსახურეთა უნარიანობას, წესრიგს შეიტანს მუშაობაში, გააცხოველებს, გააღრმავებს და განამტკიცებს საქმიანობის ინტენსივობას და წინადადებით მიმართა კრებას დაედასტურებია მისი დაარსება.

პლენუმმა ასეთი ორგანიზაციის დაარსება დაადასტურა.

მე მინდოდა დამეყვირა: „ამხანაგო, ჯომარჯიძე, ყურად იღე 5000 ბავშვის გოდება, ერთხელ კიდევ შეაჯამაჯურე „სმეტა", შეიძლება თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოთ მეთქი"! მაგრამ გვიან იყო: თავმჯდომარემ კრება დახურა.

ახლა ერთი გზა-ღა დაგვრჩენია: 5000 ბავშვის ღაღადისი წარუდგინოთ სრულიად საქართველოს კომისართა საბჭოს.

ორმად დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი ორგანო ყურადღებას მოგვაქცევს.

ხერ.

ჩვენი ფოსტა

— **ამხ. გ. ქვიანელს.** მოგვაწოდეთ თქვენი მისამართი.

— **ამხ. შირინზეის და ქიზიყის მოამბეს.** ველით წერილებს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი,

პარტიული

საქ. კომპარტიის თბილ. კომიტეტის საარიცხო გამნაწილებელი განყოფილებ წინადადებას აძლევს უმუშევარ კომუნისტებს, ვისაც არ გაუვლია ახალი რეგისტრაცი ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხანაგ ნ. რობაქიძესთან.

თბილ. კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება.

საქ. კომპარტიის თბილ. კომიტეტის საარიცხვო—განმანაწილებელი განყოფილე ბა წინადადებას აძლევს არმაის პაიანს, პერკინს, ფედორენკოს და გაგუა კონდრატ გამოცხადდენ საორგანიზაციო განყოფილების მდივან—ამხ. ჭანტურიასთან.

თბილ. კომ. საარიცხვო-გამნაწ. განყოფილება.

თბილ. კომიტეტის საარიცხვო-გამნაწილ. განყოფილება წინადადებას აძლე ქვემო-აღნიშნულ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ბარსეგოვთან: 1. კოკოევ ანდრია, 2. აჯ ცევ ალექსანდრე, 3. საფაროვ ვლად 4. ივანოვ ფეოდორ, 5 კოსტინ ივან, 6. კალუსტ ნოვ ვასილი, 7. ბეჟანიან საქის 8. ლობანოვ ნიკოლაი, 9, კარმანოვ დიმიტრი, 10. ა ფოვ ბენიამინ, 11. შავერდოვ გურგენ.

საარიცხვო-გამნაწილებელი განყოფილება.

14 ნოემბერს, შუადღის 1 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სამდი ნოს ბინაზე დანიშნულია **თბილისის კომიტეტის კოოპერატიულ კომისი სხდომა.**

კომისიის ყველა წევრებისათვის გამოცხადება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

განცხადებები

სახელმწიფო დრამატიული დასი გულისტკივილით აუწყებს საზოგადოებას მომღერალი, სახალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 213 4—1

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი" მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. ნ. 205 0—3

ხელოვნების მუშაკთა საქართველოს პროფკავშირის

ქართველ მსახიობთა ახალი სექცია

აუწყებს ამხანაგებსა და ყველა მოქალაქეთ ქართული ოპერის დედაბოძისა და საოპერო ხელოვნების იშვიათი არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

უდროოდ დაკარგვას

№ 2720—1—1

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს სარედაქციო კოლეგია თავის მკითხველთ, ქართველ მშრომელ ხალხს ღრმა მწუხარებით აუწყებს განუმეორებელ ნიჭის, რესპუბლიკის სახალხო მსახიობის

ვანო სარაჯიშვილის

გარდაცვალებას (ნოემბრის 11-ს), დაკრძალვა მოხდება ნოემბ. 16

ნის. № 226—2—1

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი და ხელოვნების სახლი ღრმა მწუხარებით აუწყებენ კავშირის წევრებს და საზოგადოებას, რომ ა/წ. ნოემბრის 11-ს უდროოდ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ვანო სარაჯიშვილი

გამოსვენება მოხდება ხელოვნების სასახლიდან მაჩაბლის ქ. № 13 კვირას, ნოემბრის 16-ს.

ნ. № 220—1—1

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი შალვა დავითის ძე კანდელაკი, მაზინაცვალი სიმონ აბულაძე და ნადია აბულაძე, ბიძა და ბიცოლა სოლომონ და კატო კიკიანები, დედამთილი ანასტასია კანდელაკისა, მამამთილი დავით კანდელაკი, მაზლები: გურამ, მემონ, აკაკი და ბაგრატი, მულები მარიამ ძიძიგურისა და თამარი კანდელაკი, სიძე ანდრო ძიძიგური, რძლები: თამარი და თამარი კანდელაკისა, ნათლული გიორგი აკაკის ძე აბულაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვლილის

ვერა სამსონის ასული პიკიანი-კანდელაკისა

ორმოცი დღის თავი დანიშნულია ა/წ. 22 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, სოფელ ნაბისკევში (ქუთაისის მაზრა).

2725 1—1

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 15 ნოემბერს

მათრახის პანაშვიდი

კვირას, 16 ნოემბერს

ლატავრა

ნ. 221 2—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 14 ნოემბერს

ბორის გოდუნოვი

შაბათს, 15 ნოემბერს

რიგოლეტო

ნ. 222 2—1

საქციონერო-საგამომცემლო საზოგადოება

„საბჭოთა კავკასია"

ამით იუწყება: რადგან მის გამოცემებზე დაკლებულია ფასები, ამიტომ დაწესებულია ახალი გასასყიდი ფასები შემდეგ გამოცემებზე:

1. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო"—1მ.—10 კ. ნაცვლად 1მ.-50 კ.
2. ბაქრაძე „[illegible]"—3მ.—50 კაპ. ნაცვლად 5 მან.
3. ბაქრაძე „პროფესიონალური ავადმყოფობა"—2 მან. ნაც. 3მ.

წიგნის გამყიდველებს ეძლევათ ჩვეულებრივი

პროცენტი

გამომცემლობის მთავარი საწყობი: თბილისი რუსთაველის პროსპ. № 8 ტელეფ. № 7—54 ნ. 225 1—1

შაბათს, ა/წ. 15 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

გაფართოებული სხდომა

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების ტფილისის განყოფილების დროებითი ბიუროსი.

სხდომაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები, პროფკავშირების საბჭოს, კულტგანყოფილების, განათლების მუშაკთა კავშირის, მბეჭდავთა მუშაკთა კავშირის სექციის, განათლების მუშაკთა სახლის, მთავარ პოლიტგანათლების სამმართველოსი, ხელოვანთა მუშაკთა კავშირის, ა. ლ. კ. კ. ტფილისის კომიტეტის, ა. ლ. კ. კ. რაიკომების, პიონერთა საქალაქო საბჭოსი, პოლიტსამდივნოსი, დივიზიის პოლიტგანყოფილების, რაიკომების სააგიტაციო განყოფილების, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების, რაიკომების ქალთა განყოფილების, პროლეტარულ სტუდენტობის ტფილისის ბიუროსი, საქართველოს პროლეტკულტის, პრესის და ყველა იმ ამხანაგების, რომელნიც დაინტერესებულნი არიან წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების მოწყობის საქმეში.

წარმომადგენლებს ეთხოვთ არ დაიგვიანონ.

ნ. 2728 2—1 დროებითი ბიუროს თავმჯდომარე ხუციშვილი.

ექიმ დოსტაქრების საყურადღებოთ

შორაპნის მაზრის საექიმო საკონკურსო კომისია ამით აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს ქ. ზესტაფონის საავადმყოფოში

მოიწვიოს ექიმი დოსტაქარი

პირობები ას ოცი (120) მანეთი თვეში, მსურველმა უნდა შემოიტანოს განცხადება და „კურიკულუმ ვიტე" არა უგვიანეს ა/წ. 25 ნოემბრისა. 2717—1—1

თბილისის ტელეფონის ქსელი

ამით აცხადებს აბონენტების საყურადღებოთ, რომ მათ ხმარებაში მყოფ

ტელეფონების დაზიანების დროს

ასეთების შესასწორებლათ

უნდა მიმართონ

განცხადებით დაზიანებათა მიმღებ ბიუროს განსაკუთრებით ქალაქის № 2—20 ტელეფონით.

ქსელის გამგე მეხეტოვი. კანც. გამგე დავლიანიძე. ნ. 224. 1—1.

განათლების განყოფილებათა;

უმაღლესს და საშუალო სასწავლებელთა დირექციას;

პროფესიონალურ კავშირთა და ადგილკომების და საზოგადოების საყურადღებოდ

ცხადდება უკანასკნელად

თქვენ ალბად გაზ. „კომუნისტის", „რაბოჩაია პრავდას" და „ზარია ვასტოკას" საშუალებით გაიგებდით, რომ წინასწარი ხელისმოწერით გამოდის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის პროფესორის კორ. კეკელიძის წიგნი

„ქართული ლიტერატურის ისტორია"

I და II ტომი

სახელმძღვანელო უმაღლეს დასაშუალო სასწავლებლებისათვის და მუშათა ფაკულტეტებისათვის

წიგნი დაუფასებელი განძია ყველა სამკითხველოებისათვის და თვითგანვითარების მაძიებელ პირთათვის.—წიგნის II ტომი გამოვა ნოემბრის დამლევს, ხოლო I ტომი კი მას შემდეგ მოკლე ხანში. რომ საბჭოთა დაწესებულებანი, სასწავლებლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები არ დარჩენ ამ სამოსწავლო წელს უწიგნოდ, გთხოვთ საჩქაროდ გვაუწყოთ: რამდენი ეგზემპლიარი წიგნისა საჭიროა თქვენ დაწესებულებისათვის და მაზრისათვის.—დაკვეთასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს I და II ტომის ღირებულების ნახევარი ე, ი. 7 ½ მანეთი, შეიძლება ფოსტითაც შემდეგი მისამართით: თბილისი: **ლენინის (ოლღას) ქუჩა № 6, წიგნის მაღაზია: „განათლება"-ში ს. თავართქილაძესთან და სასახლის ქ. № 5 წერაკითხვის გამავრ. წიგნის მაღაზია—ვასო ედილაშვილს.** ამასთან ნაჩვენები უნდა იქნას, თუ ვის სახელზე უნდა გადმოიგზავნოს წიგნები.—საშუალო სასწავლებელთა დირექციამ თვითვე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენი წიგნი სჭირდება მათ სასწავლებელს, შეაგროვონ ფულები მოწაფეებში და დაუყოვნებლივ გადმოაგზავნონ ფოსტით.

I და II ტომი დიდი ფორმატის 1500 გვერდიანი წიგნი ღირს 15 მანეთი.—ბაზარზე წიგნი გასასყიდად სრულებით არ გამოვა, რადგან ძლიერ განსაზღვრული რიცხვი დარჩა წიგნებისა.

ვისაც არ სურს უწიგნოდ დარჩენა უნდა იჩქარონ

წიგნი 1927 წლამდე ხელმეორედ არ გამოიცემა. 10 დეკემბრის შემდეგ წიგნის დაკვეთა არ მიიღება.—აუწყეთ ყველაფერი ეს ადგილობრივ წიგნის მაღაზიებსაც.—განათლების განყოფილებათ ვანდობთ ადგილობრივ ამ საკითხის მოწესრიგებას.

პატივისცემით გამომცემლობა.

ნის. № 207—3—2

საფეიქრო, ზეთის და საპნის ტრესტი

აცხადებს, რომ კვირას, 16 ნოემბერს ტრესტის ბინაზე (ორთაჭალა, კომუნალური ქუჩა, 119,) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ხარების და „დროგების" გასასყიდათ

დათვალიერება შეიძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათამდე; მსურველებმა უნდა მიმართონ კანცელარიის გამგეს

1—1 2722 **დირექცია**

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ

შრომის ბირჟების

შესახებ მოწვეული

თათბირი

დანიშნულია ა/წ. ნოემბერს 15-ს. დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. შუამავლობის პოლიტიკა და მისი პერსპექტივები—მომხ. ამხ. ა. მიქაძე, 2. შრომის ბირჟების და საშუამავლო ორგანოების მუშაობის მეთოდები და ფორმები მომხ. ამხ. ვ. ლეინი, 3. უმუშევრობა და შრომის დახმარებათა ღონისძიებანი მომხ. ა. მიქაძე, 4 უმუშევართა დაზღვევა მომხ. ამხ. კილაძე, 5. მოხსენებები ადგილებიდან (თბილისი, ბათომი, ქუთაისი, ჭიათურა & ფოთი), 6. მიმდინარე საკითხები.

თათბირზე მოწვეული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ ნოემბრის 15-ს, საღამოს 5 საათზე

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში

გარდა მოწვეულ ამხანაგებისა, სასურველია თათბირს დაესწრენ ყველა სამეურნეო ორგანოების და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საქ. ს. ს. რ. შრომ. სახ. კომისარი ა. მიქაძე

2—1 223 ნ. საერთო-საორგ. განყ. გამგე ა. თურქია

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—17

ექიმი

შუხმანი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდი

ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ № 2672—25—3

---

10 მანეთად

თვეში ვაძლევ

მათემატიკის

(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

4—3 ნ. № 202

დავკარგე მეტრიკული ამონ დავით პოლიევქტო კარბელაშვილის სახელზე, გაცემულ ფილ სინოდალური კანტორის მიერ წელში, № 7913. ჩაითვალოს გაუქმებულ

1—1 2

დავკარგე თბილისის ლომბა ქვითარი № 1962 პროფესიონალური კავშირის წიგნაკი. ჩა ლოს გაუქმებულათ. ნიკოლოზ ივა ფარეშიშვილი.

1—1 2

დავკარგე სამხედრო აღრიცხვ მონადირეთა კა წიგნაკი. გაუქმებულად ჩაითვალოს. ნათიძე.

1—1

დავკარგე მეტრიკული ამონ შრომის ბირჟის და პირადობის დამამტკიცებელი ს გაცემული თბილისის მ. გ. მილიცი როსის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულა ვით მერაბოვი.

1—1

დავკარგე საარიცხვო ტფილისის მეორე სამხედრო მაგიდის მიერ გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად. ზოგიბერ [illegible]

1—1